



ციბეხანი

№ 81 / 20-26 ივნისი / 2011

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



- მოსკოვის პროტესტი **83. 10**
- პროკურორი, ელჩი თუ მოჭიდავე **83. 08**
- საქართველოს არჩევანი **83. 14**
- კანონპროექტი VS კონსტიტუცია **83. 18**
- უცნაური გარიგება **83. 32**
- 19,000 ლოლარი ღღუპი **83. 34**
- ასაკი და სუბკულტურა **83. 40**
- პეპეს ბიჭები **83. 50**



დავნა ქოდაქსის სახელით

83. 24

FMM

სტუდია

98.0





წყნეთი, ივნისი 2011

ფოტო თემო პაჩიაშვილი

ნომერში:

- 02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**
ზღუდავს თუ არა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები გამოხატვის თავისუფლებას? ვახუშტი მენაბდე VS ჩიორა თავთაქიშვილი
- მსოფლიო**
- 08 პროკურორი, ელჩი თუ მოჭიდავე
- 10 **რუსეთი და აშშ**
მოსკოვის პროტესტი
- კონფლიქტები**
- 12 პროკურორი, ელჩი თუ მოჭიდავე

- პოლიტიკა**
- 14 საქართველოს არჩევანი
- 18 **თვალსაზრისი**
კანონპროექტი კონსტიტუციის წინააღმდეგ
- 21 **სამართალი**
არაეფექტური მართლმსაჯულება თუ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები?
- მთავარი თემა**
- 24 დევნა კოდექსის სახელით
- 30 **თვალსაზრისი**
ინვენტარიზაცია – საშუალება თუ იარაღი?
- ჟურნალისტური გამოძიება**
- 32 უცნაური გარიგება
- ადამიანის უფლებები**
- 34 -19,000 დოლარი დღეში
- სოფლის მეურნეობა**
- 38 რეგულაციები და სოფლის მეურნეობის განვითარება

- სუბკულტურა**
- 40 ასაკი და სუბკულტურა
- თვალსაზრისი**
- 44 დაინყე ბიზნესი მარკ მალენი
- 46 სახელმძღვანელოები და ხელმძღვანელობა სიმონ ჯანაშია
- კულტურა**
- 48 ქარიშხლის შემდეგ
- რევიუ**
- 50 პეპეს ბიჭები
- 52 **ტექნოლოგიები**
თვალსაზრისი
- 54 დიდებული გამოვარდნა
- სპორტი**
- 55 მორნიგ სტარი
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 56 მიშველეთ! გვიშველეთ!

გარეკანზე:
დევნა კოდექსის სახელით

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ლია საზოგადოება-საქართველოს

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

პედოფილის სახელმძღვანელო

პაატა შამუგიას ბლოგი

„ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ მეექვსე კლასში ვნახე. ჩვეულებრივი ამბავი ნუ გეგონებათ – სიზმრად ვნახე. ალბათ ამიტომაც არ მჯერა ფსიქოანალიტიკოსების, რომ ამბობენ, ნებისმიერი სიზმარი, სინამდვილეში, რამდენიმე წამს გრძელდება. დიდი შარლატანი ხალხია, მაგათი ერთი სიტყვა არ დაიჯერება.

ბებიჩემს რომ ვუთხარი, სიზმრად „ალისა“ ვნახე–მეთქი, პრევენციის მიზნით „პარაცეტამოლი“ დამალევიანა. ფრთხილი იყო ჩვენ მიმართ.

მერე ილუსტრირებულ „ალისასთან“ მიახლოებაც კი ამიკრძალა.

რაც გინდა თქვი და, წიგნების ისტორია მათი აკრძალვის ისტორიაცაა. ასეა და ვერაფერს იზამ.

სულ ახლახან, რამდენიმე თვის წინაც კი, ვნახეთ წიგნის აკრძალვის უხერხული ფაქტი. ინტერნეტ-გიგანტი amazon.com-ზე გაჩნდა წიგნი „პედოფილის სახელმძღვანელო“, რომელიც ბავშვთა უფლებადამცველების პროტესტის შემდეგ გაყიდვებიდან ამოვარდა. ბრალდება, რა თქმა უნდა, პედოფილია იყო. ნაცნობი ბრალდებაა. ნაცნობი და ახლობელი. ჯერ კიდევ ნაბოკოვი გატანჯეს ამ ბრალდებით. სხვათა შორის, მაშინდელმა ინტელექტუალურმა ელიტამ მეტი ფხა გამოიჩინა და ნაბოკოვის „ლოლიტა“ არათუ აიკრძალა, ბესტსელ-

ლერადაც იქცა. გაუმართლა, ერთი სიტყვით.

სამაგიეროდ, „პედოფილის სახელმძღვანელოს“ არ გაუმართლა – ფულიც კი ვერ გააკეთა ავტორმა, სადმე იბიკაზე რომ მომჯდარიყო ვინმე ნაკითხ ნაშასთან ერთად და ამ ცენზორების ამოების ბაზარზე ეკაიფა. საქმეა ახლა ესა?!

მე არ წამიკითხავს ეს წიგნი (ვინ მაცალა? გააქრეს ეგრევე) და ხარისხზეც ვერაფერს ვიტყვი. თუმცა აქ ფაქტია მნიშვნელოვანი და არა ესთეტიკური შეხედულებები. „ლოლიტასაც“ ხომ უხარისხო, „ორშაურიან“ ტექსტად მიიჩნევდნენ აკრძალვის მომხრეები. ეს ცნობილი ხერხია იმისათვის, რომ საკუთარი უპრინციპობა ესთეტიკური პრინციპებით გაამართლო.

სხვათა შორის, იმავე amazon-ზე, რომელიც ხელათ დაუნვა პოლიტორექტურას და გაყიდვებიდან ამოიღო „პედოფილის სახელმძღვანელო“, თავისუფლად იყიდება ჰიტლერის „Mein Kampf“ (იხ: ლინკი). თუ პოლიტორექტურაა, ბარემ ბოლომდე იყოს, რა არათანმიმდევრულობა!

საქართველოში პირველი აკრძალვა პირველ ქართულ ეპიკურ ტექსტს – „ვეფხისტყაოსანს“ უკავშირდება. ეკლესიამ წიგნი უზნეობის მქადაგებლად შერაცხა, ამის გამო „ვეფხისტყაოსნის“

პირველ გამომცემელს – ვახტანგ მეექვსეს – მოუწია, „ვეფხისტყაოსნისთვის“ კომენტარები დაერთო, სადაც ავტორის გამართლებას შეეცადა. რაღაც უცნაური დრო იყო – რუსთველს დაცვა სჭირდებოდა.

მოკლედ, ჩვენმა მეფემ „ვეფხისტყაოსნის“ „გაპრავებაზე“ იმდენი იშრომა, რომ ბოლოს არქივისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა სულ „მაღალი შტილით“ აგინა რუსთველსაც და მის „მთარგმანებელ“ – კომენტატორსაც:

„მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სინმინდისა ნილ ბილწება და განპრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“. (ტიმოთე გაბაშვილი)

ერთ ხელნაწერს ასეთი ლექსიც კი დაურთეს:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,

ვუხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არა შეიქმს ხორცს არსულად,

საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად,

თუ იშოვა მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად.“

ერთი სიტყვით, მღვდელს თავს გააპარსვინებს, ისეთი რამეა ეგ შენი „ვეფხისტყაოსანიო“. არადა, გაუნათლებელიც არ ჩანს ამ ინტერპოლაციის

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქავაძე / კეკელიძე სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე
შპს ნაწილობრივი: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანიზოშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონსტრუქციონი: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიამიძე, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხნიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარულელი, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე
რედაქციის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონღაძე
ბამონცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია
ბამონცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სსპ ბამონცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეოთხედი, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge

ავტორი. პოეტიკის მხრივ, ყველაფერი წესრიგშია, მაღალი შაირით გაუნყვია და მშვენიერი მაჯამური რითმებიც დაუცხვია, მაგრამ მთავარი ეს არაა: მთავარია, რომ ამ ტექსტში ჩანს იმდროინდელი ქართველი სამღვდლოების ძირითადი პრეტენზია „ვეფხისტყაოსანთან“ – ის არ ახსენებს სამებას და ხორციელ სიყვარულზეა ორიენტირებული. დღევანდელი სიტყვებით რომ ვთქვათ, პორნოა.


პორნო, ანუ უხამსობა ლიტერატურის აკრძალვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ყოველთვის. როგორც ჩანს, კარგად მუშაობდა ხალხზე, ადვილად მიდიოდა აკრძალვის მესიჯი: იტყვი პორნოა, უხამსია და მერე იმტვირიოს თავი ავტორმა და მკითხველმა. ამ მიზეზით ვინ არ აუკრძალავთ – ჯეფრი ჩოსერიდან დაწყებული, ფოლკნერიც გაგრძელებული და აგერ ჩვენი „ცისფერყანწელე-

ბით“ დამთავრებული. უფრო სწორად, ერთ-ერთი „ცისფერყანწელის“ ელენე დარიანის „პორნოგრაფიულ“ ლექსებს დაედო ცენზურის ტორი. „ელენე დარიანი საშიშია. მას ტემპერატურა აწეული აქვს... სულიერი საუნჯე ელენე დარიანს არ გააჩნია. მას არ მოეპოვება ქალური მოკრძალება, არც სინაზე. ტლანქია და ის ჩვენს პოეზიას არაფერს მატებს“, – წერდნენ 1916 წელს გაზეთ „სამშობლოში“.

ამბობენ, ელენე დარიანი პაოლო იაშვილის ფსევდონიმი იყო, მაგრამ ეს სხვა დროს იყო. ახლა ისევე უცხოეთს უნდა დავუბრუნდე და ლუის კეროლის მაგნიტივით ზღაპარი უნდა გავისხენო. ტყუილად კი არ მიხსენებია თავშივე. კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ერთ-ერთი ყველაზე (ჩვენი ყურნალისტებისთვის რომ ვთქვათ) „აკრძალვადი“ წიგნი იყო.


აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ამ გემრიელ ზღაპარს სადმე აკრძალავდნენ. თანაც, ერთხელ კი არა, ორჯერ აკრძალავდნენ. ერთხელ დემოკრატიის აკვან ბრიტანეთში და მეორედ ტოტალიტარიზმის აკვან ჩინეთში. ჩინეთისგან აკრძალვა ვის გაუკვირდება, მაგრამ გასაკვირი მაინც იყო ერთი რამე, კერძოდ კი, აკრძალვის მოტივი, რომლის მიხედვითაც „ცხოველები არ უნდა საუბრობდნენ ადამიანების ენაზე, ცხოველთა და ადამიანთა თანაბარ მდგომარეობაში წარმოჩენა კატასტროფის ტოლფასია“.

აი, მიზეზი, თუ გინდა! ესე იგი, კრძალავ, აკრძალე, ვინ გიშლის, მაგრამ ეზოპე მაინც ხომ უნდა გქონდეს გაგონილი, არა?!

მართლაც, რა არათანმიმდევრული ხალხია ეს ცენზორები! 



პროკრედიტ ბანკში მიიჩვენე
ჩა აჩის ჩამოვიცხაქეთესი

 220 22 22
www.procreditbank.ge



ფოტო: ბარბაქო კორიკაშვილი

მომიტინგები რუსთაველის პროსპექტზე, 21 მაისი 2011

მიხიბვების წესები შესაძლოა, ბამბახიღეს

საპარლამენტო უმრავლესობის ახალი ინიციატივა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ წესების გამკაცრებას ითვალისწინებს. კანონპროექტში ზოგიერთი ის ნორმა, რომელიც აპრილში საკონსტიტუციო სასამართლომ „არაკონსტიტუციურად“ ცნო და გააუქმა, კვლავ ასახულია.

ახალი კანონპროექტით, ძალაში რჩება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული ნორმა, რომელიც ადმინისტრაციული შენობების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებას კრძალავდა. 100 მეტრიან რადიუსში იკრძალება შეკრების და მანიფესტაციების გამართვა სამხედრო ნაწილებისა და ობიექტების შესასვლელებთან. იზღუდება შენობის შესასვლელების, ავტომაგისტრალის და რკინიგზის ბლოკირება.

კანონპროექტის მიხედვით, მომიტინგებს ეკრძალებათ ცივი იარაღის და ისეთი საგნის, ან ნივთიერების ტარება, რომელიც საფრთხეს უქმნის შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

თუმცა სიახლეა ის ნორმა, რომლის მიხედ-

ვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან „განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა“ უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის და მოძრაობის აღდგენის შესახებ. კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს თხოვნის პროცედურას მომიტინგეთა მიმართ, რათა მათ გაათავისუფლონ გზის სავალი ნაწილი.

ახალი ნორმით „შესაბამის ორგანოს აქვს ვალდებულება, დაიცვას ბალანსი შეკრების თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, ვინც ცხოვრობს, ან მუშაობს იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს შეკრება. მათ ხელი არ უნდა შეეშალოს. ამ მიზნით შეიძლება, დაწესდეს დროისა და ადგილის შეზღუდვა და მოხდეს ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება“.

შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობაში დაგეგმილი ძირეული ცვლილებები მათის საპროტესტო აქციების დაშლის შემდეგ დაიგეგმა. ანალოგიურად, კანონმდებლობა 2009 წლის გაზაფხულზე გამართული საპროტესტო აქციების შემდეგ გამკაცრდა.

მაჩაბაიჩაიანი ჯომისია "აზვისსოს 5 დღის" პიჩაიანი პიჩაიის წინააღმდეგ

კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ქართულ ვებ-გვერდებს „აგვისტოს 5 დღის“ არალიცენზირებული ვერსიები მას შემდეგ ნააშლევინა, რაც „საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ“ კომისიას ფილმის ქართულ და უცხოურ „პირატულ ვებ-გვერდებზე“ განთავსების შესახებ აცნობა.

ქართულმა ინტერნეტ პროვაიდერებმა რამდენიმე ტორენტ საიტი დაბლოკეს, სადაც „აგვისტოს 5 დღის“ არალიცენზირებული ვერსია განთავსდა.

ნაიხაიანი ოსაქანაბი ჯონფიქსი ჯიბიონში

მსოფლიო მსოფლიო მსოფლიო საქართველოს პარლამენტი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში „ლეგიტიმურად მცხოვრები“ პირებისათვის პირადობის ნეიტრალური მონომობის და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის საკითხს განიხილავს.

ამ დოკუმენტებს სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები პირები ნებაყოფლობით აიღებენ და შეძლებენ საზღვარგარეთ მოგზაურობას, ასევე საქართველოში არსებული სოციალური სიკეთებით სარგებლობას. ნეიტრალური დოკუმენტის აღება საქართველოს მოქალაქეობის მიღებას არ ნიშნავს.

ნეიტრალური დოკუმენტების გაცემა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ნაწილია.

სახალხო დამცველის ანბანი



სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა 14 ივნისს პარლამენტს 2010 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გააცნო.

ის სასჯელალსრულების, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, სასამართლო სისტემაში არსებულ და დევნილთა, ეთნიკური უმცირესობების, მედიის და სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ გამოვლენილ

დარღვევებზე ხელისუფლების მხრიდან რეაგირებას და გამოძიების დაწყებას ითხოვს.

„თითოეული ფაქტი, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევას აღწერს, საჭიროებს არა კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს ადვოკატირებას, არამედ ამ დარღვევის წარმომშობი მიზეზების გაანალიზებას და ცვლილებებისკენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას“, – განაცხადა ტულუშმა. სახალხო დამცველი გამოსვლაში 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლისას გამოვლენილ დარღვევებსაც შეეხო.

26 მაისის ბათონი ბიძინაძე

26 მაისს აქციის დაშლისას ძალის გამოყენების გამო შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება ისევ მიმდინარეობს. დაზარალებულთა სარჩელებს განიხილავს პროკურატურაც.

16 და 17 ივნისს „ნეტგაზეთისა“ და „მედია პალიტრას“ ჟურნალისტები სახალხო დამცველის მიერ პროკურატურაში შეტანილი განაცხადის საფუძველზე გენერალურ ინსპექციაში დაკითხვაზე დაიბარეს. გამოძიება იმ პირების

იდენტიფიცირებითაა დაინტერესებული, რომლებმაც უფლებამოსილებას გადაამეტეს.

პარალელურად, 26 მაისს ქართული პოლიციის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენების საკითხის განხილვა 20 ივნისს ევროკავშირი-საქართველოს დიალოგის ფარგლებში იგეგმება. ბრიუსელში მხარეები ადამიანის უფლებების სფეროში არსებულ პრობლემებზე ისაუბრებენ.

ახალი ფინანსთა მინისტრი

პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ახალი ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე წარადგინა. გვინდაძე წინააღმდეგობა გაუწია, ფინანსთა სამინისტროში საგარეო ვალის პრობლემებზე მუშაობს. გილაურის თქმით, სწორედ გვინდაძის დამსახურებაა საქართველოს მიერ 10 წლიანი ევრობონდების გამოშვება.

გვინდაძე ახალ თანამდებობაზე მუშაობას 20 ივნისიდან დაიწყებს. ყოფილი

ფინანსთა მინისტრი კახა ბანდურაშვილი კი „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს უხელმძღვანელებს. მან თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.



ჩისხვენი

8000-მდე

აბონენტი ელექტროენერჯის გარეშე ახმეტასა და თელავში მომხდარი წყალდიდობის გამო დარჩა

5

თეთრით მოიმატა სანავის ფასმა

14%

საქართველოს მოსახლეობის იღებს ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით (CRRC)

სიტყვები



„ყველას ერთი პროგრამა აქვს: შევეკრათ რუსებს, დამპყრობლებს, დავამხოთ ჩვენი ქვეყანა და მოვამთავროთ ჩვენი დამოუკიდებლობა. მაგრამ აქ 5-6 ჯგუფი ერთმანეთს დღე და ღამე ჭამს. ისიც კი ვერ მოილაპარაკეს, რომ ერთიანად უღალატონ და ცალ-ცალკე ღალატობენ ქვეყანას.“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციის შესახებ აბიტურიენტებთან შეხვედრისას.

„ჩვენ დიდი ხანია მზად ვართ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად, უფრო მეტად, ვიდრე სხვა, დიდი და არცთუ ისე დიდი ქვეყნები; მაგრამ ცდილობენ, ზღვარგადასული დათმობები გამოგვტყუონ. ასეთი მიდგომა მიუღებელია და რუსეთისთვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებებზე ჩვენ არასდროს წავალთ.“

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი.



კი

ვახუშტი მენაბდე

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2011 წლის 18 აპრილს არაკონსტიტუციურად ცნო შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის რამდენიმე დებულება.

საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ 13 ივნისს ინიცირებულ იქნა კანონპროექტი, რომლის ერთი ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას ნაწილობრივ ეწინააღმდეგება. 17 ივნისს გაიმართა შეხვედრა კანონპროექტის ინიციატორებსა და სამოქალაქო სექტორს შორის, შედგა შეთანხმება, რომ შენიშვნები მთელ რიგ საკითხებზე აისახებოდა კანონპროექტში. შესაბამისად, წინამდებარე ტექსტში მიმოხილული იქნება მხოლოდ ის შენიშვნები, რაც ინიციატორებმა ბოლომდე არ გაიზიარეს.

▶ გაუქმებული კანონის მიხედვით, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზება ეკრძალებოდა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს. ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც ამ პირების მიმართ შეიძლება არსებობდეს, პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვაა (აქცია კი ყოველთვის არ არის პოლიტიკური ხასიათის). ამგვარი ბლანკეტური აკრძალვის გამო საკონსტიტუციო სასამართლომ კანონი არაკონსტიტუციურად ცნო. შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ასევე ბლანკეტურად ეკრძალებათ აქციის ორგანიზება.

▶ გაუქმებული კანონის მიხედვით, აკრძალული იყო შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება გარკვეული შენობების შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ ამგვარი აკრძალვა კონსტიტუციურად ცნო მხოლოდ ისეთ დაწესებულებებთან, როგორცაა „სამხედრო ნაწილი, პოლიციის წინასწარი დაკავების საკნები ან პენიტენციური დაწესებულება“. ყველა სხვა შემთხვევაში ამგვარი ბლანკეტური აკრძალვა არაკონსტიტუციურია. ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით კი იკრძალება სასამართლოების, ასევე რკინიგზის სადგურების, აეროპორტებისა და პორტების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრება. რაც დაუსაბუთებლად და ინდივიდუალური შემთხვევების გათვალისწინების გარეშე ზღუდავს შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებას.

გარდა იმისა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი კიდევ რამდენიმე ხარვეზს შეიცავს, მაგალითად, იკრძალება გარკვეული შენობების შეურაცხყოფა, არ არის ნათელი, რა მიზანს ემსახურება აღნიშნული აკრძალვა.

მართალია, კანონპროექტი ითვალისწინებს გარკვეულ პოზიტიურ ნაბიჯებს, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას. ■



ფოტო: მარია ქვიციანი

ზღუდავს თუ ახ. მანიფესტაციების შეკრებების სვლილები ბაზოსა

■ კანონპროექტის მიხედვით კი იკრძალება სასამართლოების, ასევე რკინიგზის სადგურების, აეროპორტებისა და პორტების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრება. რაც ზღუდავს შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებას.



აქცია პარლამენტის წინ, თბილისი, 25 მაისი 2011

ა "შეხიბებისა და სანახებ" ხანონში შესანიშნავის თავისუფლებას?

კრიტიკიუმების ჩამონათვალი მინიმალურად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას და ადგენს, რომ შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უსაფრთხოების დაცვისთვის.



არა

ჩიორა თაქთაქიშვილი

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორი ინტერესის შეჯერება – კანონმა უნდა უზრუნველყოს აქციაში ყველა მოქალაქის მონაწილეობა და მათ უნდა იცოდნენ, რის უფლება აქვთ. ასევე, მათი ჯანმრთელობის დასაცავად უნდა უზრუნველყვით ლეგიტიმური და ცივილიზებული გარემო.

ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შევიდა, ჩემი აზრით, არის კრიტიკიუმების ჩამონათვალი, რომელიც მინიმალურად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას და ადგენს, რომ შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უსაფრთხოების დაცვისთვის, მოქალაქეების ჯანმრთელობის დასაცავად და ა.შ.

შეზღუდვა უნდა იყოს არადისკრიმინაციული და შეზღუდვით დაცული სიკეთე ყოველთვის მიყენებულ ზიანს უნდა აღემატებოდეს. ეს მიდგომა ეხება კანონის ყველა მუხლს. მაგალითად, მუხლი ძეგლთა და ფასადების დაცვის თაობაზე არ გულისხმობს იმას, რომ ერთი ადამიანის მიერ ეროვნული მუზეუმისთვის კვერცხის სროლა შესაძლოა გახდეს აქციის დაშლის საბაბი. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, როცა ამას ექნება მასობრივი ხასიათი. თუმცა, გათვალისწინებულია სიკეთის ანონ-დანონვა – რა უფრო მნიშვნელოვანია 2000 ადამიანის მიერ აზრის ამ სახით გამოხატვა თუ შენობის დაცვა. თუ შენობის დაცვის გადანყვეტილება მიიღება, კანონში განერილია პროცედურა, როგორი უნდა იყოს რეაქცია: ვერ აქციის ორგანიზატორებს გააფრთხილებენ, რომ აქციის მონაწილეთა საქციელი უკანონოა. თუკი ასეთი გაფრთხილების მიუხედავად, აქციის ორგანიზატორები ზომებს არ მიიღებენ, ან მიიღებენ, მაგრამ მათ აღსრულებას ვერ შეძლებენ, ამ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა წესრიგის დაცვა.

ჩვენ ორი მიზანი გვაქვს – კანონმდებლობის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასთან შესაბამება და საკონსტიტუციო სასამართლოს გადწყვეტილების გათვალისწინება. ამავდროულად, გვინდა კანონის ორგვარი ინტერპრეტირების და მისი მუხლების ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოსვლის შემთხვევები აღმოფხვრათ. **■**



ფოტო: იზაბელ პასკალი / REUTERS

თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი მეუღლესთან ერთად მხარდამჭერებთან შეხვედრაზე, ანკარა, ივნისი 2011

არჩევნები თურქეთში

თუჩაქთი სტაბილიზაციას იჩივს

თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი არ ითვლება კონსენსუსის მოყვარულ პოლიტიკოსად. თუმცა, 12 ივნისის გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგები მას სხვა გზას არ უტოვებს.

დიანა ჩაჩუა

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა არჩევნებში გამარჯვებულის სიტყვა ზედიზედ მესამედ წარმოთქვა. „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ (AKP) ანკარის მთავარი ოფისის აივანზე ის სერიოზული გამომეტყველებით გამოვიდა და მშვიდად დაელოდა, სანამ ხალხის ტაში და შეძახილები „უსტატ, უსტატ“ (წინამძღოლი) ჩაცხრებოდა.

„კარდესლერ“ (ძმებო)! – მიმართა მან

ხალხს.

რაც წლები გადის, თურქეთის პრემიერ-მინისტრის ხმა სულ უფრო მშვიდი და განონანსორებული ხდება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ წლებიანდელ არჩევნებში სასურველი შედეგი მაინც ვერ მოიპოვა.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს რეჯეფ ტაიპ ერდოღანი აცხადებდა, რომ მისი მიზანი აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება იყო, რაც 550 ადგილიან პარლამენტში 367

ადგილს ნიშნავს. საბოლოოდ კი AKP-მ მხოლოდ 331 ადგილი მოიპოვა. ასეთი შედეგი შესაშური იქნებოდა ნებისმიერი პარტიისთვის, თუმცა არა მმართველი გუნდისთვის, რომელმაც აბსოლუტური უმრავლესობის არარსებობის გამო, ახალ კონსტიტუციაზე ექსკლუზიური საავტორო უფლების მოპოვების შანსი გაუშვა.

ამ არჩევნებზე ერდოღანის გამარჯვების საკითხი ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. მთა-

ვარი იყო, შეძლებდა თუ არა იგი აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებას, რაც მას დანარჩენ პარტიებთან კომპრომისის გარეშე საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების საშუალებას მისცემდა.

თურქი ექსპერტები ამბობენ, რომ არჩევნების შედეგები საკმაოდ ოპტიმისტურია, რადგან ხმები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა და ძალაუფლება ერთი პარტიის ხელში არ იქნება.

ახალ პარლამენტს ძალზე საპასუხისმგებლო მისია ეკისრება. მან ქვეყნის ახალი კონსტიტუცია უნდა მიიღოს. ახალ პარლამენტში გასული ყველა პოლიტიკური ძალა თანხმდება, რომ 1980 წლის გადატრიალების შემდეგ სამხედრო გენერლების ზედახედველობით მიღებული ქვეყნის მთავარი დოკუმენტი დემოკრატიული სახელმწიფოს თანამედროვე ამოცანებს ვერ პასუხობს.

ერდოღანი წინასაარჩევნო კამპანიის დროს არ მალავდა, რომ თურქეთის ფრანგულ ან რუსულ საპრეზიდენტო მოდელზე გადაყვანის მომხრეა. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ერდოღანს ძალაუფლების კიდევ ორი ვადით შენარჩუნების შესაძლებლობა ექნება, ამჯერად, უკვე პრეზიდენტის რანგში.

სწორედ ამის ემინია თურქეთის სახალხო რესპუბლიკურ პარტიას (CHP). მათი შეფასებით, საპრეზიდენტო მოდელს პუტინიზაციის და ერდოღანის ავტორიტარული ოცნებების ახდენის საფრთხე ახლავს.

თუმცა, აბსოლუტური უმრავლესობის გარეშე მმართველ პარტიას ახალი კონსტიტუციის თავის თავზე მორგების და ყველა საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის საშუალება არ ექნება.

აივანზე სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ხალხს მიმართა:

„ჩვენმა ერმა ახალი კონსტიტუციის მიღება დაგვაჯალა. მათ მიგვანიშნეს, რომ ახალი კონსტიტუცია კონსენსუსის და მოლაპარაკების გზით უნდა მივიღოთ. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა სრულ კონსენსუსს მივაღწიოთ“.

„არ აქვს მნიშვნელობა, ვის მიეცით ხმა – ჩვენ თუ რომელიმე სხვა პარტიას, თითოეული თქვენგანის ცხოვრების წესი და ღირებულებები ჩვენი სიამაყეა. ჩვენ დასასჯელად არ მოვსულვართ, ჩვენ მოვედით, რათა გვიყვარდეს,“ – მიმართავდა ერდოღანი შეკრებილებს.

თავის გამოსვლაში ერდოღანი ხაზგასმით გაემიჯნა ულტრა-ნაციონალისტურ „ნაციონალური მოძრაობის პარტიას“ (MHP), რომელიც დღემდე ქემალისტური თურქეთის იდეოლოგიას ეფუძნება და რომელიც ერთგულია პრინციპის – „ერთი იდენტობა (თურქი), ერთი სახელმწიფო (თურქეთი) და ერთი ენა (თურქული)“.

ერდოღანმა თავის გამოსვლაში ქურთები, არაბები, ჩერქეზები, ბოშები, ლაზები და ქართველებიც ახსენა და პირობა დადო, რომ თურქეთში „ყველა ეროვნების მოქალაქე პირველი კლასის მოქალაქე იქნება“. ამგვარად ერდოღანმა თურქებსა და არათურქებს შორის თანასწორობის შესახებ ისტორიული განაცხადი გააკეთა.

თურქეთის ახალი მონვევის პარლამენტში კიდევ რამდენიმე პოზიტიური სიახლე იქნება. მაგალითად, რეკორდული რაოდენობის – 78 ქალი დეპუტატი.

ამ რაოდენობის ქალების პარლამენტში გასვლამ ბევრს იმედი მისცა, რომ ეს თურქეთში ქალებისთვის თავსაბურავების ტარების საკითხს მოაგვარებს. საქმე ისაა, რომ რელიგიური თურქი ქალები აპროტესტებენ იმას, რომ საჯარო დაწესებულებებში მათ თავსაბურავების ტარება ეკრძალებათ. ამ წესის დაუმორჩილებლობა ბევრჯერ გამხდარა ქალების სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი.

პარლამენტს კიდევ უფრო მეტ პლურალიზმს ახალი სახეებიც შესძენენ. მათ შორის იქნებიან ყოფილი მემარცხენე სტუდენტური მოძრაობის ლიდერი ერტუგრულ კურკუ, რომელმაც დიდი ხანი ციხეში გაატარა და ასევე ქურთი პარლამენტარი ლეილა ზანა, რომელიც 1991 წლის მონვევის პარლამენტშიც იყო.

რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ლიდერს არც ახლო აღმოსავლეთისთვის დავიწყებია საგულისხმო მესიჯების გაგზავნა.

ერდოღანმა თქვა, რომ ამ არჩევნების პოზიტიურ შედეგს იგრძნობენ როგორც სტამბულში, ანკარასა თუ იზმირში, ასევე ბოსნიაში, ბეირუთში და დამასკოშიც. ამით თურქეთის პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ თურქეთი საერთაშორისო პოლიტიკის ახალ განზომილებებზე ფიქრობს და მზადაა გაზარდოს

საკუთარი როლი, როგორც რეგიონის ლიდერმა.

აშშ-ის და ევროპის ინტერვენციების ფონზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის თურქეთი, რომელიც განვითარების პოზიტიურ მაგალითს ქმნის, მიმზიდველი ალტერნატივაა თავისი ძლიერი ეკონომიკით, პოლიტიკური სტაბილურობითა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკით.

AKP-ის გამარჯვება დიდწილად სწორედ თურქეთის ეკონომიკური წარმატებითაა განპირობებული. გასული ათი წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი 5 პროცენტია. გასულ წელს 8,7 პროცენტიანი ზრდის წყალობით, თურქეთი მსოფლიოს სწრაფად მზარდ ქვეყნებს შორის, ჩინეთის და არგენტინის შემდეგ, მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

თურქმა ამომრჩეველმა მმართველი პარტია ევროკავშირში განევრიანების ჩავარდნის გამოც არ დასაჯა.

წინასაარჩევნო კამპანიისას პარტიის ლიდერები ევროკავშირზე საუბარს საერთოდ ერიდებოდნენ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ანკარაში ბრიუსელის მიმართ ინტერესმა იკლო. ევროკავშირში განევრიანების შესახებ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ AKP-ის მეორე ვადით არჩევნის შემდეგ გაიყინა.

ექსპერტები ამბობენ, რომ თურქეთი, სავარაუდოდ, არც ამ არჩევნების შემდეგ დაიწყებს ინტენსიურ კაჟუნს ევროკავშირის კარზე. ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ მმართველი ელიტა არ შეიცვლება საფრანგეთსა და გერმანიაში. სწორედ ამ ქვეყნებში არიან თურქეთის ევროკავშირში განევრიანების მიმართ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილები.

საპარლამენტო არჩევნების მოულოდნელ წარმატებად შეფასდა ქურთი უმცირესობის მიერ 550 ადგილიან პარლამენტში 36 ადგილის მოპოვებაც. ეს თურქეთის პარლამენტში ქურთების წარმომადგენლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ქურთებთან კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარება ის საკითხია, რომელსაც ერდოღანისთვის თანამედროვე თურქეთის ახალი ფუძემდებლის სტატუსის მოტანა შეუძლია. სწორედ ამიტომ AKP-ის მთავარი გამონვევა ქურთი უმცირესობებისთვის უსაფრთხო კულტურული და პოლიტიკური გარემოს შექმნა იქნება, რაც, პირველ რიგში, ახალ კონსტიტუციამ უნდა აისახოს. ■

რუსეთი და აშშ

მოსკოვის ჰიობესტი

აშშ-ის სამხედრო გემი „Monterey“-ს შემოსვლა შავი ზღვის აკვატორიაში რუსეთს ცივი ომისდროინდელ შიშებს უბრუნებს.

ვასო კუჭუხიძე

7 ივნისს შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების გემი „Monterey“, სანოტენელი პროგრამა „Sea Breeze 2011“-ის ფარგლებში, შავ ზღვაში შევიდა და უკრაინის ტერიტორიულ წყლებში ლუზა ჩაუშვა. მართალია, წლევანდელი წრთვანა მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება და მასში აშშ-ის გარდა 13 ქვეყნის სამი ათასზე მეტი სამხედრო მონაწილეობს, მაგრამ ამერიკული გემის გამოჩენამ რუსეთის სამხრეთ საზღვართან კრემლის გაღიზიანება მაინც გამოიწვია.

„Monterey“-ს მონაწილეობა „Sea Breeze 2011“-ის წვრთნებში მოსკოვში ამერიკელთა ცბიერ ნაბიჯად შეფასდა. უკვე რამდენიმე წელია, კრემლს პარანოიულად ეშინია ევროპაში ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის განლაგების და ამას მისკენ მიმართულ საფრთხედ აღიქვამს. აშშ-ის წარმომადგენლებმა ლისაბონის ნატოს სამიტზე არაერთხელ განაცხადეს, რომ თავდაცვის ფარი ირანიდან მომდინარე საფრთხის წინააღმდეგ არის მიმართული, თუმცა, ამას კრემლის სკეპტიციზმი არ გაუნულებია. დასავლეთმა რუსეთს არაერთხელ შესთავაზა თანამშრომლობა, მაგრამ კრემლის რიტორიკა უცვლელია, იგი ჯიუტად უსვამს ხაზს, რომ მშვიდად არ შეხვდება მისი ტერიტორიის გარშემო სტრატეგიული ინფრასტრუქტურის მქონე ამერიკული ელემენტების გამოჩენას.


საკუთარ საზღვრებთან ამერიკული სამხედრო ძალების გამოჩენაზე რუსეთის ხელისუფლება მწვავედ რეაგირებს და ეს რამდენიმე დღის წინაც გამოჩნდა. შავ ზღვაში ამერიკული გემის შესვლიდან რამდენიმე საათში ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც დაგმო

თეთრი სახლის გადაწყვეტილება და მას შენიღბული ოპერაცია უწოდა.

„თუ ეს არის ჩვეულებრივი ვიზიტი ასეთ მგრძობიარე რეგიონში, მაშ, რატომ აირჩიეს ასეთი შესაძლებლობების ხომალდი?“ – აცხადებენ რუსეთის საგარეო უწყებაში. უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო გემი „Monterey“ აღჭურვილია Aegis-ის უახლესი ანტისარაკეტო სისტემით.

სანოტენელი პროგრამა Sea Breeze 2011-ის ორგანიზატორები და დამფინანსებლები ამერიკისა და უკრაინის მთავრობებია. მოსკოვის მწვავე რეაქციას ორივე სწრაფად გამოეხმაურა. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ უკრაინული მხარე სამხედრო-საზღვაო სწავლება „Sea Breeze 2011“-ში ვერ ხედავს ვერანაირ რეალურ თუ პოტენციურ საფრთხეს, რომელიც მიმართული იქნებოდა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, იგი ქვეყნებს შორის ნაყოფიერი ურთიერთქმედების გარანტი შეიძლება, გახდეს. „პროგრამაში მონაწილეობისათვის მიწვეული იყო შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები, მათ შორის, რუსეთიც. წრთვნების მთავარი მიზანია, სხვადასხვა ქვეყნის სამხედროებს შორის ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება, რაც, საბოლოო ჯამში, ყველა ქვეყნისათვის სარგებლის მომტანი იქნება,“ – ნათქვამია განცხადებაში.

ვამინგტონში გაკეთებულ განცხადებაში კი აღნიშნულია, რომ ანტისარაკეტო ფარის შექმნა, დღევანდელი გამოწვევებიდან გამომდინარე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია, შესაბამისი



შეთანხმება რუსეთთანაც მიღწეულია. ხელშეკრულება კი ითვალისწინებს ანტისარაკეტო სისტემებით აღჭურვილი გემების განთავსებას ხმელთაშუა ზღვაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შავ ზღვაშიც. აქედან გამომდინარე, გაუგებარია რუსეთის მწვავე რეაქციის მიზეზი. „მართალია, მოსკოვს აქვს აზრის გამოთქმის საშუალება, მაგრამ წრთვნები დაგეგმილ ფარგლებში მიმდინარეობს, მეკობრეობის წინააღმდეგ არის მიმართული და რუსეთს საფრთხეს არ უქმნის, ამიტომაც მასში კორექტირების შეტანა არ იგეგმება“ – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარკ ტონერმა.

ექსპერტები რუსეთის მწვავე რეაქციას სოჭის ზამთრის ოლიმპიადას უკავშირებენ. დიდია მოლოდინი რეგიონში კონ-



შვერტული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების გემი „Monterey“ შავ ზღვაში, 7 ივნისი 2011

■ მართალია, წლევანდელი წრთვნა მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება და მასში აშშ-ის გარდა 13 ქვეყნის სამხედრო მონაწილეობს, მაგრამ ამერიკული გემის გამოჩენამ რუსეთის სამხრეთ საზღვართან კრემლის გაღიზიანება მაინც გამოიწვია.

ფლიქტის ესკალაციისა და ოლიმპიადის ჩაშლისა, ამიტომ კრემლი ცდილობს, რეგიონში უსაფრთხოების ზომები გაამკაცროს და ამით თავიდან აიცილოს მოსალოდნელი გართულებები. მოსკოვი ამ საკითხის მიმართ უკიდურესი მგრძობელობით გამოირჩევა. ასეთ დროს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რეგიონში სხვა ქვეყნის სამხედრო გემის გამოჩენა, რა თქმა უნდა, კრემლს მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს.

ამკარაა, რომ მოსკოვის უმთავრესი თავსატეხი კონკრეტულად ხომალდი „Monterey“ გახლავთ და არა „Sea Breeze“-ის სანვრთნელი პროგრამა. აშშ-ის სამხედრო გემზე განთავსებულია უახლესი კომპიუტერული მოწყობილობები, რომელთა შესაძლებლობებში შედის დაზვერვა, მართვა და განადგურება. Aegis-

-ის სისტემის შემადგენელი ელემენტებია: რადიოლოკაციური სადგური, საჰაერო და წყალზედა ობიექტების აღმოჩენის შესაძლებლობით, ჰიდროაკუსტიკური სადგური წყალქვეშა ხომალდების აღმოჩენისათვის და ავტომატიზირებული ქვესისტემები, რომელთაც ნებისმიერი ტიპის ობიექტის აღმოჩენა შეუძლიათ საკმაოდ დიდ რადიუსზე.

გარდა ამისა, ამერიკული სამხედრო-საზღვაო გემის გამოჩენა შავ ზღვაში საეჭვოდ დაემთხვა რუსეთის დამოუკიდებლობის 20 წლის თავს. რუსი ექსპერტების აზრით, ვაშინგტონის ეს ნაბიჯი ზედმეტად პროვოკაციული იყო და მიზნად ისახავდა მოსკოვის მოთმინების ინდექსის განსაზღვრას. ბრალდებას ამერიკელი მაღალჩინოსნები აბსურდულს უწოდებენ, მათი განცხადებით, მსგავსი

წრთვნები ამერიკა-უკრაინის თანამშრომლობის ფარგლებში 1997 წლიდან იმართება და იგი არავის „მოთმინებიდან გამოყვანას“ არ ემსახურება.

მწვავე რეაქციას ლოგიკურად მიიჩნევს რუსეთის დუმის დეპუტატი კონსტანტინ ზატულინი, რომელიც კრემლის გამამართლებელ საბუთებს წარსულში ეძებს. „გახსოვთ კუბის კრიზისი? რატომ ჰქონდათ ამერიკელებს ისე მწვავე რეაქცია, როდესაც საბჭოთა კავშირმა კუბაში ბირთვული რაკეტები განათავსა? მაშინ ვაშინგტონმა დაპირისპირება თითქმის ბირთვულ ომში გადაზარდა, ამჯერად კი, როდესაც არანაკლები შეიარაღებით აღჭურვილ გემს ჩვენს საზღვრებთან აჩერებენ, უკმაყოფილების გამოთქმის საშუალებასაც არ გვაძლევენ“, – აცხადებს დეპუტატი. ■

თვალსაზრისი

პროუკორონი, ერი თუ მოქიდავა

სამხრეთ ოსეთში, საპრეზიდენტო არჩევნებამდე 6 თვით ადრე, ადგილობრივი ძალოვნები კოკოითის მესამე ვადით გაპრეზიდენტებისთვის იბრძვიან. კრემლი კი სამხრეთ ოსეთისთვის ახალ მმართველს ეძებს.

მარია ბესტაევა

ნოემბერში სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნებია, თუმცა დღემდე ბუნდოვანია იმ პოლიტიკოსთა ვინაობა, რომლებიც პრეზიდენტის სავარძლისთვის იბრძოლებენ.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს, ედუარდ კოკოითს, კონსტიტუციის თანახმად, მესამე ვადით კენჭისყრის უფლება არ აქვს.

გასულ კვირას უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა რესპუბლიკაში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. თავდაცვის მინისტრის მოადგილის იბრაგიმ გასეევის ხელმძღვანელობით შექმნილი, უმეტესად ძალოვნებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რეფერენდუმზე შემდეგი კითხვის გატანას ითხოვდა: „თანახმა ხართ თუ არა, რომ ერთი და იგივე პირი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ზედიზედ სამჯერ გახდეს“.

უზენაესმა სასამართლომ კოკოითის მესამე ვადით გაპრეზიდენტების მხარდამჭერებს უარი უთხრა. გადაწყვეტილების გამოცხადების მეორე დღეს კი სახელმწიფო დაცვის სამსახურისა და თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე შეიჭრნენ და უკვე დეპუტატებს მოსთხოვეს კოკოითისთვის მესამე ვადის უზრუნველყოფა.

პარლამენტში ისეთი ხმაური ატყდა, რომ რუსულმა მედიამ ძალოვნების მიერ პარლამენტის დაკავების ინფორმაცია გაავრცელა, კოკოითიმ საკუთარ მხარდამჭერთა ეს საქციელი დაგმო და გენერალურ პროკურორს ამ ინციდენტით

დანიტერესება დაავალა.

თუმცა ცხინვალელი ექსპერტები ამბობენ, რომ რესპუბლიკის პირველი პირის ეს მოჩვენებითი გაცხარებაც და სასამართლოს გადაწყვეტილებაც ერთი სექტაკლის ნაწილია. კოკოითი ახალ თამაშს

თამაშობს – თითქოს წასვლა უნდა, მაგრამ მხარდამჭერები დარჩენას სთხოვენ. ფაქტია, რომ რესპუბლიკაში, სადაც დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს, ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტას ვერც ერთი მოსამართლე ვერ გაბედავდა. სასამართლოს ტონი თავად კოკოითიმ მისცა, როცა გადაწყვეტილების გამოტანამდე ერთი დღით ადრე განაცხადა, რომ რაც უნდა თქვას მოსამართლემ, იგი მესამე ვადით არ დარჩება.

სამხრეთ ოსეთში დარწმუნებულები არიან, რომ ეს კოკოითის მორიგი ფანდია იმისთვის, რომ მაქსიმუმ – ისევ პრეზიდენტის პოსტზე დარჩეს, მინიმუმ კი – მოსკოვის მხრიდან ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღოს.

ხელშეუხებლობის გარანტიები კი ედუარდ ჯააბეის ძე კოკოითისთვის დღეს ძალიან მნიშვნელოვანია.

თავისუფალ ქიდაობაში საქართველოს სსრ-ის ჩემპიონი ედუარდ კოკოითი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი 2001 წელს გახდა. 2006 წლის ნოემბერში იგი მეორე ვადით აირჩიეს.

კოკოითი ცნობილია როგორც პოლიტიკოსი, რომელიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების მომხრეა.

2008 წლის 11 სექტემბერს საერთაშორისო სადისკუსიო კლუბის „ვალდაის“ შეკრებაზე კოკოითიმ თქვა: „ჩვენ რუ-



ფოტო: დანიელ ბანაშვილი / REUTERS

ედუარდ კოკოითი

■ **ხელშეუხებლობის გარანტიები ედუარდ ჯააბეის ძე კოკოითისთვის დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია.**

სეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევალთ და არავითარი თავისუფალი ოსეთის მშენებლობას არ ვაპირებთ“. ეს სიტყვები მან იმავე საღამოს უარყო და აღნიშნა: „ჩემი სიტყვები არასწორად გაიგეს. მე ვთვლი, რომ ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე უარის თქმას. ეს დამოუკიდებლობა დიდი მსხვერპლის შედეგად მოვიპოვეთ. სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას არ აპირებს“. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ მეორე განცხადება მან კრემლის მხრიდან დატუქსვის შემდეგ გააკეთა.

კოკოითს ცხინვალში იმის გამოც აკრიტიკებენ, რომ 2008 წლის ომის დღეებში იგი ცხინვალში არავის უნახავს. ომის დღეებში კოკოითმა ჯერ რუსეთის საზღვართან მდებარე ჯავას შეაფარა თავი, შემდეგ კი საერთოდაც წავიდა რესპუბლიკიდან.

თუმცა, დღეს მისი მისამართით ყველაზე მწვავე კრიტიკა მაინც ომის შემდეგ სამხრეთ ოსეთის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვას უკავშირდება – ომიდან 3 წლის თავზე ცხინვალში კვლავ გუმინდელ ნაომარ ქალაქს ჰგავს.

თავად ედუარდ ჯაბევიჩმა სხვებზე უკეთ უწყის, ვინ მართავს რესპუბლიკაში პროცესებს, ამიტომ კრემლის ნების საწინააღმდეგოდ ვერ წავა. ერთადერთი, რაც მას უნდა, მისი და მისი ოჯახის ფიზიკური და ფინანსური ხელშეუხებლობის გარანტიის მიღებაა და ამ გარანტიის გაცემა მხოლოდ მოსკოვს შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ კოკოითს კრიტიკისთვის ბევრი მიზეზი აქვს, მისი ოპოზიცია ძალიან სუსტია. კოკოითის ოპოზიცია, რომელსაც ცხინვალში აქტიურობის საშუალებას არ აძლევენ, ამისთვის მეზობელ ვლადიკავკაზს იყენებს.

„კოკოითი სააკაშვილზე უარესია“, „პუტინო და მედვედეო! დაგვიცავით კოკოითის ტირანისგან“, „კოკოითი რუსეთის სამხრეთით არასტაბილურობის ფაქტორია“ – ამ და სხვა მსგავსი შინაარსის ტრანსფარანტებით შეიარაღებული ხუთასამდე მომიტინგე მაისში, ვლადიკავკაზის ცენტრში რუსეთის ხელისუფლებას კოკოითის ხელისუფლებით დაინტე-

რესებისკენ მოუწოდებდა.

პროტესტი სამხრეთ ოსეთის „სახალხო ფრონტის“ მიერ იყო ორგანიზებული. ამ პოლიტიკურ მოძრაობაში ის ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ, რომლებსაც სამხრეთ ოსეთში მოღვაწეობის საშუალება არ აქვთ – იუსტიციის სამინისტრომ ეს პარტიები არ დაარეგისტრირა.

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სამხრეთ ოსეთის ოპოზიციამ გაერთიანება მოახერხა. „სახალხო ფრონტის“ მთავარი ამოცანა ნოემბრის არჩევნებისთვის მომზადება და ერთიანი კანდიდატის დასახელებაა.

„სახალხო ფრონტის“ ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ლიდერი ჯამბოლატ თადევეია – თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომელსაც კოკოითთან პირადი მტრობა აქვს.

თადევეია ვლადიკავკაზში გამართულ აქციაზე განაცხადა, რომ მზადაა ოპოზიციის მხრიდან პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატი გახდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ სხვა ქარიზმატული კანდიდატურები „სახალხო ფრონტს“ არ ჰყავს, საგარაუდოდ, კანდიდატად სწორედ ჯამბოლატ თადევეს დაასახელებენ.

თადევეის გასანეიტრალებლად კოკოითმა თადარიგი უკვე დაიჭირა: სამართალდამცველებთან შელაპარაკების გამო თადევეის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და მას ერთი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში შესვლა ეკრძალება.

კიდევ ერთი პოლიტიკოსი, რომელმაც ლიად განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის სურვილი აქვს, იუსტიციის სასამართლოს მოსამართლე სერგეი ბითიევია.

თავად კოკოითი, იმ შემთხვევაში, თუ იგი მესამე ვადით მართლაც არ დარჩება, საგარაუდოდ, თავის მემკვიდრედ გენპროკურორს თეიმურაზ ხუგაევს დაასახელებს. ხუგაევს ხალხის მხარდაჭერის მოპოვება გაუჭირდება. ბევრად უფრო პოპულარულია მოსკოვში სამხრეთ ოსეთის ელჩი დმიტრი მედოევი, რომელიც ასევე განიხილება პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად.


თუმცა, თუ კოკოითი თავის მემკვიდრეს დაასახელებს, ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ ეს კანდიდატი ავტომატურად პრეზიდენტი გახდება. სამართლიანი არჩევნების გამოცდილება სამხრეთ ოსეთში უკვე არსებობს – 2001 წელს სამხრეთ ოსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი რესპუბლიკა გახდა, სადაც მოქმედმა პრეზიდენტმა – ლუდვიგ ჩიბიროვმა არჩევნები წააგო.

ჩრდილო-ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი რუსლან ლეკოვი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებს ძალიან გაუჭირდება მოსახლეობის ხმების მოპოვება: „ხალხი იმდენად გადაღლილია კოკოითის მმართველობით და ფუჭი დაპირებებით, რომ ზოგადად პოლიტიკოსების მიმართ დამოკიდებულება ნეგატიური ხალხი ძნელად დაიჯერებს წინასაარჩევნო დაპირებებს“.

სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო საიტის „Uasamonga.ru“-ს ხელმძღვანელი სოსლან კოკოევი ამბობს, რომ კოკოითის მდგომარეობა რთულია, რადგან მას დღეს თავის გარემოცვაში არ ჰყავს ადამიანი, რომელსაც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა მხარს დაუჭერდა.

ცხინვალელი პოლიტოლოგი ინალ პლიევი ამბობს, რომ კანდიდატების ვინაობა, საგარაუდოდ, ივლისისთვის გახდება ცნობილი. „ერთი შეიძლება ითქვას – ვინც უნდა იყვნენ ეს კანდიდატები, ისინი რუსეთთან პარტნიორობაზე იქნებიან ორიენტირებულნი“.

ვის დაუჭერს მხარს კრემლი, საპრეზიდენტო არჩევნებზე, გადაწყვეტი იქნება. თუმცა, საკუთარი კანდიდატის გამჭლავნებას მოსკოვი ჯერ არ ჩქარობს.

ფაქტია, რომ მოსკოვი უკვე დაიღალა გაუმძღარი ლიდერის რჩენით და 2011 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მის შემცვლელს ეძებს. 



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის ავტორის, გამომცემის ან ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

თვალსაზრისი

საქართველოს ახრევანი (ნაწყობი ხვედრად)



ტომ დე ვალი, კარნეგის ფონდის ანალიტიკოსი

საქართველოს ახალმა მმართველმა ელიტამ მისი პოსტ-საბჭოთა მეზობლებისგან განსხვავებული გზა აირჩია, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მთავრობა ჩამოაყალიბა და სახელმწიფოს შენებისა და მოდერნიზების გამორჩეულ პროექტს შეუდგა. კვალიფიკაციის, გამართლებისა და შესანიშნავი პიარის წყალობით, ასევე დასავლელი მეგობრების მხარდაჭერით, ამ ახალგაზრდა ლიდერებმა მოახერხეს, საქართველოსკენ სასურველი საერთაშორისო ყურადღება მიეპყროთ.

რასაც ამ გუნდმა მიაღწია, სრულიად ხელშესახებია. მათ წარმატებით აღმოფხვრეს კორუფცია და კრიმინალი და მოიზიდეს უცხოური ინვესტიციები. საქართველოში ახლა მუშაობს კარგად გამართული საჯარო მომსახურება, რასაც ვერ ვიტყვით მისი მეზობელი ქვეყნების უმეტესობაზე. აქ თქვენ შეგიძლიათ, იყიდოთ ბინა, ან დაჩქარებულად აიღოთ მართვის მოწმობა ისე, რომ ჩინოვნიკის მოქრთამვა არ დაგჭირდეთ – ამ ქვეყნისა და რეგიონის ტრადიციების გათვალისწინებით კი, ეს არცთუ ხელნამოსაკრავი მიღწევაა.

„პირველი, რაც უნდა გაგვეკეთებინა, ავგიას თავლა უნდა გაგვეწმინდა და შეგვექმნა სახელმწიფო, რომელიც ელემენტარული ფუნქციების შესრულებას და მომსახურების განევას შეძლებდა“, – აცხადებს გიგა ბოკერია.

თუმცა, ბოკერიას ეს ფრაზაც იმაზე მიაჩნებოდა, რომ საქართველო ჯერაც მხოლოდ ხანგრძლივი პროცესის დასაწყისში დგას. 2011 წელს კი ჩნდება შემამოფოთებელი ნიშნები იმის შესახებ, თუ, სა-

ერთოდ, რა მიმართულებით მიიწევს წინ საქართველო.

თანამედროვე ქართულ პროექტს მრავალი შინაგანი წინააღმდეგობა აქვს და გაცილებით უფრო შეზღუდულია, ვიდრე ზედაპირულად ჩანს. ზოგიერთი რეფორმის წყალობით მოგვარდა ერთი კონკრეტული პრობლემა, მაგრამ წარმოიშვა მეორე. მაგალითად, პოლიციის რეფორმა და ძალზე წარმატებული ბრძოლა კრიმინალისა კორუფციის წინააღმდეგ გავისხენოთ. ამ პროგრესულ ცვლილებებს შედეგად მოჰყვა ისეთი სისხლის სამართლის სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც თითქმის შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებუ-

■ თუ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური სცენიდან მშვიდობიან გასვლას შეძლებს, ეს პოზიტიური, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, თუმცა, ცხადია, არ არსებობს გარანტია, რომ ლიდერი, რომელიც მას შეცვლის, უფრო პროგრესული იქნება.

ლის გამართლება, ციხეები გადაჭედლია, შინაგან საქმეთა სამინისტრო კი მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფრთაა. გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოები, მაგალითად საგადასახადო პოლიცია, უდიდეს ძალაუფლებას ფლობს და პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტადაც აღიქმება.

მმართველი ელიტა თავდაჯერებულად გამოიყურება და, თითქოს, შესწევს კიდევ უნარი, 2012-13 წლების გარდამავალი პერიოდი ზიანის გარეშე გადააგოროს. ძლიერი პოლიტიკური ოპოზიცია კვლავაც არ ჩანს, მთავრობა კი ფლობს საკმარის სახელმწიფო კონტროლს იმისთვის, რომ რამე მსგავსი ძალის აღმოცენებას შეუშალოს ხელი. როგორც პოლიტიკური ანალიტიკოსი, არჩილ გეგეშიძე ამბობს, „მმართველ ელიტას საპირწონე ძალა ისევე საკუთარი რიგებიდან თუ გამოუჩნდება“.

2011 წელს ეკონომიკა მკვეთრად გაუარესდა, მაღალმა ინფლაციამ და სტაბილურად მაღალმა უმუშევრობის დონემ სულ უფრო მეტი ქართველი გააღარბა. მაგრამ საქართველოს არ გააჩნია სოციო-ეკონომიკური პროტესტის ტრადიცია. ამიტომ ერთადერთი, რადაც მოსახლეობის უკმაყოფილება შეიძლება გარდაიქმნას, საერთო აპათიაა და არა ძლიერი პოლიტიკური დაპირისპირება, რომლის გამოყენებასაც ოპოზიციური პარტიები შეძლებდნენ.

იმ საერთაშორისო ძალებისთვის, რომლებიც გარედან აკვირდებიან საქართველოს, ამ ეტაპზე უმთავრესი საკითხი მომავალი არჩევნების ჩატარებაა. მთავარი კითხვა კი ესეა იმ პიროვნების პოლიტიკურ მომავალს, რომელიც 2004 წლიდან მართავს ქვეყანას. თუ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური სცენიდან მშვიდობიან გასვლას შეძლებს, ეს პოზიტიური, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, თუმცა, ცხადია, არ არსებობს გარანტია, რომ ლიდერი, რომელიც მას შეცვლის, უფრო პროგრესული იქნება.

არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს

წარმოდგენს ისიც, თუ როგორ აპირებს მმართველი ელიტა იმ ძალაუფლების განკარგვას, რომელსაც 2012-2013 წლებში დააგროვებს. მთავრობის გრძელვადიანი სტრატეგია დამკვირვებლებისთვის ჯერჯერობით გამოკვეთილი არ არის და შესაძლოა, ის ამ ეტაპისთვის ბუნდოვანი იყოს თავად მმართველი ელიტისთვისაც.

პრეზიდენტი სააკაშვილი, თავისი დინამიკური მმართველობის სტილის გამო, ყოველთვის უფრო მეტ დაპირებას იძლეოდა, ვიდრე შესრულება შეეძლო. მას

მაღალამბიციური, თუ თითქმის შეუძლებელი არა, მიზნები დასახა. მათ შორის იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, ექსპორტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის გაორმაგება, უმუშევრობის ახლანდელი მაჩვენებლის განახევრება, საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის 50 პროცენტით გაზრდა, მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა 5 მილიონამდე, და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა ევროკავშირსა და შერტებული შტატებ-

რად აწყობს“. თუმცა, ცხადია, ამ ტაქტიკას უდროო მოლოდინის წარმოშობის რისკი ახლავს თან, რასაც შემდეგ მწვავე ცინიზმიც შეიძლება მოჰყვეს, თუკი მიზნები დათქმულ დროში რეალობად არ იქცა.

ჯერჯერობით, სტრატეგიული შეცვლინებები ბევრი და შერეულია. სააკაშვილს მოჰყავს სინგაპურის, დუბაის, შვეიცარიის, ესტონეთის მაგალითები საქართველოსთვის.

ამ ანგარიშში გამოკვეთილია სამი ძირითადი მიმართულება, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ და ეკონომიკურ გეზს განსაზღვრავს და ქვეყანაში თავისი მხარდამჭერებიც ჰყავს. ერთ-ერთი მათგანია „ძველი საქართველო“, რომელიც არ გახლავთ წმინდა წყლის ეკონომიკური მოდელი, მაგრამ ყველაზე ნათლად გამოხატავს იმ ტრადიციულ მიდგომებს, რომელთაც დღემდე იყენებენ ოჯახურ, სამსახურებრივ თუ ბიზნეს ურთიერთობებში. თუკი ეკონომიკა გაუარესდება, დასავლური ქვეყნები ინტერესს დაკარგავენ და ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე აგრესიული ფიგურები მეტ ძალაუფლებას მოიპოვებენ, საქართველო შესაძლოა, მართლაც აღმოჩნდეს ამ „ძველ“ რეალობაში.

მეორე იდეას „საქართველოს სინგაპურიზაციის“ მოდელი“ ჰქვია, იმის მიუხედავად, რომ ის თავისი ძირითადი ასპექტებით სინგაპურის რეალური პრაქტიკისგან მკვეთრად განსხვავდება. თუმცა, ამ მოდელით იხატება მცირე რეგულაციების, დაბალი გადასახადებისა და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს მქონე საქართველოს სურათი; ქვეყნისა, რომელიც აუცილებლად იხეირებს სწრაფი ეკონომიკური ზრდით, თუკი ყველანაირ ინვესტორს გაუხსნის საზღვრებს და თავს მკაცრი რეგულაციებით არ დაიმძიმებს. ეს ულტრა-ლიბერალური იდეები ჯერ კიდევ რჩება სააკაშვილის ადმინისტრაციისთვის შთაგონების მთავარ წყაროდ, როგორც, მაგალითად, ბათუმის გამოცხადება იყო ტურიზმისა და კაზინოების ცენტრად მთელ რეგიონში.

ყველაფერი, რაც საქართველოს ტურისტების მიზიდვაში დაეხმარება, მისასალმებელია. თუმცა, საქართველოსთვის



მმართველი ელიტა თავდაჯერებულად გამოიყურება და, თითქოს, შეხწვს კიდევ უნარი, 2012-13 წლების გარდამავალი პერიოდი ზიანის გარეშე გადააგოროს.

ფოტო: ირაკლი ბაგდანიძე

უყვარს თამამი განცხადებების გაკეთება საქართველოს წარმატებებსა და პრესპექტივებზე, მაგრამ არ უყვარს საზოგადოებისთვის იმის ახსნა, თუ რისთვისაა საჭირო ეტაპობრივი ინსტიტუციური რეფორმები. თავის ბოლო ყოველწლიურ საპარლამენტო გამოსვლაში 2011 წლის თებერვალში, სააკაშვილმა 2015 წლისთვის

თან. პოლიტოლოგი არჩილ გეგეშიძე ამბობს, რომ საქართველოს შორეული ნათელი მომავლის წარმოდგენა პრეზიდენტის საყვარელი პოლიტიკური ტაქტიკაა. „ყოველ ჯერზე, როცა მის წინაშე ახალი პრობლემა იჩენს თავს, ის ახალ სამომავლო მიზანს სახავს და მომავალსაც ახლებუ-

სინგაპურის მოდელის დასახვა უფრო მეტ კითხვას აჩენს, ვიდრე პასუხებს.

ამ მიდგომის უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ კულტურული, გეოგრაფიული და პოლიტიკური მიზეზების გამო მისი მიღწევა საქართველოში უბრალოდ შეუძლებელია; ხოლო თუკი მოდელის დოგმატურად გადმოტანას ვეცდებით, საქართველოში არსებული სოციალური ნაპრალი კიდევ უფრო გაფართოვდება. მოქმედი ხელისუფლების სტრატეგიის იმ ნაწილმა, რომელიც წარმატებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ნამდვილად არგო ურბანულ ელიტას (რომელიც სინგაპურს აქვს), მაგრამ თითქმის ვერაფერი მოუხერხა სოფლად მცხოვრები ღარიბი მოქალაქეების პრობლემებს (რისი ანალოგიც სინგაპურში არ აქვთ).

მესამე ეკონომიკურ მოდელს ევროკავშირი წარმოგვიდგენს. ის საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე ეტაპობრივ ინტეგრაციას ჰპირდება. მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ინსტიტუციებისა და რეგულაციების სწორად გამართვით ქვეყანამ ააშენოს ისეთი ეკონომიკა, რომელიც მალე მაღალი სტანდარტის მქონე პროდუქციას შექმნის და ფართო ევროპულ ბაზარზეც თავის ადგილს დაიმკვიდრებს.

ამავდროულად, უფრო მჭიდრო ინტეგრაციის პირობებში ევროკავშირი სხვა შედეგადაც გაუწევს საქართველოს მოქალაქეებს, როგორცაა, მაგალითად, ევროკავშირში უვიზო მოგზაურობა. საქართველოს განვითარების პერსპექტივა მართალია, ჯერ კიდევ ძალიან ბუნდოვანია, მაგრამ შესაძლოა, აქტუალური სამომავლოდ მანაც გახდეს, თუკი, საქართველო განაგრძობს ევროსტანდარტების მიმართულებით სვლას.

ევროპული არჩევანი ითვალისწინებს გეოპოლიტიკურ კომპონენტსაც, რისი განხილვაც ამ ანგარიშის ძირითად მიზნებს სცდება. რუსეთი და მისი არასტაბილური რეგიონები ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოსთვის ქმნის რთულ სამეზობლო ვითარებას იმ ფონზე, როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ უთანხმოება, სავარაუდოდ კიდევ წლების განმავლობაში ვერ გადაწყდება. ევროკავშირში უფრო ინტენსიურმა ინტეგრაციამ საქართველოს შეიძლება ეკონომიკური

სასწაული არ მოუტანოს, მაგრამ ის ნამდვილად უზრუნველყოფს ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას, რომელიც, თავის მხრივ, წაადგება ეკონომიკასაც.

ევროპის საკითხთან მიმართებაში ოფიციალური ქართული ლექსიკა ხშირად გაუგებარი და ბუნდოვანია. ამიტომ ნამდვილად პოზიტიური ცვლილებაა ის, რომ სააკაშვილმა და სხვა ქართველმა მაღალჩინოსნებმა სინგაპურისა და ევროპის თემების გაერთიანება სცადეს და განვითარების მოდელად ახლა ესტონეთი დასახეს – პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელმაც ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები ჩაატარა და ევროკავშირის

■ ევროპის საკითხთან მიმართებაში ოფიციალური ქართული ლექსიკა ხშირად

ბუნდოვანია. ამიტომ პოზიტიური ცვლილებაა ის, რომ სააკაშვილმა სინგაპურისა და ევროპის თემების გაერთიანება სცადა და განვითარების მოდელად ახლა ესტონეთი დასახა.

წევრიც გახდა. 2011 წლის 1 თებერვალს პრეზიდენტმა განაცხადა: „ჩვენ ვთქვით, რომ ვისწავლით ესტონეთისა და სინგაპურისგან.“

ესტონეთი კარგი მაგალითია საქართველოსთვის, რადგან ამ ქვეყანამ შეძლო, შეენარჩუნებინა თავისი კონკურენტუნარიანი, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო და ამის პარალელურად პრინციპულად აელო გეზი ევროკავშირისკენ. თუმცა, თუ საკითხს უფრო ჩაუღრმავებთ, ესტონეთის გამოცდილება დაგვარწმუნებს იმაშიც, თუ რა გრძელი გზა აქვთ ქართველებს გასავლელი, თუკი ევროკავშირთან დაახლოება სურთ. 2010 წლის იანვარში, სააკაშვილთან ერთად გამოსვლისას ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ილვესმა თავის ქართველ კოლეგებს მოთმინებისკენ მოუწოდა და ურჩია, უფრო მეტი კონცენტრაცია სახელმწიფოს შიდა მშენებლობისთვის დაეთმოთ: „ფუჭი იქ-

ნება იმ პრობლემებზე ენერჯის ხარჯვა, რომელთა მოგვარებაც ახლო მომავალში შეუძლებელია. საქართველომ საჭიროა, გამოამჟღავნოს სტრატეგიული მოთმინება და ერთგულემა სახელმწიფოს წარმატებული მშენებლობის იდეისადმი“.

ევროკავშირში განვითარებით, ესტონეთმა ინსტიტუციების მშენებლობის დავალების შესრულებისას ძალიან პროაქტიური და ზედმინევი მეთოდური მიდგომა აირჩია. ვგულისხმობთ იმას, რომ ამ ქვეყანამ საკუთარ კანონებად გარდაქმნა განვითარებისთვის საჭირო, 75 ათას გვერდზე მეტი ევროკავშირის საკანონმდებლო დოკუმენტაცია (acquis communautaire). ესტონეთმა საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადადგა 2011 წელს ევროზონაში განვითარებითაც. ესტონელი დიპლომატი, რომელიც ახლოს იცნობს საქართველოს მდგომარეობას და თანაუგრძობს კიდევ მას რუსეთთან პრობლემების გამო, ქართველებს პასიურობაში ადანაშაულებს. ის ფიქრობს, რომ ქართველების ბრალია, ამ რთული სამუშაოს შესრულებას მეტი ძალისხმევით რომ არ შეუდგნენ. რაც შეეხება ევროკავშირში ესტონეთის განვითარებას, ის ამბობს: „ჩვენ უბრალოდ მივხვდით, რომ თუ კლუბის მოთამაშე გახდი, მისი წესები უნდა მიიღო“. საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ კი დასძენს: „ისინი სინგაპურსა და ევროპას შორის მერყეობენ და ძნელია, მიხვდე, რა არის მათი უმთავრესი მიზანი. ეს ყველაფერი ძალიან შერეული გზავნილებია“.

როგორც ჩანს, საქართველოში არსებობს ეჭვი, რომ ევროინტეგრაცია ქართველებს მტკივნეული რეგულაციებით დაამძიმებს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე, ევროპული კურსის მხარდამჭერია, მაგრამ ამავდროულად ვარაუდობს, რომ ევროინტეგრაცია ქვეყნის შიგნით არაპოპულარული იქნება. მისი მტკიცებით, „პოლიტიკური თვალსაზრისით ევროკავშირის იდეა სარისკო შეიძლება იყოს, ამიტომ მისი დაბალანსებაა საჭირო. სინგაპურის მოდელი ძირითადად სიმბოლურ დატვირთვას ატარებს და შიდა მოხმარებაზეა გათვლილი“.

რაც მთავარია, ევროკავშირისკენ შეთანხმებული სწრაფვა გარდაუვლად

ნიშნავს იმას, რომ მოქმედ მმართველ ელიტას მოუწევს, უარი თქვას თავის არაფორმალურ პოლიტიკურ კულტურასა და ვირტუალურ მონოპოლიაზე, რასაც სახელმწიფოში მრავალი მიმართულებით დღემდე ინარჩუნებს. ეს თემა კავშირშია იმ მთავარ საკითხთანაც, მართლაც გარდაიქმნება თუ არა შეუმჩნეველად საქართველო ერთპარტიულ ქვეყნად. ერთპარტიული ქვეყანა – ეს იგივე არაა, რაც ავტორიტატული სახელმწიფო – ამისგან მას პლურალიზმის ისტორია და დასავლური დაკვირვებულები თვალი დაიცავს. თუმცა, ფაქტია, რომ ერთი გუნდის ხანგრძლივი დომინანტური მმართველობა არაჯანსაღი მოვლენაა თვით ყველაზე გამოკვეთილად დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი.

საქართველოს სუსტი ინსტიტუტები აქვს და მომავალშიც დაუცველია მკვეთრი პოლიტიკური რყევებისგან. ეს კი, თავის მხრივ, პრობლემებს უქმნის საერთაშორისო მოთამაშეებს: შეძლებენ კი ისინი, თავიანთი ბერკეტებით საქართველოს მმართველ ელიტას უარი ათქმევიონონ ძალაუფლების შენარჩუნების

ვინრო მიზანზე და ღია, სრულფასოვნად დემოკრატიული სისტემის შექმნა აიძულონ?


თუ საქართველო უფრო პრინციპულ არჩევანს გააკეთებს ევროკავშირის სასარგებლოდ, მაშინ უფრო მკაფიო სიგნალია საჭირო როგორც თბილისის, ისე ბრიუსელის მხრიდან. ქართულმა მხარემ მკაფიოდ უნდა განაცხადოს, რომ ის ერთგულია ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური მოდელის და არა მხოლოდ ფართო გაგებით, ევროპული ცივილიზაციის მიმართ. ევროკავშირის ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ საქართველოს მოდლოვამ აჯობა, როგორც ყველაზე პრო-ევროპულმა ქვეყანამ ევროპის სამეზობლო სივრცეში.

რაც შეეხება, ევროკავშირის მხრიდან წამოსულ სიგნალს, საჭიროა იმის უფრო მკვეთრად აღნიშვნა, რომ საქართველო თავისი პრო-ევროპული მიმართულების გამო, დაჯილდოვდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს პირობითობასაც. თუ საერთაშორისო მოთამაშეები ზედმეტად მომთმენები იქნებიან საქართველოს მთავრობის მიმართ მათი შე-

ცდომებისა და უპრინციპობის გამო, სხვა არავინ გამოჩნდება, რომელიც სიტუაციის გამოსწორებაზე იზრუნებს. ევროკავშირის ყოფილმა ელჩმა საქართველოში, პერ ეკლუნდმა, ამის შესახებ საკმაოდ მკაფიოდ ისაუბრა თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში 2010 წელს. მან საზოგადოებას მიმართა:

„როგორც ბევრმა თქვენგანმა იცის, მე ძალიან მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი... ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ თქვენს მხარდაჭერას ისე, როგორც შეგვიძლია და ამ პირობას დღემდე ყოველთვის ვასრულებდით. როგორც უკვე გითხარით, ჩვენ თქვენ გვიყვარხართ, მაგრამ ეს არაა უპირობო სიყვარული. საჭიროა, თქვენც შეასრულოთ თქვენი სიტყვა“.

„სიყვარული პირობებით“ – ყველაზე უფრო სასურველი მიდგომაა, რაც საქართველოს თავისი ბოლოდროინდელი რეფორმებიდან საუკეთესოების შენარჩუნებაში და სარისკო ტენდენციების თავიდან აცილებაში დაეხმარება; და თანაც მაშინ, როცა ქვეყანა საკმაოდ რთულ ეტაპს იწყებს. 

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge
+995 32 505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

თვალსაზრისი

ხანონპროექტი ხონსტიტუციის ნინალმდებ



ლევან იზორია, პარტია „თავისუფალი დემოკრატები“

ხელისუფლების ინიციატივით მომზადდა კანონპროექტი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული კანონპროექტის ცალკეული ნორმა ცალსახად ენინალმდებება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, სულ რაღაც 2 თვის წინ, 18 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებას. ცვლილებების კანონპროექტი ხელისუფლების არაკვალიფიციურობის, უპასუხისმგებლობის, ანდა კონსტიტუციისადმი ცინიკური დამოკიდებულების დემონსტრაციაა.

ამ წერილში განსაკუთრებულ ყურადღებას კანონპროექტის იმ ნორმას დავუთმობ, რომელიც ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოაჩენს სახელისუფლებო ინიციატივის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ამკარა შეუსაბამობას.

2011 წლის 18 აპრილის საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არაკონსტიტუციურად ცნო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ის ჩანაწერი, რომლის თანახმად, აიკრძალა გარკვეული შენობების შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში მანიფესტაციის ჩატარება. ამის საფუძველზე, აღნიშნულმა ჩანაწერმა კანონის მე-9 მუხლის I პუნქტში ძალა დაკარგა და ეს პუნქტი დღეს მხოლოდ გარკვეულ შენობებში მანიფესტაციების ჩატარებას კრძალავს. ამასთან, აღნიშნული მუხლის II პუნქტით აკრძალულია შენობების ბლოკირება.

ამავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-ე პრიმა მუხლის III ნაწილის ის ჩანაწერი, რომლის თანახმად, აიკრძალა სასამართლოებისგან 20 მეტრის რადიუსში მანიფესტაციის ჩატარება, რაც იწვევდა 90 დღემდე პატიმრობას. ამ ჩანაწერმაც ძალა დაკარგა და ნორმის ეს პუნქტი დღეს მხოლოდ სასამართლოს შესასვლელის ბლოკირებას, მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საერთო სასამართლოში შეკრების და მანიფესტაციის ჩატარებას კრძალავს.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებებს 3 მნიშვნელოვანი არგუმენტით ასაბუთებს:

1. კანონმდებლის მიერ გარკვეული შენობების შესასვლელთან მანიფესტაციის ჩასატარებლად დაწესებული ტერიტორიული შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს თითოეული დაწესებულების ინდივიდუალურობას, კერძოდ, მის ადგილმდებარეობას, ფუნქციურ დანიშნულებას, მის სიახლოვეს მანიფესტაციის ჩატარებით გამოწვეული საფრთხის შეფასებას და სხვა. ამიტომ, ზოგადად, შემთხვევათა განსხვავებულობის მიუხედავად, ყველა შენობის შესასვლელთან დემონსტრანტების იდენტური შეზღუდვა არ არის კონსტიტუციურად გამართლებული.

2. არაკონსტიტუციურია გარკვეული შენობების წინ მანიფესტაციებისა და შეკრებების ჩატარების ტერიტორიული შეზღუდვა იმ შემთხვევაში, როდესაც



ის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას საფრთხეს არ უქმნის. ასე მაგალითად, სასამართლოს შენობის სიახლოვეს მიმდინარე მდუმარე ან/და მცირერიცხოვანი შეკრება შეიძლება უვნებელი იყოს, დაწესებულების გამართული მუშაობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდეს. სასამართლოს სიახლოვეს საკუთარი აზრის გამოხატვის,

შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების უფლება გარანტირებული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლების რეალიზაცია სასამართლოს შეუფერხებელ მუშაობას უშლის ხელს“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 18 აპრილის გადაწყვეტილების მე-60 პუნქტი).

3. რიგ შემთხვევებში, დაწესებულების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით,

შენობის შესასვლელიდან 20 მეტრიან რადიუსში მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვა, საერთოდ გამორიცხავს მანიფესტაციის ჩატარების შესაძლებლობას. ეს კი ზომაზე მეტად ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას – შეიკრიბოს საჯაროდ სხვებთან ერთად.

ამ არგუმენტებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ საჯარო დაწესებულებების



აქცია პარლამენტის წინ, თბილისი, 25 მაისი 2011

ფოტო: ლაშა კახიანიძე

შესასვლელთან „ტერიტორიული შეზღუდვის დაწესება არ არის გამართლებული, თუ უფლების რეალიზების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც გამოირიცხება, როდესაც შეკრება (მანიფესტაცია) საზოგადოებრივი წესრიგის ან სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეს არ წარმოშობს. შესაბამისად, სადავო ნორმებით დაწესებული ბლანკეტური აკრძალვა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლებს“ (გადაწყვეტილების 61-ე პუნქტი).

მიუხედავად ამისა, კანონპროექტის მე-9 მუხლის I, II და III პუნქტით განზრახულია ამ არაკონსტიტუციური ნორმების კვლავ კანონმდებლობაში დაბრუნება. კერძოდ, აღნიშნული მუხლის III პუნქტის თანახმად, „აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობებში და მათი შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე“. ანუ ტერიტორიული შეზღუდვა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, კვლავ უნდა ამოქმედდეს, ასეთია კანონპროექტის ინიციატორთა განზრახვა.

მართალია, კანონპროექტის თანახმად, შენობების ჩამონათვალი უფრო მცირეა, ვიდრე ეს მოქმედი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული (მაგალითად, ამოღებულია: საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სამთავრობო დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები), მაგრამ, სინამდვილეში, საქმე უფრო რთულად არის. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, უკვე ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია თავისი შეხედულებით „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოების და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით“ დააწესოს შეზღუდვა შეკრებისა და მანიფესტაციის შენობიდან დაშორებით გამართვასთან დაკავშირებით, მაგრამ არა უმეტეს 20 მეტრისა.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურულ ერთეულს

აქვს, რომელიც კანონპროექტის თანახმად შენობების ჩამონათვალიდან ამოღებულია, ანუ უკეთესობისკენ არაფერი იცვლება. საქმე კიდევ უფრო გართულდა – ადამიანის ისეთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა, როგორცაა შეკრების თავისუფლება, უკვე ადმინისტრაციული ორგანოს შეხედულებით გადაწყდება, რაც ადამიანის უფლებებში თვითნებური ჩარევის დიდ საფრთხეს ქმნის. დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების კონსტიტუციური შეზღუდვის უფლებამოსილება მხოლოდ კანონმდებელს გააჩნია.

■ დაუსაბუთებლად, კონკრეტულ გარემოებებზე მითითების გარეშე, გარკვეულ დაწესებულებებთან 20 მეტრიან რადიუსში შეკრების აკრძალვა, არაკონსტიტუციურია. სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება კი მხოლოდ კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის განხორციელებით შეიძლება.

ხელისუფლების არგუმენტები

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერით პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ გვიჩვენა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩაგვეხედა, სადაც ნათქვამია: „გარკვეულ დაწესებულებათა კუთვნილი შენობებიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე შეკრების აკრძალვა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია“. მართლაც, ერთი შეხედვით ყველაფერი მარტივადაა. მაგრამ, საქმე ისაა, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება 2002 წლის 5 ნოემბრით თარიღდება. სწორედ ამ გადაწყვეტილებას გადა-

ხედა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2011 წლის 18 აპრილს. პლენუმი კი, მაშინ იღებს გადაწყვეტილებას, როდესაც კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისგან, ანუ ამ შემთხვევაში 2002 წლის გადაწყვეტილებისგან.

ხელისუფლების შემდეგი არგუმენტი უკვე საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის გადაწყვეტილებიდან არის. იქ წერია, რომ 20 მეტრიანი რადიუსის შეზღუდვის არსებობა ზოგიერთ დაწესებულებასთან, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება გამართლებული იყოს, ზოგიერთთან კი – არა. მაგრამ, სწორედ ამ წინადადებას მოსდევს ის არგუმენტაციები, რომლებიც ამ წერილობით მოყვანილი. კერძოდ ითქვა, რომ ტერიტორიული შეზღუდვის დაწესება არ არის გამართლებული, თუ საჯარო დაწესებულების ფუნქციონირებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვათა უფლებების დარღვევას საფრთხე არ ემუქრება. გამონაკლის შემთხვევებში, სწორედ, კონკრეტული საფრთხეების გათვალისწინებით, და არა ზოგადი გადაწყვეტილებით, კანონმდებელს შეუძლია გარკვეულ დაწესებულებებთან მანიფესტაციის ჩატარებაზე ტერიტორიული შეზღუდვის დაწესება. ასეთ დაწესებულებებს საკონსტიტუციო სასამართლო სამხედრო ნაწილს, წინასწარი დაკავების საკნებს, პენიტენციურ დაწესებულებას მიაკუთვნებს და არა, მაგალითისთვის, სასამართლოებს, როგორც ეს კანონპროექტის ინიციატორებს სურთ.

დაუსაბუთებლად, კონკრეტულ გარემოებებზე მითითების გარეშე, გარკვეულ დაწესებულებებთან 20 მეტრიან რადიუსში შეკრების აკრძალვა, არაკონსტიტუციურია. სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება კი მხოლოდ კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის განხორციელებით შეიძლება. ეს, პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას ნიშნავს. ■

სამართალი

ახაოფაქუი მათმსაჯაბა თუ ჰოციბიუხად მობივიბუბი საქბაბი?

სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართლებრივი ანალიზი.

ეკატერინე ფოფხაძე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)“



აღნიშნული კვლევის ჩატარების აუცილებლობა მას შემდეგ დავინახეთ, რაც საზოგადოებასა და საერთაშორისო წრეებში აქტიურად დაიწყო საუბარი საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობის შესახებ. საქმეების შერჩევისას გავითვალისწინეთ საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი კონკრეტული საქმის მიმართ, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის თუ ადმინისტრაციულ

სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლო პოლიტიკური მოტივი.

კვლევისათვის შეირჩა 24 საქმე, აქედან – 6 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და 18 სისხლის სამართლის საქმე. 11 სისხლის სამართლის საქმეში ძირითადი ბრალდება ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობა იყო, ვინაიდან საკვლევ პერიოდში იმატა მოცემული

ბრალდებით საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა და ოპოზიციის აქტივისტების დაკავების ფაქტებმა. დანარჩენი საქმეები კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა თავად დაკავებულის ცნობადობის ან მისი პარტიულობის, ასევე დაკავებულის უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური აქტივობის გამო. ყველა ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განხილულია 1998 წლის სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, რომელიც მოქმედებდა 2010 წლამდე.

შესწავლილი საქმეები შეიძლება, დაიყოს სამი კატეგორიის მიხედვით:

I. სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ფლობასთან;

იმ 11 საქმეში, რომლებშიც პირთა მსჯავრდება მოხდა ცეცხლსასროლი იარაღის ან ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექმნა/შენახვისა ან მისი გადაზიდვა/გადაგზავნა/ტარებისთვის, კონკრეტული საქმეების ინდივიდუალობის მიუხედავად, იკვეთება საერთო ტენდენციები:

თითქმის ყველა საქმეში საგამოძიებო მოქმედების (ჩხრეკის) საფუძველია ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც გადამონმებას არ ექვემდებარება. კერძოდ, ყველა საქმეში დევს პატაკი, რომელიც წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლის წერილობით განცხადებას, სადაც მითითებულია, რომ პოლიციელს აქვს ოპერატიული ინფორმაცია, სავარაუდოდ, პირის მიერ იარაღის ან ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობის შესახებ. პატაკის გარდა, აღნიშნულ საქმეებში



ჩხრეკის ჩატარებამდე არანაირი მტკიცებულება არ დევს, რომელიც შექმნიდა ვარაუდს, რომ კონკრეტულ პირს გააჩნდა იარაღი ან ნარკოტიკული საშუალება. აქედან გამომდინარე, ვერ დგინდება, თუ რა ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა ჩხრეკა და რეალურად არსებობდა თუ არა რაიმე ოპერატიული ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია იმის დადგენა, რეალურად ჰქონდა თუ არა პირს აკრძალული ნივთი ჩხრეკამდე.

11-ივე საქმეში ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, სასამართლოს ნებართვის გარეშე. თავისთავად ეს არ არის კანონდარღვევა, თუმცა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, გადაუდებელი აუცილებლობის

რეჟიმში ჩხრეკის ჩატარების საჭიროება დასაბუთდეს, რაც არცერთ საქმეში არ მომხდარა. ეს კი უკვე კანონდარღვევაა.

საპროცესო კოდექსის თანახმად, გასაჩხრეკ პირს უნდა განემარტოს დამსწრის მონვევის უფლება. თუ იგი ისარგებლებს ამ უფლებით, მაშინ მონვეულ დამსწრეს უნდა მიეცეს ჩხრეკის მიმდინარეობის სრული პროცესის დაკვირვების შესაძლებლობა. კვლევაში განხილულ საქმეთა უმეტესობაში გასაჩხრეკ პირს არ განემარტა აღნიშნული უფლების შესახებ, ხოლო იქ, სადაც მოხდა აღნიშნულის განმარტება და მონვეულ იქნენ დამსწრეები, მათ არ მიეცათ ჩხრეკის პროცესის

სრულყოფილი დაკვირვების შესაძლებლობა და ისინი არ ადასტურებენ იარაღის ან ნარკოტიკის ამოღების ფაქტს. შესაბამისად, აღნიშნული საქმეების უმეტესობაში მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები, ანუ ჩხრეკის ჩამტარებელი პირები ადასტურებენ იარაღის ან ნარკოტიკის ამოღების ფაქტებს.

განსახილველ საქმეებში არცერთი პირი არ აღიარებს დანაშაულს და არ ადასტურებს ამოღებული ნივთის მისაღმი კუთვნილებას. ამ ფონზე, აუცილებელია ამოღებული ნივთისათვის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადგინდეს თითის ანაბეჭდების არსებობა ნივთზე და პირისადმი ნივთის კუთვნილების ფაქტი. საიას მიერ განხილულ საქმეებში, ერთი გამონაკლისის გარდა, გამოძიების ინიციატივით აღნიშნული ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

II. სისხლის სამართლის საქმეები, სადაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სადავოა;

საქმეებში, სადაც არ ფიგურირებს ნარკოტიკების და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა/შენახვა, მაგრამ რომლებიც კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა თავად დაკავებულის პოლი-

■ თითქმის ყველა საქმეში საგამოძიებო მოქმედების (ჩხრეკის) საფუძველია ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც გადამონმებას არ ექვემდებარება. კერძოდ, ყველა საქმეში დევს პატაკი, რომელიც წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლის წერილობით განცხადებას.

ტიკური პარტისადმი კუთვნილების ან დაკავებულის უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური აქტივობის გამო, ტენდენციის სახით შეინიშნება ქმედების არასწორი კვალიფიკაცია.

ეს, ერთი მხრივ, გამოიხატება ბრალდებულის მდგომარეობის დამძიმებაში (უფრო მკაცრი მუხლით კვალიფიკაცია) და, მეორე მხრივ, განხორციელებული ქმედების სისხლისსამართლებრივად არასწორ კვალიფიკაციაში.

მაგალითად, სახელშეკრულებო ურთიერთობების დარღვევის გამო სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა პირი, მაშინ, როცა საქმე იყო სამოქალაქო სამართლებრივი და ის სამოქალაქო სასამართლოს უნდა განეხილა. მეორე საქმეში, პირი პასუ-

ხისგებაში მიეცა განზრახ მკვლევლობის მცდელობისთვის მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ წინააღმდეგობის განვიცხადებისთვის. აღნიშნულ დანაშაულებს დაზარალებულის სახით ჰყავს პოლიციელი, შესაბამისად, ბრალდებულს გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადის პოლიციის თანამშრომლის მიმართ. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ინციდენტის დროს არც დაზარალებულს და არც მის გვერდით მდგომ პირებს სამსახურებრივი ფორმა არ ეცვათ. ეჭვი იმისა, იყო თუ არა დაზარალებული პოლიციელი და ასრულებდა თუ არა საზოგადოებრივ მოვალეობას, არ აღმოფხვრილა, შესაბამისად, სადავოა ბრალდებულის ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის კანონიერება. სხვა საქმეებში, ერთ შემთხვევაში ქმედების ხულიგნობად კვალიფიკაცია და მეორე შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ხულიგნური ქვენაგრძნობით კვალიფიკაცია სადავოა და არ არის გამყარებული მტკიცებულებებით. ჩნდება ეჭვი, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია განხორციელდა ბრალდებულისათვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნის მიზნით.

III. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები;

კვლევაში მოხვდა საპროტესტო აქციების დაშლისა და მონაწილეთა ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობაში მიცემის რამდენიმე საქმე. აღნიშნული საქმეების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო არასწორად იყენებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლს (სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა), იმის გამოკვლევისა და დადგენის გარეშე, თუ რაში მდგომარეობდა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი მოთხოვნა მაშინ, როცა ისინი მოუწოდებდნენ კანონიერი აქციის მონაწილეებს დაშლილიყვნენ და რაში გამოიხატა ამ მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა, როცა

თავად პოლიციელების მოთხოვნა იყო უკანონო.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებში საქმის განხილვა ფორმალურაა. ძირითადად, ისმენენ სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებასა და დაკავებულის ახსნა-განმარტებებს. სხვა მტკიცებულებების არსებობით სასამართლო არ ინტერესდება, ხოლო მაშინ, როდესაც არსებობს ურთიერთგამომრიცხავი ახსნა-განმარტებები ორი მონაწილემდეგ მხარის მხრიდან (პოლიციელი და დაკავებული), სასამართლო იზიარებს მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების ახსნა-განმარტებას იმის დასაბუთების გარეშე, თუ რატომ არის პოლიციის თანამშრომლის ახსნა-განმარტება უფრო სარწმუნო. აღნიშნულ საქმეებში განხორციელდა დაკავებული პირებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და მათი ცემა პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავების დროს.

შესწავლილ საქმეებში გამოვლინდა დაცვის მხარის შუამდგომლობების დაუკმაყოფილებლობის ტენდენციაც. რამდენიმე საქმეში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის ეტაპზე არ მომხდარა დაცვის მხარის მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობების დაკმაყოფილება. კვლევაში განხილულ საქმეებში დაცვის მხარეს უარი ეთქვა ისეთი ტიპის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, როგორცაა: დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვა; კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარება; საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გამოთხოვნა და საქმისთვის დართვა; ჩანაწერებისა და ვიდეომასალების დართვა და გამოქვეყნება და ა.შ.

კვლევაში განხილული საქმეების სამართლებრივმა ანალიზმა გამოავლინა სერიოზული ხარვეზები მართლმსაჯულების განხორციელებისას იმ პირთა მიმართ, რომლებიც, საკუთარი ან უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური საქმიანობის ან საზოგადოებრივი აქტივობის გამო, ხელისუფლების შესაძლო ოპონენტებად შეიძლება ჩაითვალოს. **■**

სამაქტეხივი ანალიზი



„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ განახორციელა რამდენიმე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართლებრივი ანალიზი, რომლის მიზანიც იყო კონკრეტული საქმის შესწავლა და იმის დადგენა, თუ რა მოცულობით შეეძლო, გავლენა მოეხდინა პოლიტიკურ მოტივს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვაზე. კვლევა მიზნად არ ისახავდა კონკრეტულ პირთა დამნაშავეობის ან უდანაშაულობის დადგენას. კვლევის ამოცანა იყო იმის განსაზღვრა, თუ რამდენად იქნა დაცული სამართლის ნორმები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და რამდენად იქნა გათვალისწინებული გამოძიების და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები.

საიას მიერ განხორციელებულ კვლევაში მოცემულია, ძირითადად, 2009 წლის გაზაფხულზე საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში დაკავებულ/დაპატიმრებულ პირთა საქმეების სამართლებრივი ანალიზი.



ილია ტყარაძე რეალან პერიოდი

საგადასახლო პოლიტიკა

ღევნა ჯოღაჯის სახელით

ეკონომიკის „ახალი კურსი“ მხოლოდ დეკლარირებული ცვლილებაა, რეალურად კი სახელმწიფო ბიზნესთან ურთიერთობაში კვლავ პოლიტიკური მოტივაციებით ხელმძღვანელობს.

მანანა ვარდიაშვილი



რად. განგაშის ატეხა საჭირო არ არის. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ყველა მათი მედიებიზნესი ჩვეულებრივ მუშაობს და შემონიშნებას შეფერხებები არ მოჰყოლია“, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა.

თუმცა საგადასახადო სამსახურების ბოლო წლების საქმიანობაში ყველაფერი „გეგმაზომიერად და სამართლიანად“ რომ ყოფილიყო, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს მსგავსი განცხადებების გაკეთება, სავარაუდოდ, არ მოუხდებოდა.

მენარმებთან მიმართებაში სახელმწიფო სამსახურების მიდგომის შეცვლა რომ აუცილებელია, ეს თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმაც აღიარა, როცა ეკონომიკის „ახალი კურსი“ გამოაცხადა და ბიზნესის რეგულირების სფეროში სამართლიანობის დამკვიდრებაზე გაამახვილა ყურადღება:

„ახალი ხელმძღვანელები მოდიან, რომელთაც დაევალია, რომ მაქსიმალურად სამართლიანები იყვნენ და ზედმეტი არსად არ მოუვიდეთ, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ხალხს არ ჰქონდეს უსამართლობის განცდა, ზედმეტი პრესის განცდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გადასახადი ყველამ გადაიხადოს, ეკონომიკა უნდა გათეთრდეს... ეს არის მტკივნეული პროცესი, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ეს არის მტკივნეული პროცესი, ერთი გრამით არ უნდა გადავაჭარბოთ არსად კანონის სიმკაცრესა და ზედმეტობაში.“

„ზედმეტად მკაცრი“ საგადასახადო პოლიტიკის შეცვლას ხელისუფლება საკადრო გადაადგილებებით შეეცადა. შემოსავლების სამსახურის უფროსი და გადასახადების ადმინისტრირების სფეროში მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის გატარებით ცნობილი გოგა ცხაკაია თბილისის ვიცე-მერის თანამდებობაზე გადაიყვანეს. შემოსავლების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კი იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი – ჯაბა ებანოიძე დანიშნეს.

თუმცა ბიზნესმენებისთვის არაფერი

შეცვლილა. გადასახადების ამოღების „მტკივნეული პროცესი“ მათი ნაწილისთვის კვლავ მტკივნეულად დარჩა. როგორც ექსპერტები ამბობენ, თითქმის ყველა ხარვეზი, რომელიც ძველ საგადასახადო კოდექსში იყო, 2011 წლის იანვრიდან მოქმედ ახალ კოდექსში უცვლელად გადავიდა.

ახალ საგადასახადო კოდექსში არის მუხლები, რომლებიც საგადასახადო ინსპექტორებს ბიზნესმენტა დაჯარიმებისას ფართო შესაძლებლობას აძლევს. სწორედ ეს სადამსჯელო მუხლები ქმნის იმ ძირითად პრობლემებს, რომლებსაც ბიზნესმენები აწყდებიან.

კოდექსში არის ორაზროვანი მუხლები, რომლებსაც გადასახადის გადამხდელის სანინალმდევოდ იყენებენ. და თუ სხვა ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობაში პირდაპირ წერია, რომ ნებისმიერი ორაზროვნება გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს, საქართველოში პირიქით ხდება – კანონის ინტერპრეტირება ხშირად მენარმეზე ზეწოლის მიზეზი ხდება.

ახალი კოდექსის თანახმად, მაგალითად, სახელმწიფოს უფლება აქვს, მენარმის ქონება სასამართლო დავის დასრულებამდე გაყიდოს. მენარმემ შემდეგი ინსტანციის სასამართლო რომც მოიგოს, მას ქონება აღარ დაუბრუნდება. სახელმწიფოსთან დავა კი სულ მცირე სამი წლის განმავლობაში შეიძლება გაინელოს.

საგადასახადო სამსახურს ასევე უფლება აქვს გამოიყენოს ინკასო და კომპანიის ანგარიშს ყადაღა დაადოს, რის შემდეგაც ბიზნესი პარალიზებულია.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსთვის მიყენებულმა ზარალმა 25 ათას ლარს გადააჭარბა, საქმე ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებს სცილდება და სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა. ასეთ დროს ბიზნესმენი შესაძლოა, დააკავონ კიდევ.

ხშირად ჯარიმების დაკისრების ერთ-ერთი მიზეზი კანონმდებლობის არცოდნაც ხდება. თუ ზოგი მენარმე კანონის კითხვით თავს არ ინუხებს, სხვები ამას უბრალოდ ვერ ასწრებენ იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ კანონები ძა-

მას შემდეგ, რაც „მედიპალიტრის“ ექვს სხვადასხვა შპს-ში ერთდროული გეგმური საგადასახადო შემონიშნების დაწყება საზოგადოების ერთმა ნაწილმა თავისუფალ მედიაზე ზეწოლად შეაფასა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დამამყიდველი კომენტარები გააკეთეს.

„დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მოხდება სამართლიანად და გეგმაზომიერ-

ლიან სწრაფად იცვლება. მაგალითად, ახალ საგადასახადო კოდექსში, რომელიც მხოლოდ 6 თვეა, რაც მოქმედებს, ცვლილება უკვე 14 საკანონმდებლო აქტით შევიდა. გამოდის, რომ ბიზნესმენთა მთავარ კანონში თვეში 3 ცვლილება მაინც შედის.

„ეს ნორმალური მდგომარეობა არ არის. აუდიტორი ვარ და ამ ცვლილებებისთვის თვალის მიდევნება მეც კი მიჭირს. ერთია წაკითხვა და მეორე – გააზრება. ეს ძალიან რთული პროცესია. ხელისუფლება კი ძალიან მარტივად უყურებს კანონმდებლობის ცვლილებას“, – ამბობს აუდიტორი ირაკლი შავიშვილი.

საქართველოში, სადაც გადასახადების გადახდის დაბალ კულტურას კვალიფიციური ფინანსური მენეჯერების დეფიციტიც ემატება, საგადასახადო შემომწების საბაზის მოძებნა ყოველთვის და თითქმის ყველგან შეიძლება. ბუნდოვანი საგადასახადო კოდექსისა და კანონების ხშირი ცვლილების გამო, ფინანსური დარღვევა საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა კომპანიას აქვს. შესაბამისად, ბიზნესისთვის არც იმის დაბრალებაა ძნელი, რომ გადასახადები შეგნებულად დამალა და სახელმწიფო ბიუჯეტს სოლიდური ზარალი მიაყენა.

თუმცა ბიზნეს-გარემოს განვითარებისთვის ყველაზე სასიფათო მაინც ის ფაქტია, რომ საგადასახადო ორგანოების სკრუპულოზური შემოწმება სადამსჯელო ღონისძიებად იქცა, რადგან მას მხოლოდ ის საგანგებოდ შერჩეული კომპანიები გადიან, რომელთა საქმიანობა სხვადასხვა ნიშნით არახელსაყრელი აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის.

მაგალითად, საგადასახადო სამსახურები, რომლებმაც ოპოზიციურად განწყობილი ბათუმის „25-ე არხი“ და 26 მაისის მიტინგის დარბევის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გამშუქებელი მედია-პოლიტიკის „პალიტრა“ შეამოწმეს, არ დაინტერესებულან გაცილებით უფრო მსხვილი გადასახადების გადამხდელით – „რუსთავი-2“-ით, რომელსაც ბიუჯეტის მიმართ ბევრად მეტი თანხა მართებდა, ვიდრე „25-ე არხს“.

პოლიტიკისა და „სახელმწიფო ინტერესების“ ბიზნესში შესვლის მაგალითად

თითქმის ყველა გახმაურებული საგადასახადო დავა სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის, რომლებიც უკანასკნელ წლებში გაიმართა. ეს საქმეები ტიპური მაგალითია იმისა, თუ როგორ ეფექტურად შეუძლია ხელისუფლებას საგადასახადო აუდიტის გამოყენება არასასურველი ბიზნეს და პოლიტიკური ჯგუფების თავიდან მოსაშორებლად:

„ინტერნეტ-ბილდინგ კომპანი“ და ქიბარ ხალვაშის სხვა ბიზნესები

„ინტერნეტ-ბილდინგ კომპანი“ დირექტორი მალხაზ ოსაძე ბიზნესმენტა იმ მცირე წრეს მიეკუთვნება, რომელიც პრობლემებზე ღიად საუბრობს. ოსაძე თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მეგობრისა და ბიზნესმენის ქიბარ ხალვაშის ბიზნესპარტნიორი იყო.

ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკურ ოპოზიციამ გადასვლამდე, ქიბარ ხალვაში ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენად. იგი ადვილად იგებდა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ თითქმის ყველა ტენდერს. მაგალითად, მისი წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანია – „ინტერნეტ-ბილდინგ კომპანი“ აშენებდა თბილისის მე-8 საპყრობილეს და გორის სამხედრო ბაზას.

ოქრუაშვილის ოპოზიციამ გადასვლამდე ქვეყნის პრეზიდენტსა და იუსტიციის მინისტრს საჯაროდ არაერთხელ გამოუთქვამთ კმაცოფილება თბილისის მე-8 საპყრობილის მშენებლობასთან

საბუნებისმიერ დაპყრობის საბუნებისმიერ

ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო 2005 წელს შეიქმნა. 2005-07 წლებში განხილული დავების სტატისტიკა არ არსებობს. 2008 წელს საბჭომ 498 საჩივარი განიხილა. აქედან 50%-ის შემთხვევაში დავა, სრულიად ან ნაწილობრივ, მომჩივნის სასარგებლოდ გადაწყდა. 2009 წელს საბჭოში 910 საჩივარი შევიდა, აქედან სრულიად ან ნაწილობრივ მომჩივანთა 43% დაკმაყოფილდა.



დაკავშირებით. ამისათვის მადლობას უხდინენ შპს „ინტერნეტ-ბილდინგ კომპანი“.

2007 წლის 22 სექტემბერს, მას შემდეგ რაც ოქრუაშვილმა ხმაურიანი განცხადებები გააკეთა, „ინტერნეტ-ბილდინგ კომპანი“ გორის სამხედრო ბაზის მშენებლობა შეწყვეტინეს და სამშენებლო ობიექტზე 4 მილიონი ლარის ღირებულების ქონება იძულებით დაატოვებინეს.

„ოქრუაშვილის პოლიტიკურ ოპოზიციამ გადასვლის შემდეგ ხელისუფლებამ იმ კომპანიებზე ზეწოლა დაიწყო, სადაც ქიბარ ხალვაშს წილი ჰქონდა. მათ შორის მოხვდა სამშენებლო კომპანია „ინტერნეტ-ბილდინგ კომპანი“.

„ინტერნეტ-ბილდინგ კომპანი“, „არტი“, „პრიზა“, „ლივო ჯგუფი“ – ყველა კომპანიაში, სადაც ქიბარ ხალვაშის ფინანსური ინტერესი იყო, საგადასახადო შევიდა. ამ კომპანიების ქონება დაყადალდა.

„ინტერნეტ-ბილდინგ კომპანი“ დააყადალეს. 2009 წლის სექტემბრიდან იგი სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. მერე ნაწილ-ნაწილ გაყიდეს და მიითვისეს. ის ტექნიკა, რომელიც ჩვენ გვეყუ-



■ ახალ საგადასახადო კოდექსში, რომელიც მხოლოდ 6 თვეა რაც მოქმედებს, ცვლილება უკვე 14 საკანონმდებლო აქტით შევიდა. გამოდის, რომ ბიზნესმენთა მთავარ კანონში თვეში 3 ცვლილება მაინც შედის.

თვროდა, დღეს ფულს სხვის ჯიბეში აჩხრიალებს“, – ამბობს ოსაძე.

ზუსტად ამ პერიოდში საგადასახადო კანონში შედის ცვლილება, რომელიც ქონების აუქციონზე გატანას ამარტივებს. მანამდე ქონების აუქციონზე გასაყიდად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იყო საჭირო – ანუ საქმე სამივე ინსტანციის სასამართლოს უნდა განეხილა. ახალი კანონით კი, ამისათვის მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისი გახდა.

სრულიად ცხადი იყო, რომ კანონში შეტანილ ამ ცვლილებას იმ კონკრეტულ დროს ერთადერთი მიზანი ჰქონდა – ქიზარ ხალვაშის კუთვნილი ქონება რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაყიდულიყო.

ოსაძემ „ინტერნეტენალ ბილდინგ კომ-

პანის“ საქმის განხილვის მიზნით სასამართლოს და ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოს მიმართა, თუმცა, უშედეგოდ. დღეს ის ისევ საქმის ობიექტურ გამოძიებას ელის და თანადგომას ბიზნესობმუდსმენისგან ითხოვს.

„ელიტ ელექტრონიქსი“

საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ტექნიკის ვაჭრობის ქსელში – „ელიტ ელექტრონიქსი“ ფინანსური პოლიცია 2007 წელს შევიდა და კომპანიას 14 მილიონი ლარის გადასახადი დაარიცხა.

კომპანიის მიერ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, ეს თანხა განახევრდა. მოგვიანებით კი, კომპანიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ თანახმა იყო მხოლოდ 120 ათასი ლარი გადაე-

ხადა. ამ განცხადებამ ვითარება უფრო გაართულა.

ზუსტად ამ დროს საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთ საკანონმდებლო ცვლილებას ამტკიცებს. ამ ცვლილების თანახმად, შემოსავლების სამსახურს აპელაციის პროცესის დასრულებამდე ბიზნესის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება უფლება ეძლევა. კანონში შეტანილი ეს ცვლილება ძალიან „დროული“ აღმოჩნდა და „ელიტ ელექტრონიქსზე“ გავრცელდა. 2009 წლის 10 აგვისტოს „ელიტ ელექტრონიქსის“ საბანკო ანგარიშებს ინკასო დაადეს, 21 აგვისტოს კი ფულის ამოღების მიზნით სავაჭრო ობიექტებზე საგადასახადო ინსპექცია შევიდა, რის გამოც კომპანიამ ფუნქციონირება ველარ მოახერხა და იძულებული გახდა, 34 მალაზია დაეხურა.

კომპანიის დახურვის გამო პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებამ დავაში „თიბისი ბანკი“ ჩართო. „გაირკვა“, რომ სახელმწიფოს მიერ დარიცხული 7 მილიონი ლარის გარდა, „ელიტ ელექტრონიქსი“ 5 კომერციული ბანკის მიმართ 15 მილიონი დოლარი მართებდა. „ელიტ ელექტრონიქსი“ გენერალური დირექტორი ანზორ ქოქოლაძე აცხადებდა, რომ კომპანიას ბანკების ვალი მართლაც ჰქონდა, მაგრამ კრედიტს გრაფიკის მიხედვით დროულად და პირნათლად იხდიდა.

დავაში ბანკის მონაწილეობამ საზოგადოების ყურადღება სხვა მიმართულებით გადაიტანა. ამასობაში კი „ელიტ ელექტრონიქსი“ მენეჯერთა ახალი გუნდის ხელში აღმოჩნდა – კომპანიის დამფუძნებელი და მეპატრონე ანზორ ქოქოლაძე განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის მითვისებისა და თალღითობის ბრალდებით სამართალდამცველებმა 2010 წლის 4 აგვისტოს დააკავეს.

შპსი ზღვის „ყვავილნარი“

2005 წელს გრიგოლეთის დასასვენებელ კომპლექს „ყვავილნარში“ ხელისუფლებამ პატრიოტთა ბანაკისთვის კოტეჯები დაიქირავა. 6 თვის შემდეგ, 2006 წლის თებერვალში შპს „ყვავილნარის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, კორნელი კუკულაძე ქუთაისში, საოლქო პროკურა-

ტურაში დაიბარეს და დააპატიმრეს.

პროკურატურამ კუკულაძე „49 ერთეული კოტეჯის, საპირფარეოს, სასადილო შენობის, სანაპიროსა და დასასვენებელი კომპლექსისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის თაღლითური გზით“ დაუფლებაში დაადანაშაულა.

არადა, კუკულაძეები დღემდე ინახავენ ყველა იმ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება, რომ 1987 წლიდან ქონებას კანონიერად ფლობდნენ. მათ მიწის ნაკვეთი სახელმწიფოსგან მიწის რეფორმის ფარგლებში 2001 წელს გამოისყიდეს და საჯარო რეესტრში დაირეგისტრირეს.

კუკულაძე ამბობს, რომ პროკურატურამ მისი კერძო საკუთრების, ზღვის სანაპიროზე არსებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული კოტეჯების სახელმწიფოსთვის ჩუქება მოითხოვა.

„ლანჩუთის რაიონის სოფ წყალმინდაში საკუთრებაში მქონდა უკანონოდ მისაკუთრებული 6,8 ჰა მიწის ნაკვეთი. ვინაიდან გავაცნობიერე ჩადენილი დანაშაული, 6 ჰა მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 25 კოტეჯით დაეუბრუნე და უსასყიდლოდ ვაჩუქე სახელმწიფოს“, – ეს განცხადება კორნელი კუკულაძემ დასაველეთ საქართველოს საოლქო პროკურორის, მიხეილ ჩოგოვაძის სახელზე დაპატიმრებიდან მესამე დღეს დაწერა.

ქონების ჩამორთმევის შემდეგ კორნელი კუკულაძეს 8000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და 6 კოტეჯილა დარჩა. 2008 წელს კუკულაძემ ეს ქონებაც გაყიდა, რადგან ამ კოტეჯებთან გზის გაყვანის უფლება არ მისცეს, რის გამოც კოტეჯები ვერ ამუშავა.

ხელისუფლება „ყვავილნარის“ ყოფილი მფლობელისთვის მხოლოდ ქონების ჩამორთმევას არ დასჯერდა. საგადასახადო სამსახურის უფროსის რჩევით დაწერილ 2008 წლის დეკლარაციაში კორნელი კუკულაძემ ჩაწერა, რომ ნაკვეთი გაყიდა, როგორც ინდმენარმემ და არა ფიზიკურმა პირმა. შედეგად, დეკლარაციის წარდგენის შემდეგ საგადასახადო სამსახურმა კუკულაძე, როგორც ინდმენარმე, ისე შეამონმა და მას 574 213 ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება დააკისრა. აქედან 177 425 ლარი

სამემოსავლო გადასახადი იყო, 264 878 ლარი კი დამატებითი ღირებულების გადასახადი. ჯარიმამ 133 069 ლარი შეადგინა. კიდევ 500 ლარით კუკულაძე სალარო აპარატის არარსებობისთვის დაჯარიმდა.

ოზურგეთის საგადასახადო სამსახურის უფროსის მოადგილემ ანტონ ბარამიძემ კუკულაძეს ურჩია, რომ დაკისრებული გადასახადის შემსუბუქების მიზნით მიღებული შემოსავლის ხარჯვა ეჩვენებინა. კორნელი კუკულაძემ ამ რჩე-

■ **კანონმდებლობაში ბუნდოვანი ნორმების არსებობა, საგადასახადო შემონმების პოლიტიკური მოტივაცია თუ სახელმწიფოს ბიზნეს ინტერესი მენარმეებს სახელმწიფოს მხრიდან ჩასაფრებულობის განცდას უძლიერებს, რაც ნორმალური ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად აფერხებს.**



ვის გათვალისწინებით, ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხით ფოთში სასადილო და შეკვეთილში მინის ნაკვეთი შეიძინა და საკუთარ სახელზე დაირეგისტრირა. ასევე გადაიფორმა თბილისში 15 წლის წინ შეძენილი ბინა, რომელსაც მანამდე მისი შვილი ფლობდა.

ზემოთ ჩამოთვლილი მთელი ქონება კორნელი კუკულაძის სახელზე ასახვის შემდეგ საგადასახდო სამსახურმა იმავე დღესვე დააყადაღა. დაყადაღებული ქონების სიაში, ლანჩხუთის მამა-პაპისეული სახლიც მოხვდა.

„ჩვენ ჟურნალისტური გამოძიების დროს ვარკვევდით, რამდენად სამართლიანად დაეკისრა მას საგადასახდო დავალიანება. როგორც გაავარკვეეთ,

2008 წელს მინა დღგ-თი არ იბეგრებოდა. დღგ-ს გარდა მას უკანონოდ დააკისრეს საშემოსავლო გადასახადის გადახდაც. კანონის თანახმად, ქონება საშემოსავლო გადასახადით მხოლოდ იმ შემთხვევაში იბეგრება, როცა მფლობელი ქონებას შეძენიდან 2 წლის განმავლობაში ყიდის, ან ამ ქონებას ეკონომიკური საქმიანობისთვის იყენებს. კუკულაძემ კი ქონება სამი წლის შემდეგ გაყიდა. გარდა ამისა, ის ამ ქონებას სამენარმეო ეკონომიკური საქმიანობისთვის არ იყენებდა“, – ამბობს სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტი ნანა ბიგანიშვილი.

კორნელი კუკულაძემ საქმის განხილვის თხოვნით ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოს მიმართა. საბჭომ მას მხოლოდ 500 ლარის დავალიანება ჩამოანერა.

25-ე არხი

ბათუმის რეგიონულ სატელევიზიო სადგურ „25-ე არხი“, რომელიც ხელისუფლებისთვის არასასურველ ინფორმაციას აშუქებდა, ასლან აბაშიძის დროინდელი საგადასახდო დავალიანების გამო დახურვით დაემუქრნენ.

2009 წლის 9 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ტელეარხს 277 547 ლარის საგადასახდო დავალიანება უნდა გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ქონება აუქციონზე გაიყიდებოდა. არხის ანგარიშებს ინკასო დაადეს.


„25-ე არხის“ თანამფლობელმა მერაბ მერკვილაძემ სასამართლოს დადგენილებას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა და განმარტა, რომ ვალის უმეტესი ნაწილი 2004 წლამდე დაგროვდა, მაშინ, როცა აჭარის ყოფილმა მმართველმა ასლან აბაშიძემ არხი მის კანონიერ მფლობელს უკანონოდ ჩამოართვა. მერკვილაძე არ უარყოფდა, რომ მის კომპანიას საგადასახდო დავალიანება მართლაც ჰქონდა, მაგრამ მისი ოდენობა 70 000 ლარს არ აღემატებოდა. ეს თანხა 2006-2009 წლებში დაგროვდა.


არხი დახურვას საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების და ომბუდსმენის ჩარევის წყალობით გადაურჩა. მას შემდეგ რაც ხელისუფლება იძულებული

გახდა საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნით დათმობაზე წასულიყო, რეგიონული მაუწყებლებისთვის ფინანსური ამნისტია გამოაცხადა. ამ მიზნით საგადასახდო კოდექსის 281-ე მუხლს 21-ე პრიმა ნაწილი დაამატეს და ტელევიზიებს ვადაგადაცილებული დავალიანება და მასზე დარიცხული სანქციები ჩამოანერეს.

ფინანსური ამნისტია, რომელიც იდეაში რეგიონული მაუწყებლების დახმარების მიზნით იყო ინიცირებული, სინამდვილეში ნაციონალურ არხებს მოარგეს. ტელეამნისტიის შესახებ კანონის მეშვეობით, ტელეკომპანიებს საერთო ჯამში 36 მილიონი ლარის დავალიანება ჩამოანერეს. აქედან რეგიონული ტელეკომპანიების წილი დაახლოებით 2 მილიონი ლარი იყო. ფინანსური ამნისტიით ყველაზე მეტად სახელისუფლებო პოლიტიკური კურსის გამტარებელმა ტელეკომპანიებმა – „რუსთავი 2“-მა, „იმედმა“ და „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ იხიერეს. ყველაზე დიდი დავალიანება სწორედ ამ კომპანიებს ჩამოენერა.

საგადასახდო კანონმდებლობაში ბუნდოვანი ნორმების არსებობა, საგადასახდო შემონემების პოლიტიკური მოტივაცია თუ სახელმწიფოს ბიზნეს ინტერესი, რომელიც ბევრი გახმაურებული საქმის დროს იკვეთება, მენარმეებს სახელმწიფოს მხრიდან ჩასაფრებულობის განცდას უძლიერებს, რაც ნორმალური ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

საგადასახდო კოდექსთან ერთად, ბიზნესმენების საქმიანობას მათი ხელისუფლებასთან პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობებიც არეგულირებს. მათი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ის უნდა იყოს, დისკომფორტი არ შეუქმნან ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საგადასახდო სამსახური მათი საქმიანობით წლების განმავლობაში არ ინტერესდებოდა, ურთიერთობის გაფუჭების შემთხვევაში გუშინდელი თითო საჩვენებელი ბიზნესმენი შესაძლოა, ქვეყნის მთავარ ურჩ გადამხდელად იქცეს. 



თვალსაზრისი

ინვესტიციის - საშუალება თუ იახალი?



კანონის ბუნდოვანება და მისი ინტერპრეტირების საშუალება, ასევე საგადასახადო სექტორში გადანაცვებების სუბიექტურად მიღების პრაქტიკა – ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა „სახელმწიფოებრივი ინტერესების“ დასაცავად დღეს ამ სამ ხარვეზს ეფუძნება.

ლევან კალანდაძე

გასულ კვირას, მედია-ჰოლდინგ „პალიტრაში“ საგადასახადო ორგანოების შესვლის შემდეგ გაჩენილი ეჭვებიდან გამომდინარე, საზოგადოებას ორი მთავარი კითხვა გაუჩნდა:

▶ რამდენად მართებულად და კანონთან შესაბამისად ახორციელებს შემოსავლების სამსახური საგადასახადო კონტროლის პროცედურებს?

▶ ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია საგადასახადო სამსახურების გამოყენება პოლიტიკური თუ სხვა სახის ანგარიშსწორების იარაღად, თანაც ისე, რომ კანონი არ დაირღვეს?

საგადასახადო შემოსავლების სამსახური მედია-ჰოლდინგში შემავალ ექვს სხვადასხვა კომპანიაში ერთდროულად შევიდა. ჰოლდინგის ხელმძღვანელების განმარტებით, საგადასახადო კონტროლის პროცედურები წინასწარ დაუგეგმავი იყო. დაიწყო ჰოლდინგის საგადასახადო ინვენტარიზაცია. პარალელურად, მცირე დროით კომპანიების სასაწყობო მეურნეობები და სანარმოო ფართები დაილუქა. ამ ღონისძიებას საზოგადოების მკვეთრი რეაქცია მოჰყვა, რის შემდეგაც დალუქვასთან მიმართებაში საგადასახადო პოლიტიკა მალევე შეცვალა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს ამ საქმეში ერთი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ. კანონი (საგადასახადო კოდექსის მუხლი 255, პუნქტი 3) ცალსახად განსაზღვრავს, რომ „საგადასახადო კონტროლის პროცედურებმა გონივრულ ფარგლებში არ უნდა დაარღვიოს პირის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ უნდა გააჩეროს

მისი საქმიანობა“.

კანონმდებლობის ეს პირდაპირი დირექტივა მედია-ჰოლდინგთან და მის ბიზნეს-პარტნიორებთან მიმართებაში, ცალსახად დაირღვა.

ასევე, საგულისხმოა ისიც, რომ კანონმდებლობის თანახმად, ინვენტარიზაცია მიმდინარე საგადასახადო კონტროლის პროცედურებს განეკუთვნება (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 261) და ამავე კანონის მიხედვით, ინვენტარიზაციის პროცესი დალუქვის პრაქტიკას საერთოდ არ ითვალისწინებს.

დალუქვას მხოლოდ საგადასახადო

შემომნების პროცედურა ითვალისწინებს, რაც თავისი შინაარსით სრულიად განსხვავდება მიმდინარე საგადასახადო კონტროლის პროცედურებისაგან. კერძოდ კი, დალუქვა გადაუდებელ გასვლით საგადასახადო შემომნებას მოჰყვება (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 265-ე). გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემომნება მხოლოდ სამართლოს ნებართვის საფუძველზე შეიძლება დაიწყო (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 265-ე, პუნქტი მე-3) და ისიც, მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 265-ე, პუნქტი 1) განსაკუთრებულ შემთხვევებში. მაგალითად, თუ:

▶ არსებობს სანდო ინფორმაცია, მატერიალური საშუალებების საეჭვო წარმოშობის შესახებ;

▶ არსებობს სანდო ინფორმაცია მატერიალური აქტივების დოკუმენტურად დაუსაბუთებელი ზრდის შესახებ;

▶ არ ხდება დეკლარაციების წარდგენა ან წარდგენილი დეკლარაციები არასრულფასოვანია;

▶ არსებობს სანდო ინფორმაცია, რომ იგეგმება, გადასახადების გადახდისგან თავის არიდება საქართველოდან პირის გასვლით, დოკუმენტების განადგურებით, დამალვით და ა.შ.

მედია-ჰოლდინგის შემთხვევაში, ჩამოთვლილთაგან არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამიტომაც, მოგვიანებით შემოსავლების სამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომ „პალიტრაში“ გეგმური შემომნება ჩატარდა და არა გადაუდებელი. კანონმდებლობის თანახმად, საგადასახადო ორგა-



■ **ჯადოსნურმა კომპიუტერმა ათასობით კომპანიას შორის შემთხვევითი შერჩევის წესით მედია-ჰოლდინგ „პალიტრაში“ შემავალი ექვსი სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურა ერთდროულად შეარჩია.**

ნოებმა გადასახადების გადამხდელი გეგმური საგადასახადო შემონმების დაწყებამდე 10 დღით ადრე უნდა გააფრთხილონ.

გეგმურ შემონმებაზე გადაწყვეტილების მიღება „დაბრალდა“ კომპიუტერს, რომელიც შემთხვევითი შერჩევის წესით არჩევს შესამონმებელ ობიექტებს. ხელისუფლების ვერსიით გამოდის, რომ ჯადოსნურმა კომპიუტერმა ათასობით კომპანიას შორის შემთხვევითი შერჩევის წესით მედია-ჰოლდინგ „პალიტრაში“ შემავალი ექვსი სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურა ერთდროულად შეარჩია. ეს დაუჯერებელი დამთხვევა სამოქალაქო სექტორის გაღიზიანების უმთავრესი საფუძველი გახდა.

კომუნიკაციის ნაკლებობა და პროცესების გაუმჭვირვალობა დღემდე ყველაზე მთავარ პრობლემებად რჩება საგადასახადო ორგანოებისათვის. ამასთან, არ არსებობს ეფექტური საზოგადოებრივი მონიტორინგიც.

ამ პრობლემებზე საუბარს თავად ხელისუფლებაც არ ერიდება. მაგალითად, 3 თვის წინ ახალი „გეზის“ პრეზენტაციაზე საგადასახადო ადმინისტრირებაში არსებულ ხარვეზებს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ხისტი“ უწოდა.

1 ივნისს, რადიო „კომერსანტის“ ეთერში საუბრისას მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა დალუქვები ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ და ბიზნესისთვის მტკივნეულ თემად დაასახელა. მისი განცხადებით, საგადასახადო შემონმებისას ბიზნესის დალუქვა არ უნდა მოხდეს და მენარმეებს აღარ უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ საგადასახადო შემონმებისას წარმოება გაჩერდება. სამწუხაროდ, 7 ივნისს საზოგადოებამ საპირისპირო იხილა.

რამდენად შესაძლებელია საგადასახადო ორგანოები „არასასურველ“ ბიზნეს-სტრუქტურებზე ზემოქმედების იარაღად იქცეს? ეს კითხვა რამდენიმე წელია აქტუალობას არ კარგავს, თუმცა 7 ივნისის შემდეგ დისკუსიები ამ თემაზე ისევ განახლდა.

ბოლო წლების პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა – საგადასახადო ორგანოები


პოლიტიკური ზემოქმედების ძალზე ეფექტურ იარაღად იქცა.

ამის მიზეზი რამდენიმეა:

ორმაგი ინტერპრეტაცია. მიუხედავად განახლებული რედაქციისა, ახალი საგადასახადო კოდექსი ადმინისტრირების ნაწილში კვლავაც კრიტიკას ვერ უძლებს. ზემოთხსენებული „სინისტის“ გარდა, იგი ძველი საგადასახადო კოდექსის მსგავსად ცნებებისა და განმარტებების სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ინტერპრეტირება კი, როგორც წესი, ინტერპრეტატორის (სახელმწიფო) სასარგებლოდ ხდება.


ბუნდოვანება. „ბუნდოვანი კანონი ყველაზე ეფექტური კანონია“ – ნაპოლეონის ეს სიბრძნე თანამედროვე ეპოქაშიც აქტუალურია და მრავალი სახელმწიფოს მიერ საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში წარმატებით გამოიყენება. ჩვენი კანონმდებლობაც არ არის გამონაკლისი.

სუბიექტურობა. საგადასახადო კოდექსის უმთავრესი სისუსტეა სუბიექტურ, ადამიანურ ფაქტორზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი. ანუ, საგადასახადო ადმინისტრირების პროცედურულ და ტექნოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევებში სახელმწიფო მოხელეების პირადი შეხედულებების, საფუძვლიანი ეჭვისა თუ ე.წ. სანდო ინფორმაციის საფუძველზე მიიღება და არა კანონმდებლობაში განერილი შემთხვევების და პროცედურების შესაბამისად. მაგალითად, საგადასახადო მოხელის „საფუძვლიანი“ ეჭვის ან მის ხელთ არსებული „სანდო“ ინფორმაციის საფუძველზე სრულიად კანონიერად შესაძლებელია ბიზნესის დალუქვა და ქონებაზე საგადასახადო გირავნობის გავრცელება.

სწორედ ეს სამი გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც ყოველთვის მნიშვნელოვნად გვაშორებდა და დღესაც გვაშორებს ევროპულ საკანონმდებლო სტანდარტებს და იმ რეალურად ლიბერალურ ღირებულებებს, რასაც ეფუძნება მენარმეობის განვითარება და პროგრესი ევროპაში. 



სპეციალური შეთავაზება



გამოინერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ თითოჯინს ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა ახლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოინერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (899) 48 62 41 ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge



საკუთრების უფლება

უსნაუჩი ბაჩიბება

რატომ მიატოვა ასამდე წყნეთელმა საკუთარი მიწა სახელმწიფოს სასარგებლოდ?

სტუდია „მონიტორი“

წყნეთი, ივნისი 2011

საქართველოს მშენებლობის კოდექსი

სტუდია „მონიტორის“ მიერ საჯარო რეესტრიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წელს დაახლოებით ასამდე წყნეთელმა მესაკუთრემ საჯარო რეესტრს მიაკითხა და მათი კუთვნილი უძრავი ქონება მიატოვა. მესაკუთრეებმა ქონების მიტოვების რეგისტრაციაზე განცხადებები ერთმანეთის მიყოლებით დაწერეს და ის სახელმწიფოს გადასცეს.

დაბა წყნეთი თბილისიდან, დაახლოებით, 11 კილომეტრში მდებარეობს. მისი განაშენიანება ინტენსიურად მიმდინარეობს – სადაც ადრე მხოლოდ ნაკვეთები და ბალები იყო ახალი ქუჩები და ფეშენებლური აგარაკები შენდებოდა. დედაქალაქთან სიახლოვისა და კლიმატური პირობების გამო წყნეთში უძრავი ქონების ფასები საკმაოდ მაღალია. ბოლო წლებში წყნეთში 1 კვ.მ. მიწის ფასი 30-დან 50 დოლარამდე მერყეობს.

„გთხოვთ, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 184-ე მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ საქართვე-

ლოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ქ. თბილისში წყნეთის ტერიტორიაზე [მისამართი] მდებარე უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრში განახორციელოთ საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია“ – ასეთია განცხადების ფორმა, რომელიც ქონების ყოფილმა მესაკუთრეებმა საჯარო რეესტრში შეავსეს.

რატომ გაუჩნდათ წყნეთელ მესაკუთრეებს სურვილი – მიეტოვებინათ ძვირადღირებული ქონება? ამ კითხვით ჩვენ ყოფილ მესაკუთრეებს მივმართეთ. მათი უმრავლესობა ყვება, რომ ქონება პროკურატურის მოთხოვნით დათმეს, თუმცა ამ ამბის შესახებ საუბარს მხოლოდ ანონიმურობის დაცვის პირობით თანხმდებიან.

მოქალაქემ, რომელიც დაბადებიდან წყნეთში ცხოვრობს, 2007 წელს თბილისის მერიას კანონით დადგენილი დოკუმენტაცია წარუდგინა და მიწის რეფორმის დროს, 90-იან წლებში მიღებული ნაკვეთის დაკანონება მოსთხოვა.

პროგრამა „რაც შენია – შენიას“ ფარგლებში შექმნილმა მერიის კომისიამ ამ მოქალაქეს საკუთრების მონაწილეობა გადასცა, რის შემდეგაც 2008 წლის თებერვალში მან 600 კვ.მ. მეტრი მიწის ნაკვეთი საკუთრებაში დაიმტკიცა. 2 წლის შემდეგ, 2010 წლის ოქტომბერში წყნეთელი მესაკუთრე თბილისის პროკურატურაში დაიბარეს.

„დამირეკეს პროკურატურიდან, ნაკვეთთან დაკავშირებით რაღაც გაურკვეველობა არისო. თქვენ სახელმწიფო დაახლოებით 50 ათასი ლარით აზარალებთო. ვერ გავიგე, როგორ ვაზარალებ და არც აუხსნიათ. მითხრეს, მიხვალთ რეესტრში და იქ ბლანკს შეავსებ ქონების მიტოვებაზეო. თუ არა და, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება და რაღაც ჯარიმები იქნებაო. მერე დავწერე ეს განცხადება, როგორც ყველამ“, – იხსენებს ერთ-ერთი ყოფილი მესაკუთრე.

იურისტების განმარტებით, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მესაკუთრეს ჯა-

რიმა მართლაც ეკუთვნოდა, პროკურატურა მას მაინც უკანონოდ მოექცა. თუ პროკურატურას საკუთრების კანონიერებაში ეჭვი ეპარება, კანონი მას ავალდებულებს, მესაკუთრეს ქონება სამართლებრივად ჩამორთვას და არა იძულებითი მიტოვებით.

„თუ ამგვარი ტიპის საუბარი ხდებოდა მესაკუთრეებთან, ეს არის არასწორი იმიტომ, რომ არ შეიძლება ხელისუფლება მსგავსი ტიპის გარიგებაზე მიდიოდეს. თუ პროკურატურა ხედავდა დანაშაულის ნიშნებს, მაშინ მას უნდა დაეწყო გამოძიება და პასუხისგებაში მიეცა ნებისმიერი, ვინც ამ დანაშაულში მონაწილეობდა“, – ამბობს თამარ კორძაია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან“.

კიდევ ერთი მესაკუთრე, რომელმაც

სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვება შესთავაზა. საბოლოოდ, მესაკუთრემ საჯარო რეესტრში ქონების მიტოვების საფასური – 6 ლარი გადაიხადა და საკუთრების დასაცავად აღარ უბრძოლია.

კიდევ ერთი მესაკუთრე რომელმაც ქონება მიატოვა, გვიყვება, რომ წყნეთში მდებარე 850 კვ.მ. მიწის მფლობელი 1998 წელს, ე.წ. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გახდა, 2008 წელს კი მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრით საკუთრებაში დაიმტკიცა. ნაკვეთს მისი ოჯახი წლების განმავლობაში ამუშავებდა, გააშენეს ხეხილი, მოჰყავდათ ბოსტნეული. 2010 წლის სექტემბერში მას მოულოდნელად პროკურატურიდან დაუკავშირდნენ და მიწის დათმობა მოსთხოვეს.

2010 წელს სახელმწიფოს ქონება ისეთმა მესაკუთრეებმაც გადასცეს, რომლებმაც წყნეთში მიწის ნაკვეთები რამდენიმე წლით ან თვით ადრე შეიძინეს, თანაც, საკმაოდ მაღალ ფასად.

ჩვენს ხელთ არსებული ნასყიდობის ერთ-ერთი ხელშეკრულებით ირკვევა, რომ მოქალაქემ წყნეთის პრესტიჟულ ნაწილში ე.წ. „ნუშის ბაღების“ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი 2009 წელს 50 ათას ლარად იყიდა. 2010 წლის სექტემბერში კი მიატოვა და ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრება გახდა.

„არ მინდა ამ თემაზე არც კომენტირება და არც არაფერი. ეს არაფერს არ გამოასწორებს,“ – ამბობს ახლა ეს მოქალაქე.

დოკუმენტების მიხედვით, წყნეთის სატყეო უბანში მიწის ნაკვეთი კიდევ ერთმა მესაკუთრემ 2005 წელს 18 ათას ლარად იყიდა და 2010 წელს, როგორც თავად ამბობს, „ჩინოვნიკების მოთხოვნით“ მიატოვა.

„გიჟს ვგავარ, რომ არ მეკითხა და ისე ჩამებარებინა ჩემი ნაყიდი ნაკვეთი? თუ ამას არ გააკეთებ, ცუდად წაგივა საქმეო და ბოლოს მაინც ჩვენსას მივალწვეთო. რა მექნა?!“

მართლაც განხორციელდა თუ არა სისხლის სამართლის დევნის მუქარით ზეწოლა იმ ადამიანებზე, ვინც ქონება მიატოვა, ამის დადგენის მიზნით ჩვენ პროკურატურას იმ მესაკუთრეების სია გავუგზავნეთ, ვინც ქონება 2010 წელს დათმო. პროკურატურას ვკითხეთ, იყო თუ არა აღძრული სისხლის სამართლის საქმე ამ ადამიანების მიმართ. პროკურატურამ წერილი შსს-ს გადაუგზავნა, საიდანაც გვიპასუხეს, რომ აღნიშნული ინფორმაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საიდუმლოა.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხათუნა იოსავამ კი გვითხრა, რომ მას ასეთი ფაქტი პროკურატურაში არავინ დაუდასტურა.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ბოლო ორ წელიწადში საკუთარი ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ 1500-ზე მეტმა მესაკუთრემ დათმო. **□**

■ 2010 წელს სახელმწიფოს ქონება ისეთმა მესაკუთრეებმაც გადასცეს, რომლებმაც წყნეთში მიწის ნაკვეთები რამდენიმე წლით ან თვით ადრე შეიძინეს, თანაც, საკმაოდ მაღალ ფასად.

მიწის ნაკვეთი 2008 წელს პროგრამით „რაც შენია – შენია“ დაირეგისტრირა, იხსენებს, რომ პროკურატურიდან 2010 წლის აგვისტოში, ღამის 11 საათზე დაურეკეს.

„როგორც გესტაპოში, ხომ გინახავთ კინოში, ესე მომექცნენ. დამირეკეს და მითხრეს, რომ 40 წუთში უნდა გამოვეცხადებუდიყავი პროკურატურაში. მითხრეს, რომ რალაც პრობლემა იყო ჩემს მიწასთან დაკავშირებით. ვუთხარი, შვილო, მაშინ მე მჭირდება ადვოკატი. გაეცინათ – ამას შეხედე, ადვოკატი უნდაო. ბოლო-ბოლო ორი ვარიანტი შემომთავაზეს – ან 6-დან 9 წლამდე ციხე გაქვსო და ან საპროცესო გარიგებაო. საპროცესოს თანხა მე არ მქონდა, 15 ათასიდან იწყებოდა. მოკლედ, ის ნაკვეთი ჩამომართვეს. უფრო სწორად, ჩავაბარე“.

ყოფილი მესაკუთრე იხსენებს, რომ პატიმრობის და საპროცესო გარიგების თავიდან ასაცილებლად პროკურატურამ მესამე ვარიანტი – მიწის ნაკვეთის

„თქვენ დაკავებული გაქვთ სახელმწიფო ქონებაო, შეჭრილი ხართ და უნდა დათმოთო. მე კი მიწილია მეძალავა, მაგრამ მაშინ პასუხისგებაში მივცემთო, მითხრეს, რადგან სახელმწიფო ქონებას ევატრონებითო. მერე გავიგეთ, რომ სხვებსაც ჩააბარებინეს და ბოლოს ჩემმა მეუღლემ გადამანყვეტინა – თუკი ასეთი მდგომარეობა არის, ჩვენც დავთმოთ“.

იურისტები განმარტავენ, რომ რეესტრში რეგისტრირებულ საკუთრებას ხელმეუხებლობის კონსტიტუციური გარანტია აქვს, რომელიც, ამ მესაკუთრის შემთხვევაში, პროკურატურამ უგულვებელჰყო.

„როდესაც ქონება არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და მესაკუთრის გრაფა არის მითითებული, ეს არის ამ პიროვნების საკუთრება. ეს არის უტყუარობის პრეზუმფცია, რომელსაც ადგენს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონმდებლობა,“ – აცხადებს თამარ კორძაია.

ბიზნესი და კოლიჯია

-19,000 დოლარი დღეში

3 წლის წინ კახი კალაძემ ხელისუფლებისგან 700 მილიონიანი შეკვეთა მიიღო. ეს შესაძლოა, დღეს მას ქონების დაკარგვად დაუჯდეს.

მაია ნიკლაური

სამების საკათედრო ტაძრიდან, მანქანით დაახლოებით ნახევარი საათის სავალზე, „არსენალის მთის“ ფერდობი იწყება. მთის წვერი, დაახლოებით 14 ჰექტარი, რკინის ბადითაა შემოღობილი. ეზოში ჩადგმულ მატარებლის ძველ ვაგონებში ბერები ცხოვრობენ. იქვე აწყვია ჟანგისანი სამშენებლო მასალა, აგურები, ქვები, აქვეა ქვიშის რამდენიმე გროვა. ერთ-ერთ ვაგონზე ძველი, ნაქცეული და ჩამოხეული ბანერია მიყუდებული. ფერგადასულ პლაკატზე ჩანს წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის მონასტრის მაკეტი, რომელიც ბერებმა ამ ადგილზე უნდა ააშენონ.

ამ ტერიტორიაზე 3 წლის წინ, ხელისუფლებასთან დადებული ხელშეკრულებით, ფეხბურთელ კახი კალაძეს მთავრობის სახლის მშენებლობა უნდა დაეწყო.

2008 წლის 14 თებერვალს ეკონომიკის სამინისტროს აუქციონში კომპანია „არსენალ დეველოპმენტმა“ გაიმარჯვა. მას „არსენალის მთის“ 77 ჰექტარზე, ხელშეკრულების თანახმად, „ქალაქი ქალაქში“ უნდა აეშენებინა. მინის პრივატიზებისთვის კომპანიის მფლობელს, 10 თვეში, დაახლოებით 38 მილიონი ამერიკული დოლარი ბიუჯეტში უნდა გადაეხადა. კომპანიის მფლობელმა აიღო ვალდებულება, რომ 2 წელიწადში უცხოელი ინვესტორებისგან კიდევ 700 მილიონ ამერიკულ დოლარს მოიზიდავდა. კომპანია „არსენალ დეველოპმენტის“ მფლობელი კახი კალაძეა.


„უნდა აშენებულიყო სამთავრობო კომპლექსი, სადაც განთავსდებოდა სამინისტროები და სამთავრობო დეპარტამენტები. შენობები უსასყი-

დლოდ გადაეცემოდა მთავრობას. ასევე უნდა აშენებულიყო მსოფლიო დონის საცხოვრებელი სახლები, აუზები, საფეხბურთო მოედნები, ჩოგბურთის კორტები და ა.შ. 2016 წლისთვის პროექტი უნდა დასრულებულიყო და 25 ათასი ადამიანი დაესაქმებინა“, – აცხადებს კახა კალაძე „ლიბერალთან“ ინტერვიუში.

თუმცა აუქციონის მოგებიდან 3 წლის შემდეგაც „არსენალის მთის“ ტერიტორიაზე ისევ სამხედროების ძველი, დანგრეული ყაზარმები დგას. აქა-იქ სამშენებლო ნაგავია დაყრილი. წელამდე ბალახში კი ძნელად გაიკვლევთ გზას. შეიძლება ადგილობრივ მოსახლეებსაც წააწყდეთ, რომლებიც ტერიტორიაზე მეორად აგურებს აგროვებენ.

კახა კალაძე აცხადებს, რომ პროექტის განხორციელებაში მას ხელი ჯერ აგვისტოს ომის დროს შექმნილმა ფორსმაჟორულმა სიტუაციამ, მოგვიანებით კი მთავრობამ შეუშალა. საქართველოს ფეხბურთის ნაკრების კაპიტანმა ომამდე, დროულად მხოლოდ საპრივატიზაციო თანხის ნახევარი – 19 მილიონი დოლარი დაფარა, დანარჩენის გადავადება კი მთავრობას ოფიციალურად სთხოვა.

„ომის შემდეგ ქვეყანაში უმძიმესი სიტუაცია შეიქმნა და საქართველო არასტაბილური ქვეყანა გახდა. ჩემმა უცხოელმა პარტნიორებმა ინვესტიციების ჩადებისგან თავი შეიკავეს. თანხის გადახდის გადავადება სრულიად კანონიერი იყო, ვინაიდან ხელშეკრულებაში ცალკე მუხლადაა შესული ფორსმაჟორი, რომლის ჩამონათვალში შავით თეთრზე წერია ომი, სამხედრო ოპერაციები და ა.შ. სახელ-



მნიფო სტრუქტურამ ეს სიტუაცია არ გაითვალისწინა“, – აცხადებს კალაძე. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კახა კალაძეს თხოვნაზე უარი უთხრა და გადავადების ნაცვლად ჯარიმა დააკისრა. 2008 წლის 15 სექტემბრიდან მოყოლებული მისი კომპანიის დავალიანება ბიუჯეტის მიმართ ყოველდღე 19 ათასი ამერიკუ-

ლი დოლარით იზრდება. დღეისათვის „არსენალ დეველოპმენტის“ ვალი ჯამში 15 მილიონ დოლარს აჭარბებს და ეს თანხა მანამდე გაიზრდება, სანამ კალაძე ჯარიმას არ დაფარავს და 2008 წელს აღებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს.

„კალაძე საპრივატიზაციო თანხების გადახდის გადავადებას ითხოვდა და

■ 2008 წლის 15 სექტემბრიდან მოყოლებული კალაძის კომპანიის დავალიანება ბიუჯეტის მიმართ ყოველდღე 19 ათასი ამერიკული დოლარით იზრდება.



არა საინვესტიციო ვალდებულებებისას, ამიტომ ფორსმაჟორული სიტუაციების შემსწავლელმა კომისიამ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. საპრივატიზაციო თანხის გადახდის ვადის გადადება წარმოუდგენელია, რადგან მოქმედებს „სახელმწიფო ქონების შესახებ კანონი“, რომლის მიხედვითაც საპრივატიზაციო ღირებულებას თუ არ გადაიხდი, ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს“, – განაცხადა 2011 წლის 4 მაისს ერთ-ერთ ინტერვიუში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე თამარ ჭელიძემ.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდის და ხელშეკრულების შესრულების გრაფიკს არ წარმოადგენს, კალაქემ შესაძლოა გადახდილი თანხაც დაკარგოს და ქონებაც.

ფეხბურთელი მთავრობასთან დაძაბულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, როდესაც მოულოდნელად გაიგო, რომ მის მიერ შესყიდული ნაკვეთის 14 ჰექტარზე პრეტენზია სხვა მესაკუთრესაც ჰქონდა. საპატრიარქოში აცხადებენ ეს მინა 1996 წელს პატრიარქმა აკურთხა და გადაწყდა, რომ ამ ადგილზე წმინდა ელია წინასწარმეტყველის მონასტერი აშენებულიყო. 2007 წელს წინამძღვარმა მამა იოაკიმემ ჩანაფიქრის განხორციელება დაიწყო. თუმცა მინის გასხვისების გამო სამშენებლო სამუშაოები შეაჩერა.

„საპატრიარქოს ეს მინა სახელმწიფოსთან დადებული კონკორდატის საფუძველზე ეკუთვნის. ეკონომიკის სამინისტრომ კი ეს კანონი არ გაითვალისწინა, ისე გაასხვისა საპატრიარქოს კუთვნილი ტერიტორია“, – გვიხსნის მამა იოაკიმე.

მონასტრის წინამძღვარმა, მამა იოაკიმემ „ლიბერალს“ სახელმწიფო არქივიდან გამოთხოვილი თბილისის ძველი რუკა, რომელიც სავარაუდოდ მე-20 საუკუნის დასაწყისით თარიღდება და მე-19 საუკუნის დასასრულს გამოქვეყნებული პლატონ იოსელიანის ცნობარი უჩვენა, სადაც აღნიშნულია, რომ ამ ადგილზე წლების განმავლობაში წმინდა ელია წინასწარმეტყვე-

ლის სახელობის ეკლესია არსებობდა და ეს ტერიტორია ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა. მამა იოაკიმე ამტკიცებს, რომ ეს ტაძარი საბჭოთა პერიოდში განადგურდა.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას

შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების მეშვიდე მუხლში ვკითხულობთ, რომ „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მინის ნაკვე-

■ კალაქემ სახელმწიფოს საპატრიარქოსთვის 14 ჰექტარი მინის დათმობის სანაცვლოდ მასზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმება და ვალდებულებების გადავადება შესთავაზა, თუმცა სამინისტრომ ეს შეთავაზება არ მიიღო.



3 წლის წინ ამ ადგილზე საპატრიარქო ეკლესიის აშენებას გეგმავდა, თუმცა კახა კალაძის მიერ „არსენალის შთის“ მინის ნაკვეთის შესყიდვის გამო მშენებლობა შეჩერდა

თებს, რომლებზეც ისინია განლაგებული“. ამავე დოკუმენტის მეთერთმეტე მუხლის მიხედვით კი, ასეთი ისტორიული საკუთრების სტატუსი სპეციალურმა კომისიამ უნდა განსაზღვროს. ეკონომიკის სამინისტროს მიწის გასხვისების პროცესში მსგავსი საკითხი არ განუხილავს.

მამა იოაკიმეც და კახა კალაძეც ფიქრობენ, რომ შეცდომა ეკონომიკის სამინისტრომ დაუშვა.

2010 წლის 31 დეკემბერს კალაძემ სახელმწიფოს საპატრიარქოსთვის 14 ჰექტარი მიწის დათმობის სანაცვლოდ მასზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმება და ვალდებულებების გადავადება

შესთავაზა, თუმცა სამინისტრომ ეს შეთავაზება არ მიიღო.

„სახელმწიფო ჩინოსანთა უყურადღებობის ან შეგნებული სიცრუის გამო „არსენალ დეველოპმენტმა“ მილიონები გადაიხადა მიწაში, რომელსაც უკვე ჰყავდა კანონიერი მფლობელი. ჩვენ მხოლოდ 2009 წელს აღმოვაჩინეთ ეს გარემოება. მიუხედავად ამისა, მთავრობა არანაირ დათმობაზე არ მოდის“, – აცხადებს კახი კალაძე. ის „ლიბერალთან“ საუბარში ამბობს, რომ მართლმადიდებელ ოჯახშია გაზრდილი და საპატრიარქოსთან აღნიშნულ მიწაზე დავა არ აქვს.

თუკი საქართველოს ნაკრების კაპიტანი დავას მთავრობასთან ვერ მოაგვარებს, არ გამორიცხავს, რომ „არსენალ დეველოპმენტმა“ საჩივარი ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანოს, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკურ დავებს განიხილავს.

„საქართველოში ბიზნესმენი ხელისუფლების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული“, – ამბობს კახა კალაძე, რომელიც ამტკიცებს, რომ ხელისუფლებამ ის მიუღებელ ბიზნესმენტა „შავ სიაში“ შეიყვანა.

„ბატონმა კახი კალაძემ მოიწონა ნოღაიდელის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში და გააკრიტიკა სააკაშვილი. ასეთ შემთხვევაში რეჟიმი ყოველთვის მიმართავს დამსჯელ ზომებს. ცნობილია, რომ საგადასახადო სამსახურებს ხელისუფლება ბიზნესმენების დაშინების, დასჯისა და მათგან ფულის გამოძალვისათვის იყენებს“, – აცხადებს ზურაბ ნოღაიდელის თანაპარტიელი პეტრე მამრადე „ლიბერალთან“ საუბრისას.

სააკაშვილი კალაძემ რუსულ გაზეთ „სოვეტსკი სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკრიტიკა და მისი პოლიტიკა „რუსეთთან ურთიერთობების დალაგების მხრივ, ნულს შეადარა“. სამაგიეროდ, პოზიტიურად შეაფასა ნოღაიდელის ვიზიტი მოსკოვში.

ყვითელ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს კალაძე ნოღაიდელის მიმართ გაკეთებული განცხა-

დებების გამო ხელისუფლებაში მისმა მეგობრებმაც გააკრიტიკეს. კახი კალაძეს რჩევები რატი სამყურაშვილმა, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრმა მისცა. კალაძე სამყურაშვილის მეჯვარეა.

„კახასთან პირად საუბარში ღიად დავაფიქსირე ჩემი პოზიცია და ვურჩიე, თავი შეიკავოს პოლიტიკური საქმიანობისგან. მას აქვს თავისი საქმე და ვთხოვე, პოლიტიკისგან იზოლირებული იყოს, მით უფრო ისეთი განცხადებებისგან, რომელსაც ის აკეთებს ბოლო პერიოდში ნოღაიდელთან დაკავშირებით. მისი პოლიტიკური პოზიცია რადიკალურად მიუღებელია ჩემთვის“, – ეს არის ფრაგმენტი სამყურაშვილის ინტერვიუდან, რომელიც გაზეთმა „პრაიმ-ტიმმა“ გამოაქვეყნა. თუმცა იგივე თემაზე საუბარი სამყურაშვილმა „ლიბერალთან“ არ ისურვა.

კალაძე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის გათავისუფლება მოითხოვა. 2011 წლის 25 მარტს კალაძემ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნა – „დგება დრო, როდესაც საზოგადოებამ ხელისუფლებას მეტი გამჭვირვალობა უნდა მოსთხოვოს, დემოკრატიის შუქურად ნოდებულმა ქვეყანამ უკანასკნელ წლებში აშკარა რეგრესი განიცადა“. მაშინ კალაძემ სასამართლოს უნდობლობა გამოუცხადა და განაცხადა, რომ მისი აზრით, დემეტრაძის საქმე უნდა გადაიხედოს. დემეტრაძეს საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 23 მარტს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ბრალად ქურდულ სამყაროსთან კავშირი ედება.

„არასოდეს ვცდილობდი, რომელიმე რეჟიმს მოვწონებოდი ან ჯიბის ბიზნესმენი ვყოფილიყავი. როგორც ყველა ეპოქაში, ახლაც სიმართლის მთქმელი და რეალურად საქმის მკვთებელი ადამიანი არ უყვართ“, – ასე უპასუხა კახა კალაძემ „ლიბერალის“ კითხვას: თუ რატომ შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება მის მიმართ. **■**



ფოტო: შალვა ლომიძე

თვალსაზრისი

ჩაბუნასიები და სოფლის მეურნეობის ბანკითხება



ამ წერილის მიზანია, დავინახოთ რეგულაციების დადებითი მხარე. კონკრეტულად კი, განვიხილოთ რეგულაციები სოფლის მეურნეობის სფეროში, რომლებიც სურსათის უვნებლობისა და სანერგე მასალის უსაფრთხოების გარანტიას ქმნის.

კოტე ვეკუა, ფერმერი

სურსათის უვნებლობის რეგულაციები ემყარება მომხმარებლის უფლებას, იცოდეს, თუ რაში იხდის ფულს, იცოდეს, რომ მის მიერ შეძენილი საკვები წესების დაცვითაა წარმოებული და არ შეუქმნის მის ჯანმრთელობას საფრთხეს.

ამ უფლების უზრუნველყოფას მხოლოდ მწარმოებელი ვერ შეძლებს. წარმოდგინეთ ასეთი სცენარი: კომპანიამ შეისყიდა 50 000 ლარის ხილი, 10000 ლარის ქილა და ეტიკეტი, 10000 ლარი გადაუხადა პერსონალს ჯემის შესაფუთად და სარეალიზაციოდ გაგზავნის წინ აღმოჩნდა, რომ ხილში პესტიციდები ნორმაზე მეტია. კომპანიამ გადანყვიტა, თავის თავზე აიღოს 70 000 ლარის ზარალი და ჯემების მთელი პარტია გაანადგურა, მიუხედავად იმისა, რომ ვერც სუპერმარკეტი და ვერც მომხმარებელი ვერასოდეს გაიგებდა ჭარბი პესტიციდების შესახებ, რადგან ამის შემოწმებული არავინ არის. ასეთი რამ ძნელად დასაჯერებელია, მით უმეტეს საქართველოში, სადაც კომპანიების უმეტესობა ბანკიდან აღებული სესხებით მუშაობს და ამ სესხების გასასტუმრებლად უფროსილდება თითოეულ ლარს.

სწორედ ამიტომ, მომხმარებლის უფლებების დაცვა უნდა უზრუნველყოს სურსათის უვნებლობის სისტემამ და ამ სისტემის რეგულატორმა სახელმწიფომ.

სანერგე მასალის უსაფრთხოება გულისხმობს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის უმთავრესი აქტივის, ანუ ბიოაქტივების შემადგენელი ხილისა და ბოსტნეულის ათასობით ჯიშის სანერგე და სათესლე მასალის დადგენილი წესების მიხედვით გამოყვანასა და გავრცელებას. ამ წესების დაცვით გამოყვანილი ნერგები და თესვები ფერმერებისთვის იმის გა-



რანტიანია, რომ მათ მიერ პლანტაციისა თუ სათბურის გაშენებაში ჩადებული ინვესტიცია დაცულია გაყალბებული, ავადმყოფი, დაბალნაყოფიერი ნერგებისა და სათესლე მასალებისგან.

განვიხილოთ, რა ძირითადი არგუმენტებია რეგულაციების წინააღმდეგ და რამდენად დამაჯერებელია ეს არგუმენტები:

1) რეგულაციები გაზრდის კომპანიების ხარჯებს

1.1. სინამდვილეში, წინასასერტიფიკაციო კვლევისა და სერტიფიკაციის ხარჯები კომპანიების ზომებთან საკმაოდ პროპორციულია. რაც უფრო ადვილია „სანარმოო პროცესი“, მით უფრო ნაკლები დრო და დანახარჯი მიდის სერტიფიკა-

ციან. მაგალითად, თუ კომპანია მხოლოდ ყიდულობს ვაშლს გლეხებისგან, აკალიბრებს მას და ფუთავს, მას უფრო ნაკლები კრიტიკული კერები აქვს შესაძლო საფრთხეებისთვის და მისი შემოწმებაც ნაკლებ დროს მოითხოვს. უფრო ძვირადღირებულია ისეთი კომპანიის შემოწმება, რომელიც შესყიდულ ვაშლს თლის, წურავს, ამატებს შაქარს, კონსერვანტებს და ა. შ. ამ უკანასკნელის შესაბამისობის შემოწმება მეტ დროს ითხოვს, მაგრამ ცხადია, ამ კომპანიას უფრო მასობრივი მოხმარების პროდუქცია და მეტი თანხებიც აქვს.

1.2. უნდა აღინიშნოს, რომ სურსათის და სანერგე მასალების უსაფრთხოების დამადასტურებელი სერტიფიკატების მისაღებად წინასასერტიფიკაციო გამოკვლევისა

და სერტიფიკატის წლიური განახლების ხარჯების გარდა, სერტიფიკატი მოთხოვნილი საწარმოო პირობების შესაქმნელად კომპანიებს მოუწევთ სხვა ხარჯების გაღებაც. თუმცა საუბარია ისეთ პირობებზე, როგორც, წესით, ისედაც უნდა იყოს ნებისმიერ საწარმოში: ჰიგიენური კვანძები, სასწორ-საზომი მოწყობილობები, პროდუქციის შესანახი საცავები და სხვ.

1.3. სერტიფიკაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება შესაძლებელია თუ სახელმწიფო თავის თავზე აიღებს სერტი-

ფიცირების წინა გამოკვლევებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას.

2) რეგულაციები გაართულებს კომპანიების ყოველდღიურ საქმეთწარმოებას

2.1. სერტიფიკატის შენარჩუნება ითხოვს შესყიდვების, წარმოების და რეალიზაციის ყველა ეტაპის დოკუმენტურ აღრიცხვას. მაგრამ სერტიფიკატის გარეშე, განა არ უნდა ხდებოდეს ამ პროცესების კონტროლი შიდა სტატისტიკური, ბუღალტრული და მარკეტინგული მიზნებისთვის?! მაგალითი: თუ კომპანია ყიდულობს ვაშლს 100 სხვადასხვა ფერმერისგან, მან ხომ ისედაც უნდა გაუფორმოს ყველა მათგანს შესყიდვის აქტი, სადაც ინერება ვაშლის ჯიში, წონა, კალიბრი, წუნის რაოდენობა, ფასი, თარიღი და სხვ. ეს მონაცემები კომპანიას დაეხმარება გამოავლინოს, რომელი ფერმერები ახერხებენ წლიდან წლამდე ნაკლებ წუნინი ვაშლის მოწოდებას, რომელი ფერმერის მოწოდებულ ვაშლს აქვს მეტი შაქრიანობა და სხვ. ამ მონაცემების დახმარებით მათ შეუძლიათ ეწვიონ საუკეთესო ვაშლის მოწოდებულების ბალებს და ნახონ, რას აკეთებენ ისინი განსხვავებულად და შემდომ ნახაღისონ სხვა, ნაკლებად ეფექტური ფერმერები, რათა მათაც იგივე ხერხებით შეძლონ უკეთესი ვაშლის მოყვანა. ამით კომპანია შეიძენს უფრო მეტ მაღალი ხარისხის მოწოდებულს.

2.2. სურსათის უვნებლობის მხრივ ამ პროცესს დაემატება აღმოჩენადობის/მოკვლევადობის (traceability) პროცედურა, რაც გულისხმობს თითოეული ფერმერის მიერ მოწოდებული ვაშლის პარტიისთვის უნიკალური კოდის მინიჭებას და ამ კონკრეტულ პარტიაზე ამ კოდის შენარჩუნებას მანამ, სანამ ეს პროდუქცია გადაინაცვლებს სხვა კომპანიის ხელში (საცალო ქსელში, დისტრიბუტორთან). შედეგად, თუ კომპანიის მიერ გაგზავნილი ვაშლის წვენით სადღაც ჰამბურგში ვინმე მოინამლა, საცალო ქსელი შეძლებს იგივე კოდის მატარებელი სხვა ქილები შეამოწმოს და მთლიანად შეაჩეროს იმ კოდით მოძრავი პროდუქციის რეალიზაცია.

2.3. დისციპლინის არქონა ქართული ბიზნესის სუსტი წერტილია. აღნიშნული პროცედურების სისტემატური გამოყენება შეცვლის ჩვენი კომპანიების მენტა-

ლიტეტს და მას უფრო მონესრიგებულს გახდის. მოიმატებს ნდობა, როგორც კომპანიებს შორის, ასევე კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის.

3) სახელმწიფოს არ გააჩნია ფინანსები და კადრები იმის გასაკონტროლებლად, თუ როგორ სრულდება რეგულაციები. მოსალოდნელია რეგულაციებისა და მენარმეებს შორის კორუფციული გარიგებები.

3.1. ამაზე ერთადერთი პასუხი ასეთია: სოფლის მეურნეობის განვითარება არის ის სფერო, რომელსაც შეუძლია საქართველოს სავაჭრო ბალანსის შეცვლა და ასიათასობით სამუშაო ადგილის შექმნა. ამ სფეროში უფრო ადვილია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგან ის არ მოითხოვს ერთი ინვესტორისგან მრავალმილიონიან დაბანდებას.

საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელსაც გააჩნია როგორც ტენიანი სუბტროპიკული, ასევე შედარებით უფრო მშრალი კლიმატური ზონები. შესაბამისად, აქ შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უამრავი სახეობის მოყვანა. რაც შეეხება გასაღების ბაზრებს, 2010 წლის მონაცემებით ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი ბაზრის, გერმანიის მიერ არაევროკავშირიდან იმპორტირებული ხილის წილი მისი ხილის მოხმარების მხოლოდ 5% შეადგენდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ევროკავშირის გარეთ სოფლის მეურნეობის წარმოების დისციპლინის დაბალი დონეა. რეგულაციები ხელს შეუწყობს ჩვენი აგრარული სფეროს წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ქვეყანაში, სადაც უკიდურესად კორუმპირებული საგზაო მილიცია შეიცვალა რეფორმირებული პატრულით, რატომ არ შეიძლება ყოფილი სანიტარიული სამსახურის გარდასახვა? იმ შემთხვევაში, თუ ამ სამსახურის თანამშრომლებსაც ექნებათ 600-800 ლარიანი ხელფასი და მოტივირებული ხელმძღვანელობა, მათ მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულება უფრო მოსალოდნელია ვიდრე პირიქით. რეგულაციები არის პროცესი, რომელიც ახალ შანსს მისცემს ჩვენს ქვეყანას და რომლის მატერიალიზაციისთვის სახელმწიფომ უნდა გამოიხაროს სახსრები და კადრები. ■



■ ქვეყანაში, სადაც უკიდურესად კორუმპირებული საგზაო მილიცია შეიცვალა რეფორმირებული პატრულით, რატომ არ შეიძლება ყოფილი სანიტარიული სამსახურის გარდასახვა?

ბარდატაინის ასაკი

ასახი და სუბხეიდუხა

რა უნდა იყოს მშობლისა და საზოგადოების რეაქცია მოზარდის საქციელზე, როცა ის „მეინსტრიმულ“, ჰეგემონურ ფასეულობებს უპირისპირდება და თან მხარდამჭერებს ეძებს.

ნათია გულიაშვილი


სამი წლის წინ, პატარა ბრიტანულ ქალაქში 15 წლის ბიჭმა სასტიკი ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა 20 წლის ახალგაზრდა ქალი, სოფი ლანკასტერი და ასევე უმონყალოდ ცემა მისი შეყვარებული, რობერტ მალტბი მხოლოდ იმიტომ, რომ წყვილს განსხვავებულად, გოთებივით ეცვათ. ბიჭს, რომლის სახელსაც სასამართლო მისი არასრულწლოვანების გამო არ ამხელდა, თან ახლდა ოთხი მეგობარი, როცა ქუჩაში გოთურად ჩაცმულმა წყვილმა მიიპყრო მათი ყურადღება. მცირედი შელაპარაკების შემდეგ, მოზარდები შეტევაზე გადავიდნენ, თან ერთმანეთს აქეზებდნენ. შემთხვევის ადგილას მისულ პოლიციელებს სოფი ლანკასტერის სქესის დადგენაც კი გაუჭირდათ, იმდენად ნაცემი იყო ის. გოგონა ამ შემთხვევიდან ორი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

გოთები ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გავრცელებული სხვა სუბკულტურების წარმომადგენლები, ხშირად ხდებიან დაცინვის, გარიყვის, შეურაცხყოფის და ზოგჯერ ისეთი სიმკაცრით შურისძიების მსხვერპლნიც, როგორც ბრიტანელი მოზარდები სოფი ლანკასტერს გაუსწორდნენ. ამის მიზეზი ზოგჯერ ხდება მოსაზრება, რომ თვითონ სუბკულტურების წევრები გამოირჩევიან აგრესიულობით, რაც საზოგადოების მხრიდან საპასუხო აგრესიას იწვევს.

კლომენტისა თუ დისკრიმინაციის მიუხედავად, სუბკულტურების რიცხვი ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არ მცირდება. ჯერ კიდევ 1985 წელს, სან-ფრანცისკოში მკვლევრების, ზიმბარდოსა და ჰართლის კვლევამ აჩვენა, რომ საშუალო სკოლებში გამოკითხულ მოზარდთა ნახევარი აკმაყოფილებდა ამა თუ იმ სუბკულტურასთან მიკუთვნებულობის „პირობებს“

იმისგან დამოუკიდებლად, მიიჩნევა თუ არა თავს მის მიმდევრად.

სოციალური მეცნიერები, რომლებიც სუბკულტურების ფენომენს იკვლევენ, მათ არსებობას ნებისმიერ ურბანულ საზოგადოებაში სავსებით ნორმალურად მიიჩნევენ. სუბკულტურა, როგორც წესი, სწორედ მეინსტრიმული, „ჰეგემონური“



ქართულმა მედიამ „ჩვეულებრივ“ ახალგაზრდებს შორის გოთები, პანკები, თუ სატანისტები რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინა და მას შემდეგ მხოლოდ მათი საკრალიზებითაა დაინტერესებული.

საზოგადოების მიერ დამკვიდრებული ნორმების საპასუხოდ ჩნდება. ეს პატარა სოციალური ჯგუფები, საკუთარ ფილოსოფიას, ცხოვრების სტილს, მუსიკას და ესთეტიკას ქმნიან და სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მიმზიდველნი ხდებიან თვითგამორკვევის პროცესში მყოფი ახალგაზრდებისთვის, როცა ისინი გარემოს და მშობლებს უჯანყდებიან და, ამავე დროს, მხარდამჭერებს, თანამოაზრეებს ეძებენ.

ქართულმა მედიამ „ჩვეულებრივ“ ახალგაზრდებს შორის გოთები, პანკები, ემოები თუ სატანისტები რამდენიმე წლის აღმოაჩინა და მას შემდეგ მათი საკრალი-

ზებით უფროა დაინტერესებული, ვიდრე იმის გარკვევით, თუ რა უბიძგებს მოზარდს სუბკულტურებში გაერთიანებისკენ.

ამ ჯგუფების კვლევით ქართველი სოციოლოგები და ფსიქოლოგებიც იშვიათად ინტერესდებიან. არადა, ფსიქოლოგის საშუალო კვალიფიკაციაც კი კმარა იმისთვის, რომ მოზარდების ასაკის თავისებურებების და რისკების შესახებ ვიცოდეთ და მათ აგრესიულ თუ დესტრუქციულ ქცევას ყოველთვის სუბკულტურული რიტუალების შესრულება არ დავარქვათ.

ტელეკომპანია „იმედის“ 5 მაისის ქრონიკის სიუჟეტმა ქართველი „სატანისტების“ შესახებ, რომლებიც შეთავსებით „გოთებიც“ აღმოჩნდნენ, კარგად აჩვენა ეს ზედაპირული მიდგომა. საკუთარი იდენტობის ძიებასა და გარემომყოფებთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების სახით ჟურნალისტებმა საზოგადოებას ახალი მტრის ხატი მოუფლინეს. სიუჟეტში ჟურნალისტი ცდილობდა, მოზარდების საქმიანობა „სატანისტობად“ მოენათლა, ამის ნიშნები კი მათ დაკანონულ ხელებსა და მათ მიერ კატების მოკვლაში დაენახა. თავად მოზარდებს კი, პრობლემებზე საუბრის ნაცვლად, გაურკვეველი პროფესიის ექსპერტის დასკვნა შესთავაზეს იმის შესახებ, რომ მათ მომავალი არ აქვთ და ვერც სტაბილური ოჯახის შექმნას შეძლებენ. კარგად გამოჩნდა მშობლების დამოკიდებულებაც, რომლებიც მოზარდებს ასეთი ქმედებისას მხოლოდ სჯიან, ან ცდილობენ, საფრთხეს მონასტერში გაგზავნით გაარიდონ და არა ფსიქოლოგის დახმარებით.

„ძალიან გულდასაწყვეტი იყო, რომ ვერც ერთი მესიჯი, რომელიც ამ ბავშვების საუბარში ჩანდა, ჟურნალისტმა ვერ გაიგონა“, – ამბობს ფონდის „გლობალუ-




რი ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფსიქოლოგი, ჯანა ჯავახიშვილი. „ერთმა თქვა, რომ პირადი პრობლემები მაქვს, რომელსაც ვერ ვაგვარებ და თავს ვიზიანებ. მეორემ – სასაფლაოზე ავდივარ, რადგან იქ განმსჯელი თვალთ არავინ მიყურებსო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეს ბავშვები ვერც სკოლაში, ვერც სახლში ჰარმონიულ ურთიერთობებს ვერ პოულობენ“.

თავის დროზე სოციალურად აქტიურმა სუბკულტურებმა, მაგალითად, პანკების და ჰიპების მოძრაობამ, უკვე დიდი ხანია, პირველადი კონტექსტი დაკარგა, მათი სავიზიტო ტანსაცმელი და აქსესუარები კი მსოფლიო მოდამ წარმატებულ კომერციულ პროდუქტად აქცია. ამ ფონზე მეცნიერებისთვის თანამედროვე ეპოქის სუბკულტურების კვლევა სწორედ მოზარდების ქცევის შესწავლის მიზნითაა საინტერესო. მაგალითად, 2006 წელს გლაზგოს უნივერსიტეტში ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვითაც გაირკვა: თანამედროვე გოთებში თვითდაზიანებისა და სუიციდისადმი მიდრეკილება იმაზე მაღალია, ვიდრე სხვა ჯგუფებში. გამოკითხული გოთების ნახევარზე მეტი (53%) ამბობდა, რომ თვითდაზიანების მცდელობა ჰქონიათ, 47 პროცენტს კი – სუიციდიც უცდია. თუმცა კვლევის ავტორები ასევე განმარტავდნენ, რომ რესპონდენტები ამგვარ პრაქტიკას მანამ მიმართავდნენ, ვიდრე სუბკულტურას შეუერთდებოდნენ. ამიტომ მკვლევრებმა დაუშვეს, რომ სუბკულტურა კი არაა მათში თვითაგრესიის პროვოცირების მიზეზი, არამედ მოზარდებს უბრალოდ მსგავსი მიდრეკილებების მქონე თანატოლების გაერთიანებები იზიდავთ. *British Medical Journal*-ის განმარტებით კი, შეიძლება სწორედ ამიტომ თვითდაზიანების ან სუიციდისკენ მიდრეკილი მოზარდებისთვის სუბკულტურებში გაერთიანებას დადებითი შედეგიც ჰქონდეს, რადგან ისინი იქ პოულობენ თანამოაზრეებს, ვისგანაც სოციალურ და ემოციურ მხარდაჭერას იღებენ.

18 წლის გოგონა, პირობითი სახელით თაკო, „ლიბერალთან“ საუბარში იხსენებს, რომ დედასთან და სკოლასთან გართულებული ურთიერთობა გახდა იმის საბაბი, რომ თანამოაზრეები სხვაგან ეძებნა

და რამდენიმე წლის წინ ასე მოხვდა თბილისელი ემოების ჯგუფში. თანატოლები ინტერნეტით გაიცნო, შემდეგ კი შეხვდა და დაუმეგობრდა კიდევ მათ. თაკოს და მის თანამოაზრეებს განსხვავებულად ეცვათ – შავი, უფორმო მაისურები, ფრჩხილებზე – შავი ლაქი, შავი ჩრდილით შეღებილი თვალელები და თვალელებზე ჩამოფხატული ვარცხნილობა. თაკოს ასეთ გარდაქმნას დედა ვერ შეეგუა. მან გაიგო, რომ ქალიშვილი სკოლასაც ხშირად აცდენდა და ბავშვის „ჭკუაზე მოყვანა“ მისი დასჯით დაიწყო. შედეგად თაკო კიდევ უფრო გაუუცხოვდა დედას. პროტესტს კი ტიპური აგრესიული ქცევებით ავლენდა – სახლში საკუთარ თუთიყუშს აწვალებდა და, რაც მთავარია, საკუთარი თავის დაზიანებასაც ცდილობდა.

ჯანა ჯავახიშვილის თქმით, ასეთი ქცე-



■ „მოზარდების აგრესიული ქცევა ან თვითდაზიანების მცდელობა, ხშირად ამა თუ იმ სუბკულტურაში მიღებული წესებით კი არაა გამოწვეული, არამედ ამ ბავშვების პირადი პრობლემებით“.

ვა ყოველთვის სიგნალი უნდა გახდეს მშობლებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, რომ ეს მოზარდები „ჩვეულებრივ“ გარემოში თავს კარგად ვერ გრძნობენ. „თუ საკითხს ასე შევხედავთ, მაშინ იმის დანახვაც არ გაგვიჭირდება, რომ მოზარდების აგრესიული ქცევა, თვითდაზიანების მცდელობა ან ცხოველების წვალეობა, ხშირად ამა თუ იმ სუბკულტურაში მიღებული წესებით კი არაა გამოწვეული, არამედ ამ ბავშვების პირადი პრობლემებით“, – ამბობს ჯავახიშვილი.

თუმცა, ფსიქოლოგები თანხმდებიან იმაზეც, რომ ხშირად სუბკულტურაში გაწევრიანება შეიძლება სერიოზული პრო-

ბლემის ნიშანი არც იყოს. ამიტომ ამისგან მშობელმა ტრაგედია არ უნდა შექმნას. ზოგჯერ ეს მხოლოდ სახადია, რომელსაც ადამიანი მოზარდობის ასაკში, ღირებულებათა ფორმირებისას იხდის. ოჯახისგან სათანადო ყურადღება კი სწორედ ამ პროცესში სჭირდება.

20 წლის ანა ნიკოლაძე იხსენებს, რომ ყველაფერი მე-9 კლასში გოთიკური მუსიკის მოსმენით დაიწყო და ამ სუბკულტურასაც ასე დაუახლოვდა. მისთვის ამ ჯგუფში გაწევრიანების მიზეზი არც მშობლებთან დაპირისპირება გამხდარა. ოჯახური კონფლიქტის თავიდან აცილების მიზეზი შესაძლოა, ისიც იყო, რომ ანას სწავლისადმი ინტერესი არ შენელებია და იმის პარალელურად, რომ გოთიკურ მუსიკას უსმენდა და შესაბამის ლიტერატურას კითხულობდა, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა. სწავლას და ძველ მეგობრებთან ურთიერთობას, ანა უპრობლემოდ უთავსებდა ახალ, გოთ მეგობრებთან ერთად სასაფლაოზე სიარულს და იქ მათთვის საინტერესო თემებზე მსჯელობას.

„ხელების დაკანერაც მიცდია, ოღონდ ეს არც ვენების გადაჭრა ყოფილა რაიმეს პროტესტის მიზნით. უბრალოდ, მასხოვს, რომ კანზე სისხლის წამოსვლა იყო შეგრძნება: „ვაჟ, რა მაგარი ვარ“, – იხსენებს ახლა ანა სიცოცხლით.

მიუხედავად იმისა, რომ „ლიბერალის“ ორივე რესპონდენტს – ანასაც და თაკოსაც – სუბკულტურაში გაერთიანების სხვადასხვა მიზეზი ჰქონდათ, დღეს ისინი ამ ყველაფერს საკუთარ წარსულად აღიქვამენ. თაკო წელს სკოლას ამთავრებს და ფსიქოლოგთან კონსულტაციების შემდეგ უკვე თვითაგრესიულიც აღარაა. ანა კი ამბობს, რომ გოთიკა მის ცხოვრებაში მხოლოდ მუსიკალური ფანრის სახით დარჩა, ხელების გადასერვის და სასაფლაოებზე სიარულის „სახადი“ კი დიდი ხანია, მოიხდა.

ჯანა ჯავახიშვილი ამბობს, რომ სუბკულტურა არაა ის ერთადერთი პრობლემა, რასაც მშობლებმა შვილის მოზარდობის ასაკში უნდა მიაქციონ ყურადღება. შესაძლოა, ბავშვი ამ ასაკში გარემოს სულ სხვა მეთოდებით დაუპირისპირდეს. გაეროს ნარკოტიკებისა და კრიმინალის

სტატისტიკასაც აჩვენებს, რომ აგრესიის და თვითაგრესიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ ამ ასაკობრივ სეგმენტშია.

ამიტომ ფსიქოლოგები ამბობენ, რომ კარგი იქნება, ქვეყანაში ბავშვების კანონდამრღვევი ქცევის პრევენციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და ინსტიტუციური მექანიზმები იყოს შექმნილი და პრობლემების მქონე მოზარდების დახმარება პროფესიონალებმა შეძლონ.

„თბილისში, ერთ-ერთ უბანში გაიხსნა ოჯახზე და ბავშვზე ზრუნვის ცენტრი, იმ ერთ რაიონში ფსიქოლოგები პრობლემურ მოზარდებსაც ეხმარებიან. მართალია, კიდევ არის მიმოფანტული სხვადასხვა ორგანიზაცია, მაგრამ მსგავსი ცენტრების მომსახურება ხშირად

ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა – ფსიქოლოგის მომსახურებაში ფული უნდა გადაიხადო“, – ამბობს ჯავახიშვილი და დასძენს, რომ ბევრი მშობელი ამას არ აკეთებს, რადგან ჰგონია, გაურჩეულ შვილს დასჯით, ან რამე სხვა თვითნასწავლი მეთოდით გაუმკლავდება.

ჯავახიშვილი ამბობს, რომ ერთ-ერთ ასეთ ცენტრში სტატისტიკის გაანალიზებისას სწორედ ეს პრობლემა გამოიკვეთა. აღმოჩნდა, რომ ცენტრში მისული მოზარდების 84 პროცენტის შემთხვევაში პრობლემა ოჯახში აღზრდის არასწორი სტილი იყო, 50 პროცენტის შემთხვევაში სიტუაციის გამწვავებას ოჯახური ძალადობის ფაქტები ინვევდა, 40 პროცენტის შემთხვევაში კი – ოჯახური კონფლიქტები.

„ამით იმის თქმა მინდა, რომ იქ, სადაც აღზრდის სტილი არასწორია, მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაცია ირღვევა, შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მოზარდი სხვაგან, სხვა ფასეულობების ძიებას იწყებს. სუბკულტურებში გაერთიანებაც ხშირად ამის მაჩვენებელია. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ფატალური“, – ამბობს ჯავახიშვილი.

თუმცა, იმ ფონზე, როცა მშობლები ხშირად საკუთარი შვილის აგრესიული ქცევის მიზეზს ვერ ხედავიან, მედია კი მოზარდების აგრესიას და უცნაურ რიტუალებს „სატანიზმად“ ნათლავს, იზრდება იმის საფრთხეც, რომ ერთჯერადი „სახადი“ გართულდეს და სუბკულტურებს თავშეფარებული მოზარდები საზოგადოებისგან კიდევ უფრო გაირიყონ. ■



დაინყუ ბიზნესი



მარკ მალენი

რამდენი ადამიანი აირჩევდა სტაბილურ სამსახურს და რამდენი – საკუთარი ბიზნესის ფლობას და საკუთარი თავის უფროსობას, ქვეყნის შესახებ საინტერესო სტატისტიკაა. ეს ზომავს მენარმეობას. ამერიკასა და ჩრდილოეთის ქვეყნებში მოსახლეობის ორ მესამედს სურს, საკუთარი თავის უფროსი თავად იყოს. სამხრეთ ევროპაში კი ორ მესამედს სტაბილური სამსახური ურჩევნია. ანდაზის მიხედვით – „სამსახური ყველას უნდა, მუშაობა – არავის“.

მენარმეობა მნიშვნელოვან საზრუნავადაა ქვეყნის ისეთ ადგილებში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი. ასეთი ქვეყნები აცნობიერებენ, რომ მენარმეებს ეკონომიკის მნიშვნელოვანად გამდიდრება შეუძლიათ, რის მაგალითადაც ხშირად სილიკონის ველი მოჰყავთ. შეერთებულ შტატებში მილიონობით ადამიანი იწყებს საკუთარ მცირე ბიზნესს და სტატისტიკურად, ამ მცირე ბიზნესებს მეტი წვლილი მიუძღვის ეკონომიკის განვითარებაში, ვიდრე დიდ დამსაქმებლებს.

ტრადიციულად, ეკონომიკური ზრდის განვითარების გზა ინდუსტრიალიზაცია იყო: დიდი ქარხნების აშენება. ამ გზას ბევრი სამხრეთ აზიური ქვეყანა დაადგა და ამან მართლაც განაპირობა მათი ეკონომიკური ზრდა. თუმცა, შეერთებულ შტატებში ქარხნები იხურება, მაგრამ ეკონომიკას მაინც რიგიანად მისდის საქმე. ამის მიზეზი, ნაწილობრივ, ისაა, რომ ამერიკაში უამრავი ახალი ბიზნესი იწყება. აზიურ პროდუქტთა უმეტესობის დიზაინი ამერიკაში იქმნება. მათი ბრენდებიც ამერიკული კომპანიების მფლობელობაშია. ამ კომპანიათაგან მრავალი ახალია და სწრაფად იზრდება.

ამას კულტურული მიზეზიც აქვს. ამე-

რიკელთა უმეტესობა იმ ადამიანთა შთამომავალია, ვინც საკუთარი სამშობლო დატოვა. მათი შთამომავლები კი შესაძლოა, მეტად აფასებდნენ დამოუკიდებლობას. ასევე, ამერიკელები, როგორც წესი, იმ ადამიანებს უფრო მეტ პატივს სცემენ, რომლებმაც საკუთარი ბიზნესი

■ ბევრს ჰგონია, რომ ბიზნესის დაწყებას მეტი ფული სჭირდება ვიდრე ეს სინამდვილეშია, რომ დაფინანსება უფრო ძნელი მოსაპოვებელია ვიდრე სინამდვილეშია, და ბევრს ჯერ კიდევ ეშინია, რომ ყველაზე პატარა შეცდომა ბიზნესს დააკარგვინებს და ციხეში ამოაყოფინებს თავს.

დაიწყეს, ვიდრე მათ, ვისაც უსაფრთხო და მოსაწყენი სამსახურები აქვთ ან მთავრობაზე მუშაობენ. რისკზე წამსვლელებს და შორსმჭვრეტელებს დიდად აფასებენ. რა თქმა უნდა, მარცხისგან დაზღვეული არავინაა – ნებისმიერმა წარმატებულმა მენარმემ შეიძლება მარცხი განიცადოს, სანამ პირველ წარმატებას მიაღწევს. მაგრამ ეს არავის აფერხებს – აქედან ცნო-

ბილი ტერმინიც კი მოდის – „fail fast“ (მაღე დამარცხდი). რაც იმას ნიშნავს, რომ შეცდომების დაუშვებლად ვერავინ სწავლობს, ამიტომ ეს შეცდომა მაღე უნდა დაუშვა და აღარასოდეს გაიმეორო.

სამხრეთ ევროპაში, სადაც კანონის უზენაესობა და საკუთრების უფლება დაბალ დონეზეა, ადამიანებს რომლებიც წარმატებულ ბიზნესებს იწყებდნენ, ან უსამართლო გადასახადების გადახდა უნევდათ ან საერთოდ ართმევდნენ ბიზნესებს. დროთა განმავლობაში, ამ ადამიანთაგან ბევრმა მთავრობაზე მუშაობა და იმ მხარეს ყოფნა არჩია, რომელიც გადასახადებს აგროვებს. ასეთი სამუშაო არ იყო რთული და უსაფრთხოც იყო. საქართველოში ადამიანები უმეტესად ფლობდნენ მინას და მას ამუშავებდნენ. აქ ჯერ კიდევ არსებობს განცდა, რომ კომერცია ვიღაც სხვა ადამიანების საქმეა. იმ ფაქტს, რომ საქართველოში ახლა კაპიტალისტური ეკონომიკაა, ჯერ ყველას თავში არ შეუღწევია. სამაგიეროდ, ეს ამცირებს კონკურენციას, რაც მენარმესთვის მომგებანია. არსებობს მრავალი წუხილიც – ბევრს ჰგონია, რომ ბიზნესის დაწყებას მეტი ფული სჭირდება, ვიდრე ეს სინამდვილეშია, რომ დაფინანსება უფრო ძნელი მოსაპოვებელია, ვიდრე სინამდვილეშია, და ბევრს ჯერ კიდევ ეშინია, რომ ყველაზე პატარა შეცდომა ბიზნესს დააკარგვინებს და ციხეში ამოაყოფინებს თავს. ამასობაში, სამთავრობო ინიციატივები და ახალი კანონები ისეთი სისწრაფით ჩნდება, რომ თუ ინიციატივა შენს სექტორს შეეხო, დღე-ღამეში შეიძლება შეცვალოს ყველაფერი.

გამჭვირვალობის ნაკლებობაც სერიოზული საფრთხეა. ეკონომიკის სათავე, ანუ მთავრობა ძალიან ჩართულია უდი-

დეს ეროვნულ პროექტებში. მაგრამ თუ რა მოუვათ ამ პროექტებს, რომელი კანონები შეიცვლება და როგორი სურათი შეიქმნება, დამოკიდებულია ადამიანთა მცირე ჯგუფის გადაწყვეტილებაზე და ამის შესახებ საზოგადოება გვიან იგებს. მენარმეობა შეიძლება ძალიან სარფიანი იყოს მაშინ, როცა ან ამ მცირე ჯგუფის წევრი ხარ და ან მასთან დაკავშირებული, მაგრამ მას, ვინც არცერთ ამ კატეგორიას არ განეკუთვნება, რთული გზა ელის.

ეს პრობლემა რთულდება იმით, რომ მთავრობას არ აქვს გრძელვადიანი ცენტრალური ეკონომიკის პოლიტიკა. საწყისი გეგმა შევარდნაძის გადადგომის შემდეგ, როდესაც ქართული ეკონომიკა, პრაქტიკულად, არ არსებობდა, იყო ის, რომ ბაზარი თვითდინებაზე მიეშვათ. ყო-

გის წარმოებაში. ბიზნესის წამოწყებასა და ეკონომიკის მართვაში დაგეგმვა ყველაზე მნიშვნელოვანია.

ზოგი იტყობდა, რომ მხოლოდ გიჟი დაიწყებდა ამ სიტუაციაში ბიზნესს. მენარმე კი იტყობდა, რომ ილბალი მხოლოდ გაბედულს სწყალობს.

როგორ იწყება ბიზნესი? ჯერ იდეით, შემდეგ დანერილი გეგმით, რომელიც ფინანსებსაც მოიცავს, მიზნებსაც, კონკურენციასაც, მარკეტინგსაც, ასევე — მფლობელობას, მენეჯმენტს და წყობილებას. იდეა ყველაზე სახალისო ნაწილია, მაგრამ ყველა წარმატებულ რისკს გააჩნია წინასწარ დანერილი გეგმა. განზრახვების და გეგმების ფურცელზე გადმოტანა სისუსტეებს ააშკარავებს და ფინანსების მოძიების დროც დგება.

ახალი ჯგუფი იჩენს თავს, რომელთაც რისკიანი კაპიტალისტები ჰქვიათ. ჯერ-ჯერობით, საქართველოში არც ისე ბევრი ანგელოზი და რისკიანი კაპიტალისტი. ბანკები უზვადაა, მაგრამ ისინი სესხის სანაცვლოდ რამის ჩადებას ითხოვენ.

ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია დაიწყოს ბიზნესი. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და უძველესი ბიზნესი ვაჭრობაა. ახალგაზრდა ადამიანებს უჩნდებათ იდეა, მიჰყიდონ თავისი თაობის ადამიანებს საგნები, რომლებიც ადრე არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენდა. მენარმეები თავიანთი ბუნებით ძალიან შემოქმედებითი, მეოცნებები და შეუპოვრები არიან. ქართულ სკოლებში არსებული მრავალი პრობლემიდან ერთ-ერთი არის ის, რომ არ ხდება იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება და ნახალისება, რაც აუცილებელია ახალი ბიზნესის დასაწყებად. საუკეთესო მოსწავლედ ითვლება მოსწავლე, რომელიც რაც შეიძლება ნაკლებ შეცდომას უშვებს სამუშაოს შესრულებისას და არა ის, ვინც ახალი წამოწყებების მცდელობით გამოირჩევა.

საქართველომ ქვეყანაში სამენარმეო გარემოს გასაუმჯობესებლად გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა. მაგალითად, საქართველოში მთელ მსოფლიოსთან შედარებით, ყველაზე ადვილია ბიზნესის დარეგისტრირება. ასევე საგადასახადო კოდექსიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით მარტივია. ახლა სკოლებმა უნდა ნახალისონ ხედვის გამომუშავება და რისკის შეფასება. ადამიანებს არ უნდა ემინოდეთ უცნობ ადამიანებთან ერთად ინვესტიციების განხორციელების, ამას კი მაღალი სოციალური ნდობა სჭირდება. ქვეყნები, სადაც მენარმეობა მაღალ დონეზე დგას, მაღალი ნდობის საზოგადოებით გამოირჩევიან. საქართველოში ეს ნდობა არ არსებობს, მაგრამ ეს ნელ-ნელა გამოსწორდება.

ასე რომ, თუ მომავალში თქვენი მეგობარი ან ნათესავი გაგიზიარებთ ახალ ბიზნეს-იდეას, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი პირველი ინსტინქტი იქნება პრობლემების და სირთულეების ჩამოთვლა, უმჯობესია მოუსმინოთ მას ბოლომდე და ნახალისოთ მისი წამოწყება. ■



ველ შემთხვევაში, ასე ამბობდა მთავრობა. ამ კონცეპტუალურმა მოდელმა არც ისე წარმატებით იმუშავა. საბოლოოდ, ეს იმას ნიშნავდა, რომ მთავრობას შეეძლო იმ სექტორში ჩარეულიყო, რომელშიც მოისურვებდა და როცა მოისურვებდა. ქვეყნების უმრავლესობას, რომლებმაც ბოლო დროს მაღალი ეკონომიკური ზრდა განიცადეს, გააჩნდათ გეგმა საკვანძო სექტორებისათვის ეკონომიკაში და ენერ-

პირველი ინვესტორები, როგორც წესი, მეგობრები და ოჯახის წევრები არიან ხოლმე. მათ შეუძლიათ, გაასესხონ ფული, მაგრამ ამერიკაში მაინც, როგორც წესი, ადრეული სტადიის ინვესტორებს უნდათ ხოლმე ბიზნესის მენილეები გახდნენ ინვესტიციის სანაცვლოდ. მათ „ანგელოზებს“ ეძახიან. მას შემდეგ, რაც ბიზნესი დაწყებულია და მუშაობს და რაღაცა სახის წარმატებას აჩვენებს, ინვესტორთა

თვალსაზრისი

სახელმძღვანელოები და ხელმძღვანელობა




ტელევიზიით სახელმწიფო მოხელეების დაპატიმრების ჩვენება საკმარისია იმისთვის, რომ გამომცემლობას არ გაუჩნდეს სურვილი, ქრთამით მოიპოვოს უპირატესობა სახელმძღვანელოების ბაზარზე?

სიმონ ჯვანაშია

13 ივნისს ტელევიზიით გვაჩვენეს, როგორ დააკავეს შპს „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებლები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კონსტიტუციური უსაფრთხოების სამინისტროს ერთობლივი მუშაობის შედეგად. დაკავების მიზეზი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, იყო ის, რომ ბიზნესმენები სამინისტროს მალაჩჩინოსანს ქრთამს სთავაზობდნენ უცხოეთიდან შემოტანილი წიგნებისთვის სახელმძღვანელოს გრიფის მისანიჭებლად. ამასთან, თუ სკოლებისთვის სავალდებულოც გახდებოდა, მაშინ სამინისტროს თანამშრომელი მოგების 33 პროცენტსაც მიიღებდა.

სამინისტროს საიტზე ვკითხულობთ: „სამწუხაროდ, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მოქალაქე ვერ აცნობიერებს იმას, რომ ნეპოტური და კორუფციული გარიგებების დრო დასრულდა. ნებისმიერი უკანონო ქმედება მკაცრად კონტროლდება და მას კანონის შესაბამისი რეაგირება მოჰყვება“.

ეს შემთხვევა საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით. ჩემთვის, პირველ რიგში, ჩნდება კითხვა: არის კი კონტროლი და რეაგირება საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ არაკეთილსინდისიერმა მოქალაქემ გააცნობიეროს ერთი მთავარი რამ:



■ თუ მაკმილანის გამომცემლობის წიგნები ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ისედაც არსებობდა, მაშინ რას ნიშნავს მემორანდუმი, რომელიც დიმიტრი შაშკინმა ამ გამომცემლობასთან გააფორმა?

ნეპოტიზმისა და კორუფციის გზით წარმატების მიღწევა შეუძლებელია? შეიძლება ეს კითხვა ამ კონკრეტულ კონტექსტს კიდევ უფრო მოვარგოთ და საკითხი ასე დავაყენოთ: ტელევიზიით სახელმწიფო მოხელეების დაპატიმრების ჩვენება საკმარისია იმისთვის, რომ რომელიმე გამომცემლობას არ გაუჩნდეს სურვილი, ქრთამით მოიპოვოს უპირატესობა სახელმძღვანელოების ბაზარზე?

როგორც კონკრეტული ფაქტი მეტყველებს, კონტროლის, რეაგირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სატელევიზიო ფორმები არ არის ყოველთვის ეფექტური სახელმძღვანელოების გრიფირების სფეროში კორუფციის დასაძლევად. გრიფირების სისტემაში ნეპოტიზმი და კორუფცია წარმატების მიღწევის საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში აღარ იქნება, თუ თვითონ გრიფირების სისტემა გაიმართება, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ადმინისტრირების უფრო ეფექტურ პრაქტიკას დაწერგავს.

ახლანდელი სისტემისა და პრაქტიკის შესაფასებლად კი მნიშვნელოვანია დავსვათ კითხვა, რამ გაუჩინა „კავკასიის აკადემიური ცენტრის“ დამფუძნებლებს მოტივაცია, რომ გრიფირების სანაცვლოდ სამინისტროს თანამშრომლისთვის ქრთამი შეეთავაზებინა?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცენტრს უხარისხო სახელმძღვანელოები ჰქონდა, რომლებიც გრიფირების მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებდა და სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი სახელმწიფოს წარმომადგენლის მოქრთამვა. თუმცა, ეს ვერსია არ არის დამაჯერებელი, რადგან ცენტრი ავრცელებდა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ შექმნილ წიგნებს.

მეორე კითხვა ეხება შემთხვევის დროს. რატომ გაუჩნდათ ცენტრის დამფუძნებლებს მოტივაცია, გრიფის მისაღებად ქრთამი გაეღოთ, მაინც და მაინც, წელს, როდესაც იმავე

ცენტრმა გრიფი შარშანაც მიიღო თავისი წიგნებისთვის? იკვთება რამდენიმე სავარაუდო პასუხი: მათ ან შარშანაც გადაიხადეს ფული გრიფის სანაცვლოდ და წელსაც აგრძელებდნენ გავრცელებულ პრაქტიკას, ანდა მას შემდეგ რაღაც შეიცვალა, რამაც ცენტრის დამფუძნებლებს ამ ნაბიჯის გადადგმა აიძულა. იქიდან გამომდინარე, რომ შარშანდელი კორუფციული გარიგებების შესახებ საზოგადოებას არაფერი გაუგია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქმე სახელმძღვანელოების გრიფირების სისტემის ცვლილებებთან გვაქვს.

2011 წელს შეიცვალა გრიფირების სისტემა და ამ სფეროში გავრცელებული პრაქტიკაც. დაიწყო საგანმანათლებლო ბაზარზე ალტერნატიული სახელმძღვანელოების რაოდენობის ხელოვნური შეზღუდვა. გარდა ამისა, ახალი სისტემის საშუალებით, სახელმწიფოს გაუჩნდა შესაძლებლობა, რომ უშუალოდ ჩარეულიყო სახელმძღვანელოების რეალიზაციის, ფასების დადგენისა და საავტორო უფლებების რეგულირების საკითხში.

გრიფირების სისტემა გახდა უფრო გაუმჭვირვალეც. ჯერ კიდევ შარშან სახელმძღვანელოსთვის გრიფის მისანიჭებლად საკმარისი იყო საგნობრივი ექსპერტების შეფასება, რომელთა ვინაობაც საჯარო იყო და წინასწარ გამოქვეყნებული სიის საშუალებით, გამომცემლობას ჰქონდა შესაძლებლობა, აცილებდა მიეცა არასასურველი ექსპერტისთვის. წელს არა მხოლოდ ეს შესაძლებლობა გაქრა, არამედ ზემდგომ კომისიას მიეცა უფლება, თვითონ გადახედოს საგნობრივი ექსპერტების შეფასებებს. გარდა ამისა, წელს გრიფირებისას აღარ გამოქვეყნებულა კონკურსში მონაწილე სახელმძღვანელოების სიაც.

ვითარება გაუარესდა პრაქტიკის თვალსაზრისითაც. 2011 წლის 15 თებერვალს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა და მაკმილანის გამომცემლობის წარმომადგენელს შორის გაფორმდა მემორანდუმი.

სამინისტროს საიტზე ვკითხულობთ: „მემორანდუმის თანახმად, 2011 წლის სექტემბრიდან საქართველოში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ მაკმილანის, მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობის, მიერ შექმნილი ინგლისური ენის სახელმძღვანელოებით შეისწავლონ ინგლისური ენა“. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნახსენებ თარიღამდე ქართველ მოსწავლეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, მაკმილანის წიგნებით ესწავლათ.

მაკმილანის გამომცემლობის ოთხი დასახელების და ორი დონის შესაბამისი ინგლისურის სახელმძღვანელო 2010-11 სასწავლო წელსაც იყო გრიფირებული. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ინფორმაციით, მაკმილანის სახელმძღვანელოები დაწყებითი საფეხურის პირველ დონეზე 2500 სკოლიდან 32 სკოლას, ხოლო მეშვიდე კლასის 46 სკოლას ჰქონდა არჩეული. შედარებისთვის გავიხსენოთ სტატისტიკა სხვა სახელმძღვანელოებთან მიმართებაში. ინგლისურში ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემული წიგნი, მესამე კლასში არჩეული ჰქონდა 38 სკოლას, ხოლო მეშვიდეში – 41 სკოლას. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის წიგნი მესამე კლასში არჩეული ჰქონდა 31 სკოლას. შესაბამისად, კემბრიჯისა და ოქსფორდის გამომცემლობების წიგნები, რომელთა ერთ-ერთი გამავრცელებლები დღეს დაჭერილები არიან, კონკურენციას უწევდნენ მაკმილანს.

თუ მაკმილანის გამომცემლობის წიგნები ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ისედაც არსებობდა, მაშინ რას ნიშნავს მემორანდუმი, რომელიც დიმიტრი შაშკინმა ამ გამომცემლობასთან გააფორმა? ლოგიკური იქნება, თუ ვიფიქრებთ (და შესაძლოა, ასე იფიქრეს „კავკასიის საგანმანათლებლო ცენტრის“ დამფუძნებლებმაც), რომ მაკმილანს ეს მემორანდუმი საშუალებას აძლევს, ინგლისური ენის სახელმძღვანელოების ქართულ ბაზარზე მხოლოდ თვითონ დარჩეს;

და რომ ეს სახელმძღვანელო გრიფს მიიღებს იმის მიუხედავადაც, თუ როგორ შეაფასებენ მას საგნობრივი ექსპერტები.

ეს ორივე ვერსია დღეს უკვე ფაქტითაა განმტკიცებული: ახლა, როცა გრიფირების პროცესი უკვე დასრულებულია, ერთადერთი გამომცემლობა, რომლის სახელმძღვანელოებმაც ინგლისურ ენაში გრიფი მიიღეს, სწორედ მაკმილანია. ამით, მაკმილანს ეძლევა საშუალება, რომ დაწყებით საფეხურზე, კონკურენტების გარეშე იმოქმედოს საგანმანათლებლო ბაზარზე.

როდესაც ერთი გამომცემლობა ხედავს, როგორ იღებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებას და როგორ აძლევს გრიფის გარანტიას კონკრეტულ გამომცემლობას ჯერ კიდევ კონკურსის დაწყებამდე, ამ დროს გასაკვირი არ იქნება, თვითონაც გაუჩნდეს სურვილი მსგავსი პრივილეგია კონკურსის გარეშე, ან რაიმე სხვა საშუალებებით მოიპოვოს, თუნდაც ეს საშუალება ქრთამი იყოს.

განხილული მაგალითი კარგი ილუსტრაციაა იმის დასაანახავად, რომ მოტივაცია კორუფციისთვის ისევე, როგორც კორუფციის პოტენციური სახელმძღვანელოების გრიფირების სისტემაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა. სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ: შემცირდა იმის ალბათობა, რომ არაკეთილსინდისიერმა მოქალაქემ გააცნობიეროს – ნეპოტიზმი და კორუფცია წარმატების მომტანი გზა აღარ არის. იმისთვის, რომ კორუფციის და ნეპოტიზმის გამოვლინებები შემცირდეს, მნიშვნელოვანია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნაკლებად ჩაერიოს სახელმძღვანელოების ბიზნესის რეგულირებაში და ეს სფერო უფრო მეტად ლიბერალური და საბაზრო ეკონომიკაზე უფრო მეტად დაფუძნებული გახადოს. ■

ქაჩიშხის შედეგ



დავით ბუზრიკიძე



პრემია „დურუჯი“ ნომინაციაში „საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესა“ გადაეცა ლაშა ბუღაძეს, ყვარელი, 11 ივნისი 2011

თეატრალური და არცთუ ჯანსაღი მომიჯნავე ვნებანი, რომლებიც წლის ყველაზე მნიშვნელოვან თეატრალურ პრემია „დურუჯს“ უკავშირდება, უკვე ჩავლილია. შესაბამისად, ჟიურის გადაწყვეტილების შეფასება თუ რევიზია სინდისის ქენჯნის გარეშე, თავისუფლად შეიძლება. დაჯილდოების საზეიმო ცერემონია, ტრადიციულად, ყვარელში, კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა. ერთსაათიანმა ქარიშხალმა და წვიმამ, რომელიც შექსპირის „მეფე ლირის“ ცნობილ სცენას უფრო შეესაბამებოდა, ჟიურის წევრის, ნანუკა ხუსკივაძის დაპირებული შთამბეჭდავი ცერემონია ეზოში მოწყობილ სცენაზე ვერაგულად ჩაშალა. ამიტომ „ჯეოსტარით“ შობილ ვარსკვლავებს ცნობილი პიტების შესრულება (სპექტაკლები „ჭინჭრაქა“, „პეპო“, „ხანუმა“, „ძველი ვოდვეილები“, „ეზოში ავი ძაღლია“)

მარჯანიშვილის ცნობილ მარანში მოუწიათ. იქვე, ქვევრებსა და ჭურებს შორის, სახელდახელოდ იმპროვიზირებულ სცენაზე გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. ჟიურიმ, რომელიც ხუთი წევრისგან შედგებოდა (ნიკა წლუკიძე, ბასა ჯანიკაშვილი, მაკა ვასაძე, მიშა კალანდარიშვილი, ნანუკა ხუსკივაძე) ხუთ ნომინაციაში გამარჯვებული დაასახელა. ის ფაქტი, რომ 2011 წელს კონკურსზე 36 განაცხადი წარადგინეს, 2010 წელს კი მხოლოდ 21, ნიშნავს, რომ „დურუჯი“ მაინც ყველაზე მნიშვნელოვან თეატრალურ პრემიად რჩება საქართველოში. შეგახსენებთ, რომ 2009 წელს დაარსებული დამოუკიდებელი თეატრალური პრემია „დურუჯი“ ჟიურის დახურული კენჭისყრის შედეგებით სოლიდურ ოცი ათას ლარს გასცემდა საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის.

პირველი კონკურსის გამარჯვებული ლევან წულაძე გახდა, მარჯანიშვილის თეატრში დადგმული სპექტაკლისათვის „ქალი ძაღლით“. 2010 წელს – დავით დოიაშვილი მუსიკასა და დრამის თეატრში დადგმული „მაკბეტისთვის“, ხოლო 2011 წელს თეატრის მუზამ და ჟიურიმ, ფავორიტად ისევ ლევან წულაძე დასახელდა, რომელმაც მარჯანიშვილის თეატრში დადგმული საკმაოდ დახვეწილი, აქტუალური და ასე ვთქვათ, „მსახიობური“ სპექტაკლისათვის „ჟოლო“, პრემია „დურუჯი“ ისევ დაიმსახურა.

2011 წლიდან პრიზების არეალი გაფართოვდა. „საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი“ 14 ათასი ლარით განისაზღვრება; „საუკეთესო მსახიობი ქალის“, „საუკეთესო მსახიობი მამაკაცის“ და 2010-11 წლის სეზონში დადგმული „საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის“ ავტორის პრემიის ოდენობა – 2 ათასი ლარით. გარდა

4. „ბაკულას ღორები“, დავით კლდიაშვილის მიხედვით (რეჟისორი – დავით ჯიშკარიანი, ქუთაისის ნიღბების თეატრი).

5. „ბარიერი“, პავლე ვეჟინოვის მიხედვით (რეჟისორი – ლევან ნიქვაძე, ლაგოდეხის სახალხო თეატრი).

„საუკეთესო მსახიობი ქალი“

1. კატო კალატოზიშვილი სპექტაკლში „მახინჯი“ (რეჟისორი – დათა თავაძე, თბილისის სამეფო უბნის თეატრი).

2. ნატო მურვანიძე სპექტაკლში „ჟოლო“ (რეჟისორი – ლევან წულაძე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი).

3. ნანა ფაჩუაშვილი სპექტაკლში „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო“ (რეჟისორი – ქეთი დოლიძე, თეატრი ათონელზე).

4. ქეთი ჩაჩუა სპექტაკლში „გოდოს მოლოდინში“ (რეჟისორი – გიორგი აფხაზავა, მიხეილ თუმანიშვილის სა-

4. გიორგი ნაკაშიძე სპექტაკლში „გოდოს მოლოდინში“ (რეჟისორი – გიორგი აფხაზავა, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი).

5. სოსო ხვედელიძე სპექტაკლში „მახინჯი“ (რეჟისორი – დათა თავაძე, თბილისის სამეფო უბნის თეატრი).

ნომინაცია „საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესა“

1. თამარ ბართაია „მთავარი როლი“ (რეჟისორი – გეგა ქურციკიძე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი).

2. ლაშა ბულაძე „ნაფტალინი“ (რეჟისორი – ირაკლი გოგია, ახალციხის სახელმწიფო დრამატული თეატრი).

3. ლაშა ბულაძე „ვიდრე მთავარ გმირს ეძინა“ (რეჟისორი – ირაკლი გოგია, ფოთის ვალერიან გუნიათაძის სახელმწიფო თეატრი).

4. ლაშა თაბუკაშვილი – „ათვინიე-

■ პრემია „დურუჯის“ მუდმივი პრობლემა – არჩევანი ესთეტიზმს, სოციალურობას, აქტუალურობასა და თანამედროვეობას შორის.

ამისა, „საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის ნომინაციაში“ გამარჯვებულისთვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სპეციალური პრიზი, 10 ათასი ლარი დაანება.

„საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი“

1. „ჟოლო“, კოკი მიტანის მიხედვით (რეჟისორი – ლევან წულაძე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი).

2. „ჩემი ჰამლეტი“, უილიამ შექსპირის მიხედვით (რეჟისორი – ბესო კუპრეიშვილი, „თითების თეატრი“ და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი).

3. „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო“ ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი (რეჟისორი – ქეთი დოლიძე, „თეატრი ათონელზე“).

ხელობის კინომსახიობთა თეატრი).

5. ქეთევან ცხაკაია სპექტაკლში „ჩემი ჰამლეტი“ (რეჟისორი – ბესო კუპრეიშვილი, „თითების თეატრი“ და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი).

ნომინაცია „საუკეთესო მსახიობი მამაკაცი“

1. ირაკლი გოგოლაძე სპექტაკლში „ქალაქის წვიმა“ (რეჟისორი – ნიკოლოზ საბაშვილი, „ახალი თეატრი“).

2. რევაზ თავართქილაძე სპექტაკლში „სულის სამჭედლო, ანუ სისხლი სისხლის წილ“ (რეჟისორი – გიორგი სავანელი, ილიას უნივერსიტეტის თეატრი).

3. ნიკა კუჭავა სპექტაკლში „ჟოლო“ (რეჟისორი – ლევან წულაძე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი).

რებენ მიმინოს“ (რეჟისორი – გიორგი სავანელი, ილიას უნივერსიტეტის თეატრი).

5. ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო“ (რეჟისორი – ქეთი დოლიძე, თეატრი ათონელზე).

კულტურის სამინისტროს სპეციალური პრიზი „საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი“

1. გიორგი აფხაზავა („გოდოს მოლოდინში“, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი).

2. იოსებ ბაკურაძე („როგორც იქნა“, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი).

3. დათა თავაძე („მახინჯი“, თბილისის სამეფო უბნის თეატრი).

4. ნიკოლოზ საბაშვილი („ქალაქის წვიმა“, „ახალი თეატრი“). ■

პეპეს ბიჭები



ვანო ხვინია



ჯო ზავინული

ამ ტექსტის წერა დაწყებული არ მქონდა, როცა ნინია კაკაბაძემ Facebook-ზე მომწერა – „ჯო ზავინულის ნაკლებად ჯაზური ალბომები მაიტაო!“ („ნაკლებად ჯაზური“ – ალბათ, მარტივად მოსასმენი იგულისხმა). ქალბატონი ნინიას „გამოზავინულება“ რამდენად გამოიწვია არ ვიცი, მაგრამ „My People“ და „World Tour“ ვურჩიე, იმ წუთს რაც გამახსენდა. თუმცა, 2007 წლის 7 ივლისის ფანტასტიკურ ლაივსაც დაუმატებდა კაცი, რომელიც ლუგანოში, პეპეს დებადების დღის აღსანიშნავად, მის გარდაცვალებამდე 2 თვით ადრე გაიმართა. ზაფხულის ამ საღამოს ჯანმრთელობაშერყეული, გამხდარი 75 წლის მოხუცი იმ ახალგაზრდა თაობას დაემშვიდობა, წინა ნაწილში (ლიბერალი №80) „პეპეს ბიჭებად“ რომ მოვიხსენიე და მათზე დანერას შეგპირდით.

ცოტა შორიდან დავინყებ. ოთხმოციან წლებში, ერთ მშვენიერ დღეს პეპემ იგრძნო, რომ ჯაზის სტანდარტული და მოსაწყენი ფორმები საშინლად მობეზრებოდა. მისი თაობის კოლეგებს „ატაშოლი დაადო“, თანაც მწარე – მილიონიც რომ მიეცათ, სათოფეზე აღარ იკარებდა. უდიდეს პატივს სცემდა, მაგრამ ბრაზობდა – ისევ იგივე მუსიკას უკრავენ და იმავე ქვაბში იხარშებიანო. საკუთარი ალბომების გარეკანზე დაბეჭდილი ფოტოებიდან კი იბღვირებოდა, მაგრამ სულით ახალგაზრდა, ნოვატორი კაცი გახლდათ, გამჩენი რომ არ ასვენებს. ამიტომ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა და ნიჭიერი ახალგაზრდა არტისტების ძებნას შეუდგა, რომლებიც თავიანთი ქვეყნის მუ-

სიკალური კულტურის ელემენტებსაც თან გამოიყოლებდნენ. ბევრი ისეთი იპოვნა, მის მუსიკაზე რომ იყო გაზრდილი, თუმცა, ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც „ზავინული“ ზულუსების ტომის სახელი ეგონა. მიუხედავად ამისა, დონ პეპესთან ერთად სცენაზე დგომა, პირველ რიგში, მათი ნიჭის აღიარება გახლდათ და რა თქმა უნდა – უდიდესი პატივიც. არაერთხელ უთქვამს კიდეც, როცა ბენდისთვის მუსიკოსებს ვაგროვებ, წანასწარ ვიცი, ეს ბენდი მსოფლიოში საუკეთესო იქნებაო. ჰოდა, ასე შექმნა აფრიკული, ლათინოამერიკული და აზიური ფოლკით ნასაზრდოები ე.წ. ეთნო-ფიუჟენ ბენდი „The Zawinul Syndicate“. მსოფლიოში საუკეთესო!

ვის არ ნახავდით აქ: პერკუსიონისტებს – მანოლო ბადრენას (პუერტო რიკო), აზიზ სამაუის (მაროკო); გიტარისტებს – ამიტ ჩეტერჯის (ინდოეთი), ალეგრე კორრეას (ბრაზილია), გარი პოულსონს; დრამერებს – ნათანიელ თაუნსლის (ა.შ.შ.), ალექს აკუნას (პერუ); ბასისტებს – მეთიუ გარისონსა და ვიქტორ ბეილის (ა.შ.შ.), ჩვენთვის კარგად ნაცნობ კამერუნელებს – ეტიენ მბაპესა და რიჩარდ ბონას, მავრიკიელ ლინლე მარტესა და სენეგალელ ალიოუნ უეიდს, რომელმაც თბილისის ჯაზ-ფესტივალზე ისეთი იავანა იმღერა, შაშვი მაგალობელი დეკარქი. რა თქმა უნდა, ეს ჩამონათვალი არასრულია და ჩვენც რამდენიმე მათგანი გამოვყოთ.

ალეგრე კორრეა. ფეხბურთში გიჟი „არგენტინისტი“ გახლავართ, ბრაზილიელებთან ჩვენი სპორტული ქიშპობის ამბავი კი კარგად მოგეხსენებათ. შესაბამისად,

■ ნოვატორი კაცი გახლდათ, გამჩენი რომ არ ასვენებს. ნიჭიერი არტისტების ძებნას შეუდგა, რომლებიც თავიანთი ქვეყნის მუსიკალური კულტურის ელემენტებსაც თან გამოიყოლებდნენ.

„მტრის ჯინაზე“ ყოველივე ბრაზილიურს ამრეზით ვუყურებ ხოლმე (ქათმის გარდა). თუმცა, ამ მუსიკოსის მოსმენამ იმაში დამარწმუნა, რომ თუ ფეხბურთს ვერ თამაშობენ, გიტარაზე მაინც უკრავენ ჩვენზე (არგენტინელებზე) უკეთ. მან რიოს ულარიბეს ფაველებს ბავშვობაშივე დააღწია თავი და ვენაში გადასახლდა. პეპემ მისი ინდივიდუალური, სპეციფიკური საუნდი უყურადღებოდ არ დატოვა და „სინდიკატის მუსიკა“ ლათინოამერიკული ტემპერამენტით გააფერადა კიდეც. ლუგანოს კონცერტზე ალეგრეს მიერ შესრულებული „Clario“, ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი მოგზაურობაა ბრაზილიაში.

ლინლეი მარტე. ერთ-ერთ ძველ ინტერვიუში ზავინულიმ ახალგაზრდა მუსიკოსებთან ურთიერთობებზე ისაუბრა: „ხშირად ვუბნები, რომ ინსტრუმენტზე ძალიან ბევრს ნუ ივარჯიშებენ. ეს მაშინ უნდა აკეთონ, როდესაც ამას აზრი ექნება. დანარჩენი დრო კი ცხოვრებას დაუთმონ. იცხოვრონ ისე, რომ რაიმე მო-




საყოლი ჰქონდეთ. მათი ინდივიდუალური ბგერა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მოდის!". ნამდვილად არ ვიცი, რა ცხოვრებით ცხოვრობს ლინლეი მარტე, ან რა გადაიტანა თუ გამოსცადა ასეთი სენეგალში, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო, მსოფლიო დონის ბასისტი რომ არის, ფაქტია. („ლიბერალის“ ვებგვერდზე მის სოლოს მოგვიანებით ავტვირთავ, პარიზის 2004 წლის ლაივიდან)

ეტიენ მბაპე. როგორც ვალიკო მიზანდარი იტყოდა – „ტოკმა რომ არ მოკლას, ელექტრონზე რეზინის ფერჩატკებით უკრავენო“. ამ კამერუნელი კაცის სავიზიტო ბარათიც ბას-გიტარაზე ხელთათმანებით დაკურის მანერა გახლავთ. როგორც ამბობს, განსაკუთრებული ბგერის მისაღებად სჭირდება. იგი თბილისში გასულ წელს ბრძანდებოდა, ჯონ მაკლაფლინთან ერთად. კონცერტი ისეთი დიდებული გამოდგა, ჩემს ერთ მეგობარ ბასისტს, იმ დღის მერე გიტარისკენ არც კი გაუხედავს, მგონი გაყიდა კიდეც.

აქვე, გავრცელებულ სტერეოტიპს მოვიშველიებ – ჩვენზე ამბობენ, ყველა ქართველი კარგად მღერისო, ჰოდა, თურმე კამერუნელებიც ეგრე ყოფილან. ამაში თქვენც დარწმუნდებით, თუ მბაპეს 2004 წლის სოლო ალბომს „Misiya“-ს მოისმენთ.

გასული წლის 29 ოქტომბრის საღამოს კი ვერაზე „სინდიკატის“ ობლად დარჩენილი ეს ბიჭები უკრავდნენ, პეპეს გარეშე... კონცერტის შემდეგ დიდი ხნის უნახავ ნაცნობს გადავეყარე, „კაი გამარჯობით“ მომესალმა, გადამხვია. ახლობლების იმ ვინრო წრეს ეკუთვნოდა, ხელს რომ გაუნვდი, ის კი მაგრად მოგიჭერს და იმაზე მეტხანს დაიტოვებს ტორებში, ვიდრე საჭიროა. ფეხებზე არ ვეკიდე, ამიტომ ჩემი ყოფითაც გულწრფელად დაინტერესდა, როგორ ხარო. ვუბასუხე, როგორ ვიქნები პეპეს გარეშე მეთქი. ძალიან გაკვირვებული კი დარჩა, რადგან ჩემი და ზავინულის განსაკუთრებული ურთიერთობების შესახებ არაფერი სმენოდა, ამ კონცერტზე

პონტის გამო გახლდათ და საერთოდ, იმდენივე საერთო ჰქონდა მუსიკასთან, როგორც მე – პეკინის სანტექნიკოსთა პროფკავშირთან. ბოლოს ვილაცისგან გაგონილი ფრაზა მომადახა, იმდენად მაგრად დაუკრეს, ზავინულის არყოფნა არც შეიმჩნეოდაო. ეს დიალოგი ერთი ინტერვიუს კითხვისას, სულ ახლახან გამახსენდა. პეპე თავის მუსიკოსებზე ლაპარაკობდა: „მათგან მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ საკუთარ პერსონას სულიც მოაყოლონ: არა მარტო დაუკრან ჩემთან, არამედ მესაუბრონ. ჩვენ სცენაზე ვსაუბრობთ, იდეებს ვცვლით. ჩვენ ამ მოცემულ მომენტში ვარსებობთ და ამ მომენტს ვუკრავთ!“

პეპეს ბიჭებმა იმ დღეს მართლაც მაგრად დაუკრეს, ბოლომდე დაიხარჯნენ, ინდივიდუალურ ოსტატობას სულიც მოაყოლეს და ერთმანეთში იდეებიც გაცვალეს. აი, მთავარი მოსაუბრე კი უჩვეულოდ დუმდა. ეს სევდიანი სიცარიელე მხოლოდ ჭეშმარიტმა ზავინულისტებმა იგრძნეს... 

Facebook აღარ მოსწონთ

Facebook-ის აუდიტორიის ზრდის ტემპი მკვეთრად შემცირდა. უკვე მეორე თვეა, მაჩვენებლები უარყოფით დინამიკას აფიქსირებს. 2011 წლის აპრილში სოციალურ ქსელზე 13,9 მილიონი ახალი მომხმარებელი დარეგისტრირდა, მაისში – 11, 8 მილიონი. ეს მონაცემები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ძველ მაჩვენებლებს, როდესაც ყოველთვიურად Facebook-ზე 20 მილიონი ახალი იუზერი რეგისტრირდებოდა.

სტატისტიკის თანახმად, ინტერესი სოციალური ქსელის მიმართ განსაკუთრებით ამერიკაში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ნორვეგიასა და რუსეთში შემცირდა. ამერიკაში Facebook დაახლოებით 6-მა მილიონმა მომხმარებელმა დატოვა. ექსპერტები ამბობენ, რომ აუდიტორიის ზრდის



შემცირება, როგორც წესი, ხდება მაშინ, როდესაც სოციალური ქსელის მომხმარებელი კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის 50% ხდება, თუმცა მისი კომპენსირება ახალი რეგიონების ათვისებით ხორცილდება: მაისსა და ივნისში ჭაბუკოვს აუდიტორია აქტიურად გაიზარდა მექსიკაში, ბრაზილიაში, ინდონეზიასა და ინდოეთში. ამჟამად Facebook-ს დაახლოებით 687 მილიონი მომხმარებელი ჰყავს.

დახატა Google-ით

ინტერნეტ-მაღაზია Google eBookstore-ის საბავშვო ელექტრონულ წიგნებში ხატვის რეჟიმი გაჩნდა. მომხმარებლებს ხატვა მხოლოდ შეძენილ



წიგნებში შეუძლიათ. ხატვის დასაწყებად ბავშვებმა Doodle Mode-ს ლილაკს უნდა დაანკაპონ, ნახატები არ ინახება, ყოველი ახალი გადაშლის შემდეგ წიგნი პატარებს სუფთა დახვდება.

Doodle Mode-ს რეჟიმი ყველა კომპიუტერულ ბრაუზერში მუშაობს, გარდა Internet Explorer-ისა. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია iPad-ითაც. eBookstore ინტერნეტ-გიგანტმა გასული წლის დეკემბერში გაუშვა. სერვისი, როგორც ფასიან, ისე უფასო წიგნებს აერთიანებს.

iCloud-ს უკვე უჩივლან

ამერიკულმა კომპანია iCloud Communications-მა, რომელიც VoIP-ტელეფონიის სერვისების მიმწოდებელია, Apple-ს სავაჭრო მარკა iCloud-ის უკანონო გამოყენებისთვის სასამართლოში უჩივლა. შესაბამისი სარჩელი კომპანიამ არიზონას სასამართლოში რამდენიმე დღის წინ შეიტანა.

iCloud Communications-ში თვლიან, რომ მომსახურებები, რომლებსაც სტივ ჯობსის კომპანია iCloud-ის მარკით სთავაზობს, ემთხვევა ან მჭიდრო კავშირშია მათ სერვისებთან.



„იმ მასშტაბური სარეკლამო კამპანიის გამო, რომელსაც Apple თავისი ახალი სერვისის მხარდასაჭერად ატარებს, მომხმარებლები და მედია iCloud-ს ახლა უკვე, პირველ რიგში, სტივ ჯობსის კომპანიას უკავშირებენ“, – აცხადებენ Cloud Communications-ში. სარჩელში საუბარია იმაზეც, რომ Apple-ს წარსულშიც არაერთხელ დაურღვევია სხვათა სავაჭრო მარკების გამოყენების უფლება. კომპანია Apple-ისგან iCloud-ის გამოყენების აკძალვას და ფულადი კომპენსაციის გადახდას ითხოვს.

Apple-მა სერვისი iCloud კონფერენცია WWDC-ზე ცოტა ხნის წინ წარადგინა. მისი დახმარებით მომხმარებლებს სასურველი კონტენტის ინტერნეტ-სერვერებზე შენახვა და ნებისმიერ დროს მობილურ მონაცემების მიხედვით მისი სინქრონიზაცია შეუძლიათ.

მსოფლიო ირჩევს სმარტფონებს



2011 წელს სმარტფონების გაყიდვები 55%-ით, 472 მილიონამდე გაიზარდა. ამ დასკვნას ანალიტიკური კომპანია IDC-ს სპეციალისტები აკეთებენ. შარშან მომწოდებლებმა 305 მილიონი სმარტფონი გაყიდეს. წელს კი ამ სეგმენტის ზრდას ექსპერტები ფასების კლებას, გაუმჯობესებულ სერვისებს და ლათინურ ამერიკასა და აზიაში სმარტფონებზე არსებულ მაღალ მოთხოვნას უკავშირებენ.

IDC-ს ანალიტიკოსის, კევინ რესტივოს თქმით, მომხმარებლები მთე-

ლი მსოფლიოს მასშტაბით სმარტფონებს სულ უფრო მეტად ანიჭებენ უპირატესობას. „მათი დახმარებით მარტივადაა შესაძლებელი შენაძენის თუ საბანკო ოპერაციის ნებისმიერ დროსა და ადგილას გაკეთება. არჩევანიც ამითაა მოტივირებული“, – აღნიშნავენ ისინი.

IDC-ს პროგნოზით, წელს Google Android მობილური ოპერაციული სისტემების ბაზრის დაახლოებით 43%-ს დაიკავებს, Nokia Symbian პოზიციებს კიდევ უფრო დათმობს, შემცირდება BlackBerry OS-ისა და iOS-ის წილებიც.

კონსტიტუცია ინტერნეტით



ისლანდიის მოქალაქეები ქვეყნის კონსტიტუციას ინტერნეტით ქმნიან. შესაბამის საბჭოსთან ისინი Facebook-ის დახმარებით ურთიერთობენ. პროცესში ჩართვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ისლანდიელებმა საკონსტიტუციო საბჭოს 25 წევრი არჩევნების შედეგად გამოავლინეს. საბჭოს პირველივე სხდომა Facebook-ზე, უწყების გვერდზე ონლაინ-რეჟიმში გადაიცა. მოქალაქეებთან ურთიერთობისთვის Facebook-ის გარდა, საკონსტიტუციო საბჭო აქტიურად იყენებს Flickr-ს, Twitter-სა და YouTube-ს.

Apple და Nokia დაზავდნენ

Apple-მა და Nokia-მ „სამშვიდობო“ შეთანხმება გააფორმეს, რითაც ხანგრძლივ საპატენტო ომს წერტილი დაუსვეს. კონფლიქტი კომპანიე-



ბს შორის 2009 წლის ოქტომბერში დაიწყო. ფინურმა კომპანიამ Apple 9 პატენტის დარღვევაში დაადანაშაულა, iPhone-ს გაყიდვების აკრძალვა და კომპენსაციის გადახდა მოითხოვა. იმავე წლის დეკემბერში Apple-მა შემხვედრი სარჩელი შეიტანა. შარშან კომპანიებს შორის კონფლიქტი ამერიკას გასცდა. სასამართლო განხილვები ევროპაშიც დაიწყო.

შეთანხმების თანახმად, მხარეებმა სარჩელები უკან გაიწვიეს. ამასთან Apple თანახმაა Nokia-ს პატენტების დარღვევისთვის ერთჯერადი კომპენსაცია გადაუხადოს და მომავალში მისი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისთვის ლიცენზიის ფულიც გადაიხადოს. შეთანხმების სხვა ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

ახალი MacBook Air და iPad 3



Apple MacBook Air-ის ნოუთბუქების ხაზის განახლებას გეგმავს. მორიგი მოდელები ივნისის ბოლოს გამოვა. Economic Daily-ს ცნობით, ყველა მა-

თვანს ტაივანური კომპანია Quanta Computer ააწყობს. ამას გარდა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ iPad-ის მორიგ, მესამე თაობას Apple მიმდინარე წლის ბოლო კვარტალში წარადგენს. ვარაუდობენ, რომ iPad 3-ის ეკრანის გარჩევადობა მის წინამორბედზე 5-6-ჯერ მეტი იქნება.

Samsung Galaxy S II საქართველოში

Samsung Galaxy S II-ის გაყიდვები საქართველოშიც დაიწყო. სმარტფონის ახალი მოდელის პრეზენტაცია, რომლის მსოფლიო სარეკლამო კამპანია ცოცხალი წინ დაიწყო, კომპანიის სათაო ოფისის წარმომადგენლებმა გამართეს. Samsung Galaxy S II-ის გამოსახულების მაღალ ხარისხი ნა-



თელ და ცოცხალ ფერებს, მაღალ კონტრასტსა და მკვეთრ გამოსახულებას ქმნის. ტელეფონის სიჩქარისა და წარმადობის ევოლუციას კი მძლავრი ორბირთვიანი პროცესორი და მონაცემთა გადაცემის HSPA + 21 მეგაბიტი/წ ტექნოლოგია უნობს ხელს. მოწყობილობას პრემიუმ დიზაინი აქვს. მისი სუპერ თხელი კორპუსი მხოლოდ 8,49 მილიმეტრია, წონა კი 116 გრამი. Samsung Galaxy S II ყველაზე თხელი „ჭკვიანი“ მობილურია მსოფლიოში. Samsung-ის წარმომადგენლები, Samsung Galaxy S II-ის პარალელურად, კომპანიის პლანშეტის Galaxy Tab-ის ორი ახალი მოდელიც წარადგინეს. □

მომზადა ნინო ნატროშვილმა.

დიდებული ბაზოვხენა



ლაშა ზულადე, მწერალი

რა დასამალია და, ზოგჯერ, როცა კამათი ჩიხში შედის და ოპონენტი განსაკუთრებით გაღიზიანებს, საოცრად სასიამოვნოა წამოხტომა, ბოლო სიტყვად რაიმე ეფექტურის წამოყვრა, გავარდნა და კარის გამოჯახუნება.

პროტესტის ნიშნად თეატრალურ-რისიანი გაქცევა იმხელა ტკობას განიჭებს, რომ შესაძლოა კამათში გამარჯვებაზე, ანუ მიზნის მიღწევაზე აღარც იფიქრო – ყველაფერი „საკონცერტო ნომერს“ გადააყოლო. ისტორიასა და ყოფას მრავლად ახსოვს ამგვარი „კარის გაჯახუნებები“, ჩხუბთა და კამათთა უცაბედი გაქცევით ჩაშლები და ისტერიულ-შთამბეჭდავი გავარდნები: „მივდივარ, რადგან ვერაფერს გაგებიან, თქვენ ჩემი აქ ყოფნის ღირსები არა ხართ!“
ო, რა სასიამოვნო ამის ამოყროყინება!
ო, რა ტკბილია ასე „გამარჯვება“!

მაგრამ, ვაგლახ, რამდენადაც ტკბილია „ეფექტური წასვლა“, იმდენად არაფრის მომტანია, ასე ვთქვათ, საქმიანი თვალსაზრისით...

კი, კარგად გაიქეცი, გემრიელად შეიკურთხე, კარიც აპოკალიპტური ხმაურით გამოიბრაახუნე, მაგრამ მერე რა? მოიგე ამით რაიმე?

რაც „ემოციები ჩაგიცხრა“, უსიამოვნო სიცარიელე ხომ არ იგრძენი? ხომ არ მოგეჩვენა, რომ პირიქით, რალაც გააფუჭე; რომ მოუთმენლობისა თუ სხვა რამ მიზეზთა გამო, „თეატრალურ უესტებს“ შესწირე პრობლემის გადაჭრა-განხილვის შესაძლებლობა? ინფანტილურად ხომ არ მოიქეცი?

მით უმეტეს, როცა საქმე შენს პრივატულ ამბებს კი არა, არამედ, უკაცრავად და, ქვეყანას ეხება...

აგერ, რა მგზნებარედ გამოიქცნენ ჩვენი უკომპრომისო ვაჟკაცები ჟენევიდან! რა ღონივრად გაგლიჯეს „ჟენევის ფორმატის“ მომხუთავი მარნუხები! „ჟენევის ფორმატში მოლაპარაკებების გაგრძელება უაზრობად მიგვაჩნია!“ – დასძახეს მათ, ჩვენმა პრინ-

ციპულმა თეატრალ-პოლიტიკოსებმა...

უდიდესი სიბრქეით, ტრიუმფატორებით ჩამობრუნდნენ თბილისში და კიდევ ერთხელ, ხმამაღლა გვამცნეს (როგორც ჩვენ, დაბნეულ ქართველებს, ასევე „მთელ მსოფლიოს“): ჩვენი ფეხი აღარ იქნება ანიჟენევაში!



მართალია, ეს „მთელი მსოფლიო“ ტექტიანად გვიჩვენებს „ჟენევის ფორმატის“ შენარჩუნებას, მაგრამ ყოველთა ქართველთა ლეგენდარულად უკომპრომისო მთავრობა მაინც თავისას იჩემებს – არა და არა, მორჩა, მივდივართო...

კარგი. მიდიხარ. თან გეტყობა – ლამაზად მიდიხარ, ვაჟკაცურად, ხმაურინანად... მაგრამ მერე? გაგრძელება?

აქედან წამოხვედით, მაგრამ ამის ნაცვლად რას გვთავაზობთ? „იმედის“ სიუჟეტებს? – როგორი წარმატებულები, უკომპრომისოები, ჭკვიანები და გამარჯვებულები ვართ?

ტელესიუჟეტებს რუსეთზე? – რა საშინელი ქვეყანა აქვთ, რა კომიკურები არიან

მათი უფროსები და როგორ მარცხდებიან ჩვენთან ყველაფერში?

თუ უფრო „პროფესიულ“ პათოსს? – მკვდარ პარლამენტში ყვირილს, თუ რა სწორი და ბრძნული ნაბიჯი იყო ამ შესაძლებლობის არგამოყენება...

ან იქნებ ისევ რუსულ პროვოკაციებზე აყოლას?

აბა, თუ არ ელაპარაკები, სხვა რაღა გრჩება? რა შესაძლებლობა?

შენი ქვეყნის გარდა, კიდევ სადმე – თუნდაც ამ „მარნუხებიან ფორმატში – ხომ უნდა დაამტკიცო შენი სიმართლე? თუ ამისათვის საკუთარი ქვეყნის ნაციონალური არსებაც გყოფნის? ან პროსახელისუფლებო ჟურნალ-გაზეთები და ერთგულ და ერთ ხმად მოტიკტიკე პოლიტ-ექსპერტთა არმია? სად და ვინ უნდა დაინახოს, რომ თავად მართალი ხარ და შენი მონინააღმდეგე კი მტყუანი? „ფორმატში“ როგორ გვისმენენ და მთლად „უფორმატოდ“ დარჩენილებს, რისი იმედია გრჩებათ?

ვფიქრობ (მე კი არა, აგერ, ევროკავშირში ფიქრობენ ასე), თუნდაც ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო არ ღირს „კარის გამოჯახუნებით“ (ან გამოუჯახუნებლად) წამოსვლა...

რადგან, ჩემო ძვირფასო უკომპრომისოებო და პრინციპულებო, სანაცვლოდ სხვას ვერაფერს სთავაზობთ თქვენს სახელმწიფოს.

ვიმეორებ, გამოქცევა ადვილია-მეთქი... მაგრამ მერე? გაქვთ რაიმე ალტერნატივა?

თუ მხოლოდ რომელიმე რიგითი ან სტაჟიანი პოლიტმეფასეების შეფასების ამა-რა გეტკვობთ:

„წამოსვლაც არის და წამოსვლაც. ეს გამოვარდნა ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი გამოვარდნაა. საქმე, შეიძლება ითქვას, მოსალოცად გვაქვს. რაც უფრო ხშირი იქნება ჩვენი ამგვარი გავარდნები, მით უფრო მალე გავარდება პლანეტიდან ჩვენი მთავარი მონინააღმდეგე“.

მორინგ სტაი



გიო ახვლედიანი

რახან საფეხბურთო სეზონი დამთავრდა, მთავარ საქმედ და ახალ ამბებად ახლა მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვაა დარჩენილი და ამ საქმეშიც ჯერ მხოლოდ ლაპარაკები და ჭორები სჭარბობს. დიდი ტრანსფერი ჯერაც არ გაჩარხულა. სხვა ახლოსაფეხბურთო ამბავთაგან ყველაზე ბოლოდროინდელი ფრენკ ლამპარდის მოსალოდნელი დაქორწინებაა და რა თქმა უნდა, რაიან გიგზის სასიყვარულო თავგადასავლები, რომლებსაც ტაბლოიდების სასიხარულოდ, როგორც იქნა აეხადა ფარდა და რომელთა მასშტაბიც მალე ტაიგერ ვუდსის ამბებსაც გაუტოლდება. ოღონდაც, გიგზი ტაიგერისგან მეტად განსხვავებული კაცი სჩანს და ისეთი პირი უჩანს, ამ ამბავს დიდი სტრესების გარეშე დაუძვრება.

ბრიტანეთის ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელის ამბავი ახლა ისეა, რომ ცოლს დათანხმებია, სექსუალურ დამოკიდებულებასთან საბრძოლველ კონსულტაციასაც გავივლიო. სხვა მხრივ კი გიგზის და მისი ძმის, ფურგონის მძლოლ როდრის ამბავი ისეთია, რომ პირდაპირ ვენესუელაში შეიძლება, წაიღოს კაცმა.

ასეა თუ ისე, ფეხბურთთან და სპორტთან ამას დიდი კავშირი არაფერი აქვს, მე კი რახან ამინდიც კარგი იყო და დროც, ასე ვთქვათ, დასასვენებლად განკუთვნილი, გასულ უქმეებზე ჰაიდ პარკში ამოყვავი თავი მეგობრებთან ერთად, უფრო სწორად, მისი განთქმული კორნერის შესასვლელთან, სადაც ჩემი ყურადღება, მხიარულად მოზუზუნე ველოსიპედისტთა და მაყურებელთა გვარიანმა ბრბომ მიიპყრო. დრო იყო ნაშუადღევი და ეგეთ ამინდში კი კარგია ჰაიდ პარკის მინდვრები და ჩრდილები და ხალხიც საგზლებით მოედინება იქა.

ჰოდა, უცებ, მიეცა ნიშანი და ველოსიპედისტებმა გახდა დაინყეს, ფოტოგრაფები კი შემოესივნენ გახდილებს. იხდიდა ყველა, ვისაც კი ველოსიპედი მოეყვანა და იმათ შორის კი, ზოგიერთი ფოტოგრაფიც დიდი მონადინებით. და ისე ჩქარა გაიხადა ყველამ, რომ სათვალის გაკეთებაც ვერ მოვასწარი. თურმე ნუ იტყვი და, ესა ყოფილა გამშიშვლებელთა საერთაშორისო გარბენი ნავთობის, ბენზინის, გამონაბოლქვისა და ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც გარემოს ნამლავს. ველოსიპედი ხომ ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტია. სიშიშველე კი ყურადღების მიქცევის საუკეთესო საშუალება. ჰოდა, მრბოლელთა შორის სჭარბობდნენ ხნიერი მამაკაცები და ექსცენტრიული იერის ჭაბუკები. ხოლო თუ სადმე ქალი გამოერეოდა, იმით უნდა მიმხვდარიყავი, რომ იმისკენ ფო-




ტოგრაფების ბრბო იხუვლებდა. მოკლედ, ჭრელი აბანოს ობში დარბაზი და დემოკრატია იყო და იმ შიშველთა შორის კი მიმოდიოდა ერთი კარგა თბილად ჩაცმული, ყელშარფიანი წვეროსანი კაცი ბერეტსა და მრგვალჩარჩოიან სათვალეში, სერიოზული და კულტურული იერისა, რომელიც გაზეთსა ჰყიდდა. და ის გაზეთი იყო „მორნინგ სტარი.“

რაც მე „მორნინგ სტარი“ მიყივია ბავშვობაში, რათა იქედან ინგლისელი ფეხბურთელების ბუნდოვანი ფოტოები ამომეჭრა. ინგლისის კომპარტიის ორგანო თავისუფლად იყიდებოდა თბილისის კიოსკებში. და, აბა როგორ არ ჩამეველო და მომეცით ერთი „მორნინგ სტარი“-მეთქი. ინებე, ამხანაგო.

ეს კომუნისტური პარტიის ორგანოა-მეთქი? არა მეგობარო, ეს ინგლისის მუშათა კავშირის გაზეთიაო. გადაკეთებულა ალბათ კომპარტია, თუ რა მოხდა, აღარ ვიცი.

ასე ვიდექით მე და ძველი კომუნისტი იმ შიშველ ხალხში. ორივე წვერიანი, ორივე ქუდიანი, ორივე სათვალისანი, ორივე „მორნინგ სტარით“ ხელში. შიშველმა ველოსიპედისტებმა კი დასცხეს მუსიკა და იხუვლეს პარლამენტის მიმართულებით, რათა ბენზინს შებრძოლებოდნენ.

„მორნინგ სტარში“ გიგზის საყვარლების შესახებ არაფერი ეწერა, ჰაიდ პარკში კი ნავები ლივლივებდნენ ტბორის მშვიდ ზედაპირზე. მალლა ჩანდა ლონდონის დახატული ცის აუცილებელი მეგობარი, თვითმფრინავი.

ზაფხული ნამდვილად მოვიდა. 


მიუხედავად! ბვირდებო!



კახა თოლორდია

სადაც მინდა და როგორც მინდა! ჩაფხუტის გარეშე, სასიცოცხლოდ აუცილებელი დამცველი საშუალებების გარეშე, სარკის გარეშე, კიდეც ვინ იცის, რამდენი რაღაცის გარეშე, ასე დავქრით ქალაქში, ტროტუარზე თუ სავალ ნაწილზე, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. არც წითელ შუქს აქვს მნიშვნელობა, ყვითელზე და მწვანეზე რომ არაფერი ვთქვათ; ამ მხრივ, ჭეშმარიტი დალტონიკები ვართ. დღეა? ღამეა? ამრეკლავი ფარები არ გვიყენია? ეს რაში გვინტერესებს! დავქრით! ასე გვეპიტნავენ და იმიტომ! ჰო, კინალამ დამავინყდა, ზაფხულობით სადმე შორს, წყნეთში ან კოჯორში ავდივართ ხოლმე და იქიდან პირდაპირ სამანქანო გზით ვეშვებით ჩაფხუტის გარეშე, სასიცოცხლოდ აუცილებელი დამცველი საშუალებების გარეშე, მოკლედ, მიმიხვდით. ყველაზე სასიამოვნო კი, რა თქმა უნდა, მაინც პოლიციის უუნარობაა, რამენაირად მაინც რომ შეგვიშალოს ხელი. ვერაფერსაც ვერ ახერხებენ, ჰა და ჰა, ერთი უსუსურად გააპროტესტონ, – „ველოსიპედი, გადადი დროზე!“ ან „ფრთხილად, ველოსიპედი, ფრთხილად!“ ან კიდეც, „გაგიჟდი, ველოსიპედი?“ – ესაა და ეს. არადა, გულზე ხელი რომ დაიდოს კაცმა, ღირსები ვართ, რომ გავაჩერონ, დაგვაკავონ, ჩამოგვართვან ველოსიპედები, დაგვაჯარიმონ, შეგვარცხვინონ, მოკლედ, კანონის ძალით დაგვსაჯონ. ვერ მოგართვს! ვერაფერსაც ვერ ახერხებენ იმიტომ, რომ ჩვენს შემთხვევაში კანონი უსუსურია! უფრო მეტიც, ჩვენთვის კანონი ჯერ არ დაწერილა, ყოველი შემთხვევისათვის აქ, საქართველოში. კი, მართალია, ჩვენთვის არც ველოსიპედისტებისათვის განკუთვნილი ბილიკები არსებობს თბილისში (ბათუმში, კი ბატონო), მაგრამ ეს ხომ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ქალაქს ამდენი ნებაყოფლობით თვითმკვლელი ჰყავდეს? არა, ეს არაა ხმამაღალი ნათქვამი, რადგანაც სადღაც, გულის სიღრმეში, ყველა ველოსიპედისტმა კარგად ვიცით, – ასე გაგრძელება არ შეიძლება, რადგანაც, ადრე თუ გვიან, ყველაფერი ეს შეიძლება ცუდად დასრულდეს. უნდა ნახოთ, როგორი შურით გვიყურებს ის სულ რაღაც ათიოდე ველოსიპედისტი, ვისაც თავის დროზე ჭკუა ეყო და ჩაფხუტიც შეიძინა, სარკეც დააყენა საჭეზე და სინათლის ამრეკლავიც. ისიც უნდა ნახოთ, ჩვენ რა შურით ვუყურებთ მათ, ჩვენ, ვისაც ჭკუა არ გვეყო, დროზე გვეყიდა ჩაფხუტი და სხვა, ნებისმიერი ველოსიპედისტისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი „ნავაროტები.“



„ხვალ ვიყიდი, აუცილებლად!“ – ვპირდებით საკუთარ თავს ლამის ყოველ დღე, მაგრამ მერე აუცილებლად ვივინყებთ პირობას და „ბენდენა“-ნაკრულები დავქრით აქეთ-იქით. „დებო და ძმებო, ყველამ ახლავე, აქვე, სულ რაღაც ხუთიოდე წამში უნდა გადაწვევიტოთ, თუ რა ვართ, პრობლემა თუ პრობლემის გადაწყვეტა!“ – ასე მიმართავდა დეტროიტული ბენდის MC5-ის ვოკალისტი რობ თაინერი ბენდის კონცერტებზე მოსულ დაბოლილ და „ყვავილოვან“ მსმენელს. მართალია, იმ დროს ის რევოლუციურ განწყობას გულისხმობდა, მაგრამ იგივე შეკითხვა, რა თქმა უნდა, განსხვავებულ კონტექსტში, ჩვენც ავიღებთ შეიძლება დავუსვათ ერთმანეთს, – ვინ ვართ თბილისელი ველოსიპედისტი, პრობლემა თუ პრობლემის გადაწყვეტა? პასუხი ოდნავ უცნაურად შეიძლება მოეჩვენოს ზოგიერთს: ჩვენ ვართ პრობლემა, ვალიარებთ, მაგრამ უმორჩილესად ვითხოვთ, ვინაიდან ჩვენ თვითონ არაფრის შეცვლის უნარი არ გვაქვს, მოგვხედოთ და გვაიძულოთ, რაც შეიძლება ჩქარა შევიძინოთ ველოსიპედისტების უსაფრთხოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ყველა ის ნივთი, რაც აუცილებლად, აუცილებლად დაგვიცავს ერთ მშვენიერ დღეს, დაუსჯელობით „გაგულავებულებს“. დიახ, კანონს ვითხოვთ, კანონს, აი, ასე უტიფრად, ასე დაჟინებით. ვერ ხედავთ, რომ ჩვენი რიცხვი დღითიდღე იზრდება? განა ვერ ხედავთ, რომ მხოლოდ კანონს შეუძლია ჩვენი მორჯულება? განა ვერ ხედავთ, თუ რამდენი თვითმკვლელი დაქრის უკვე თბილისში? ჩვენ რა, სიცოცხლე არ გვინდა? რა გახდა ჩვენთვის აუცილებელი ბილიკები და ერთი კარგი, მკაცრი, წარბშეჭმუნული მუხლი, რომელიც შეგვაშინებს? სერიოზულად შეგვაშინებს უშიშარ თბილისელ ველოსიპედისტებს? 



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშურნი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE
